

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკის აქტუალური
საკითხები

(სამეცნიერო ნაშრომთა კრებული)

X ბაზოზვება



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 2000

კრებულში განხილულია საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის წინაშე არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, მარკეტინგის, მსოფლიო ეკონომიკისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საკითხები.

კრებული განკუთვნილია ბაკალავრების, მაგისტრებისა და ასპირანტებისათვის, გამოადგება აგრეთვე ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ყველა პირს.

სარედაქციო კოლეგია:

პროფ. კ. აჩელაშვილი, პროფ. ე. ბოლოკაძე, პროფ. ე. მემვაბიშვილი, პროფ. ნ. პაიჭაძე, პროფ. ა. სილაბაძე, პროფ. ლ. ყორღანაშვილი (მთავარი რედაქტორი), პროფ. დ. ძნელაძე, პროფ. თ. ჭიაბრიშვილი, ეკ. მეც. დოქტ. ე. ხარაიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი).

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000

Актуальные вопросы экономики

(сборник научных трудов)

X выпуск

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси 2000

შან ბატისტ კოლბერი – ფრანგული იმპერიზმის
წარმომადგენელი

ეკონომიკის სფეროში გამოჩენილ ავტორთა შორის კოლბერის (1619-1682) სახელი არ ფიგურირებს. ლუი XIV-ის ფინანსთა მინისტრს სქელტანიანი თეორიული შრომები არ შეუქმნია. მერკანტილისტურ ლიტერატურაში იგი არც ორიგინალურ თეორეტიკოსად ითვლება. მიუხედავად ამისა, კოლბერი იყო სამეურნეო და საფინანსო სფეროს ენერგიული და გონიერი პრაქტიკოსი მუშაკი, ასევე – იმდროინდელი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების სისტემატიკური და ახლებურად გამაზრებელი, რასაც ადასტურებს მეფის ნათესაეების, მეგობრებისა და ხელქვეითებისადმი მიმართული მისი შრატეგიალური მემორანდუმი, ინსტრუქცია და წერილი. კოლბერი მიეკუთვნება როგორც დიდ პოლიტიკოსთა, ასევე ეკონომიკური აზროვნების მოღვაწეთა რიგს.

ჟ. კოლბერი წარმოშობით მდიდარი ბურჟუას ოჯახიდან იყო. იეზუიტთა კოლეჯში მიღებული აღზრდის შემდეგ (1634-1640) ახალგაზრდა კოლბერი სწავლას აგრძელებს ბანკოთან, ნოტარიუსთან, შემდეგ შეტელიეში – პარიზის სამეფო სასამართლოში. 1640 წელს იგი ჩადგა სამეფო სამსახურში და დაიწყო მუშაობა ჯარის ადმინისტრაციაში. მოგვიანებით ის სამხედრო საქმის სახელმწიფო მდივნის თანამშრომელია, რომლის შუამდგომლობითაც 1651 წელს დაიწყო მუშაობა კარდინალსა და მინისტრ მაზარინისთან. კოლბერმა წარმატებით გამოიყენა შესაძლებლობა და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა ეკონომიკური პირობები. კარდინალის სამსახურში შეიძინა ღრმა ცოდნა სახელმწიფოს მართვაში, როგორც კარდინალის ნდობით აღჭურვილმა პირმა, მოიპოვა სეგაელენა ქვეყნის ცენტრალურ ადმინისტრაციაში და მეფის გარემოცვაში.

მაზარინის სიკვდილის შემდეგ, კოლბერმა ჩაიბარა სახელმწიფო ფინანსები. შემდგომ წლებში იგი მართავეს აგრეთვე სხვა სამსახურებსაც (წყალთა მეურნეობასა და ტყეთა საქმეს, ვაჭრობას). 1665 წლიდან

მის თანამდებობას ეწოდა „ფინანსთა გენერალური კონტროლიორი“, რაც 1789 წლამდე შეესაბამებოდა საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის ტიტულს.

1669 წელს სამეფო სახლის სახელმწიფო მდივნად დანიშვნის შემდეგ იგი პასუხისმგებელი გახდა სამეფო სახლის, ქალაქ პარიზის, საზღვაო ძალების, კოლონიებისა და მანუფაქტურის საქმეებზე მალე მის კომპეტენციაში შევიდა აგრეთვე საწარმოთა მართვაც. თანამდებობათა ასეთი გაერთიანებით კოლბერმა უდიდესი ძალაუფლება მოიპოვა.

ლუი XIV-ის მიერ ჩატარებული კონსტრუქციული აღმშენებლობის ფაზაში, თითქმის ყველაფერი მჭიდროდაა დაკავშირებული ამ დაუღალავე მინისტრის ქმედებასთან.

კოლბერის უპირველესი საზრუნავი სახელმწიფო ფინანსები იყო, რადგან ფინანსებში ხედავდა საფრანგეთის ძლიერების საძირკველს.

კოლბერი სახელმწიფოს შემოსავლის ზრდის წყაროდ ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის სიძლიერეს მიიჩნევდა. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა, ღონისძიებები სასამართლო და სატრანსპორტო სისტემების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე საზღვაო და კოლონიური პოლიტიკა. კოლბერისათვის დიდი დაბრკოლება იყო განსხვავებული პროვინციული კანონები და პროვინციული სამართალი, რის გამოც კოლბერმა ვერ შეძლო მთელ ქვეყანაში გაეტარებინა ერთიანი სატარიფო და საბაჟო პოლიტიკა.

კოლბერმა უფრო დიდ წარმატებას მიაღწია სამართლის უნიფიცირებაში. მისი დაუღალავე მცდელობის შედეგად მთელ ქვეყანაში შემოიღეს ერთიანი სისხლის სამართლის კოდექსი (1667 წ.). მისივე ხელმძღვანელობით 1669 წელს დამუშავდა მთელი სახელმწიფოსათვის ერთიანი სატყეო და წყლის სამართალი, ხოლო 1673-81 წლებში კი სავაჭრო სამართლის კოდექსი, ამასთან განხორციელდა ზომ-წონის ერთეულთა სისტემის უნიფიცირება.

სამრეწველო საქმიანობის პოლიტიკის შემუშავებისას კოლბერი

პირველ რიგში ზრუნავდა ნაწარმოა სტანდარტიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რათა გაეზარდა ექსპორტი, აგრეთვე მრითხოვდა ხელოსნობის დამკვიდრებასა და განვითარებას.

კოლბერის სამრეწველო პოლიტიკა დირიჟისტური ხასიათისა იყო. 1666 წლიდან გამოსცა ძალზე დეტალიზებული რეგლამენტების ხაზით მრავალრიცხოვანი მითითებანი მრეწველთათვის მათი პროდუქციის სახეობებისა ხარისხის შესახებ. კერძოდ, „ინდუსტრიამ“ (იმეამინდელ საფრანგეთში ამ ცნებაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმებოდა საფეიქრო საქმის ყველა მიმართულება და პროდუქციის საფეხური), ზუსტი მითითებანი მიიღო ზაულის სხედასხვა ტიპის ზომებსა და ხარისხზე. სამრეწველო ნორმები მოქმედებდნენ მთელ საფრანგეთში, მათი დაცვა ექვემდებარებოდა კონტროლს და დარღვევები ისჯებოდა ფულადი ჯარიმებით. ხარისხის ამდლებისა და ხარისხზე კონტროლის გაძლიერების მიზნით 1673 წელს მანუფაქტურაში გაძლიერდა საამქროებისადმი მიდრეკილება, რაც შემდეგ გაერცვლდა ხელოსანთა სხვა პროფესიებზეც. აქ კოლბერი ახორციელებდა აგრეთვე ფისკალურ ინტერესებსაც, რადგან უსტაბაშის წოდება იყიდებოდა ისევე როგორც სხვა სახელმწიფო თანამდებობა, სახელმწიფო ხაზინაში შესატანის მეშვეობით.

კოლბერის სამრეწველო პოლიტიკის ცენტრში იყო მანუფაქტურების, ე. ი. დიდი სამრეწველო საწარმოების წახალისება, რადგან მათში ხელდაედა იგი პროდუქციის შექმნის ყველაზე მძლავრ წყაროებს. მან მოიწვია საზღვარგარეთელი სპეციალისტები. მანუფაქტურების დაარსების წასახალისების მიზნით გასცა სახელმწიფო ფულადი დახმარებანი ახალი მანუფაქტურები გარკვეული დროით იღებდნენ პროდუქციის გამოშვებისა და გაყიდვის მონოპოლიას. მანუფაქტურის მუშები კი თავისუფლდებოდნენ გარკვეული ხაზის გადასახადებისაგან (მაგ., ბინის გადასახადისაგან). ამასთან, მანუფაქტურებში პროდუქციის წარმოება და გასაღება რეგლამენტირებული იყო წერილმანებადღე საქონლის ხარისხი და საშუალო დისციპლინა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა კოლბერის სამრეწველო პოლიტიკის შედეგად საფრანგეთი ეუროპაში ძვირფასა

საქონლის (ხალიჩები, ძვირფასი ავეჯი, შუშა, სარკეები, აბრეშუმი, ძვირფასი ტანისამოსი) წამყვან მწარმოებლად იქცა.

ასეთი სამრეწველო პოლიტიკის პარალელურად ქვეყანაში მიმდინარეობდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებათა წახალისება. კოლბერის ინიციატივით პირდაპირი გადასახადებისაგან ხუთი წლით თავისუფლდებოდა მამაკაცი, რომელიც დაოჯახდებოდა 21 წლამდე ათი და უფრო მეტი ბავშვის მამა თითქმის მთლიანად თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან, მაგრამ ასეთ ოჯახებში არც ერთი ბავშვი არ უნდა ყოფილიყო მღვდელი ან მონაზონი (რამდენადაც ეს პროფესიები ქორწინებაზე უარის თქმას გულისხმობდა). ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად მან დაიწყო საზღვაო გზების ათვისება.

ინგლისის და ნიდერლანდების კომპანიების ოსტინდოეთიდან წარმატებული საქმიანობის შედეგად კოლბერმა 1664-1673 წლებში დააარსა ხუთი სავაჭრო კომპანია ოსტინდოეთისათვის, ვესტინდოეთისათვის, სენეგალისათვის და სხვ, რომელთაგან მხოლოდ ოსტინდოეთის კომპანიამ იარსება ლუი XIV-ის მმართველობის შემდეგაც.

ინდოეთის ორივე მხარის კომპანია კოლბერმა გამოიყენა ფრანგული კოლონიური პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტად. მასი მონღოლეთის პერიოდში ფრანგებმა დაიპყრეს ინდოეთის საყრდენი პუნქტები განგის დელტაში (1673) და დამკვიდრდნენ გვინეასა და სანტა დომინგოში (ჰაიტი).

კოლონიური პოლიტიკისა და ფრანგული საქონლის ექსპორტის დასაცავად კოლბერმა გააძლიერა საფრანგეთის სავაჭრო ფლოტი (ასე მაგალითად, თუ 1664 წელს საფრანგეთს გააჩნდა მხოლოდ 350 გემი, 1683 წელს მათმა რიცხვმა 550 შეადგინა), ადადგინა სახელმწიფოს სამხედრო ფლოტი, რომელიც რიშელიეს გარდაცვალების შემდეგ თითქმის მთლიანად დაიშალა. კოლბერის დროიდან საფრანგეთი ინგლისის ფლოტის შემდეგ მეორე ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ

საგარეო საეაჭრო პოლიტიკა კოლბერმა შეგნებულად დაუქვემდებარა სახელმწიფო ძლიერების პოლიტიკას. საფრანგეთი ლუი XIV-ის და მისი ფინანსთა მინისტრის ნებით, ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ უნდა გადაქცეულიყო, ხოლო ამ მიზნის მისაღწევად, კოლბერის თანახმად, იგი ევროპის წამყვანი საეაჭრო ძალა უნდა გამხდარიყო.

საგარეო საეაჭრო პოლიტიკამ, როგორც სახელმწიფო ძლიერების პოლიტიკის ნაწილმა, საგარეო ვაჭრობა გადააქცია თითქმის მუდმივი სამეურნეო ომის ასპარეზად. 1664 წელს საიმპორტო საბაჟო გადასახადები უმნიშვნელოდ გაიზარდა, მაგრამ სამი წლის შემდეგ ტარიფები გასამკეცდა, რაც თითქმის იმპორტის აკრძალვას უდრიდა. ნიდერლანდებმა, საპასუხოდ, 1670 წელს აკრძალა ფრანგული საქონლის იმპორტი, ამით საფრანგეთს (1672 წ) ნიდერლანდებზე თავდასხმის საბაბი მიეცა. სამშვიდობო მოლაპარაკებების შედეგად (1678) საფრანგეთი იძულებული გახდა დაბრუნებოდა 1664 წლის ტარიფებს.

კოლბერი მართალია მხარს უჭერდა ლუი XIV-ის საგარეო პოლიტიკას, მაგრამ იგი მოითხოვდა მის განხორციელებას მხოლოდ სოლიდური დაფინანსების პირობებში - ვალების აღების გარეშე. ამან გამოიწვია უთანხმოებები მეფესა და სამხედრო მინისტრთან. 1683 წლის 6 სექტემბერს კოლბერი გარდაიცვალა.

კოლბერისათვის უდიდესი ავტორიტეტი იყო რიშელიე. თითქმის ყოველთვის მეფისადმი მოხსენებებში მის გადაწყვეტილებებს ეყრდნობოდა არ ასახელებდა არსად იმ ავტორებს, რომლებიც წერდნენ სახელმწიფოს ეკონომიკისა და სამეურნეო პოლიტიკის საკითხებზე. მაგრამ ის, რომ იგი არ იცნობდა ბოდინის, ლაფემასის ან მონკრეტინის ნაშრომებს სწორი არ იქნება. ყოველი შემთხვევისათვის, მისი შეხედულებები ფინანსების შესახებ ძალიან ემთხვევა ბოდინის შეხედულებებს, აგრეთვე ლაფემასი, კოლბერის წინამორბედი, რომლის ტრაქტატებს საფრანგეთის ეკონომიკურ საკითხებზე ინტენსიურად სწავლობდა რიშელიე. ცნობილი უნდა ყოფილიყო კოლბერისათვის - ლაფემასი მხარს უჭერდა მანუფაქტურების შექმნას, ნედლეულის საკუთარი ბაზების შექმნას, ნედლეულის გატანის აკრძალვას და

მანუფაქტურული საქონლის შემოზიდვას.

კოლბერის ეკონომიკური იდეები ძირითადად გადმოცემულია მის სამსახურებრივ და პირად კორესპონდენციებში, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ არა ორიგინალობით, არამედ მათი სისტემატიკური ურთიერთკავშირით, გადმოცემის თანმიმდევრობით და იმ ისტორიული და სამეურნეო სიტუაციის ღრმა ცოდნით, რომელსაც ისინი ეხება. მეფისადმი გაგზავნილ მემორანდებში იგი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ ყველაფერი, რაზეც მოგმართაეთ, დაფუძნებულია ჩემს მრავალწლიან გამოცდილებაზე. შინაარსობრივად კოლბერის აზროვნება ეწინააღმდეგება იმ ძირითად დებულებას, რომლის მიხედვითაც ეკონომიკა უნდა ექვემდებარებოდეს ფრანგული მონარქიის ძლიერების ინტერესებს. იგი აუცილებლად მიიჩნევდა ეაჭრების ისე აღზრდას, რომ მათი საკუთარი ინტერესები სახელმწიფოს ინტერესებს დაქვემდებარებოდა.

ასე განიხილებოდა სახელმწიფო ფინანსების ყველა ეკონომიკური და სოციალური პრობლემა, რადგან მისთვის ფინანსები იყო სახელმწიფოს საფუძველი, და სახელმწიფო ფინანსებია მისი პოლიტიკური და ეკონომიკური აზროვნების ათელის წერტილი. 1663 წელს, მეფისადმი შეთავაზებულ საფრანგეთის ფინანსების ისტორიულ მიმოხილვაში პენრიხ IV-ის სიკვდილიდან (1610) 1663 წლამდე, კოლბერი აღნიშნავდა, რომ ყველა სახელმწიფო ფინანსები სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი ნაწილია. (გაეხსენოთ, ბოლინი ფინანსებს ახასიათებდა, როგორც სახელმწიფოს ნერვებს-ა.ს.).

ა) საეაჭრო და საგადასახადო პოლიტიკა

კოლბერისათვის საფინანსო პოლიტიკის მიზანი შემოსავლის საშუალებით სახელმწიფო ხარჯების დაფარვა იყო. იგი მოითხოვდა სახელმწიფო ხარჯების გატოლებას სახელმწიფო შემოსავლებთან. ეს კი მონარქიის წლებში ყველასათვის ძნელად გასაგები იყო.

აბსოლუტური მონარქიის ძალზე დიდი ხარჯებისა და ლუი XIV-ის ძვირადღირებული ძალისშეიერი პოლიტიკის ფონზე კოლბერის

მაქსიმები მრავალი წლის განმავლობაში ვერ განხორციელდა და თუ მინისტრი მეფეს სხვა შემთხვევებში პირფერობდა, ამას ვერ ვიტყვით სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას.

1670 წელს კოლბერი „ფინანსთა მემორანდუმში“ კრიტიკულად აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ხარჯები უკვე ხუთი მილიონი ლივრით აღემატებოდა მშეიდობიან წლებში შემოსავალს, თუმცა მისი შევსების წყაროდაც გადასახდელები არ დაუსახელებია-პირიქით, იგი მიუთითებდა იმაზე, რომ საგადასახადო სახსრები დამოკიდებულია გადამხდელთა შემოსავალზე: როდესაც გადასახდელების გადამხდელთა შემოსავალი კლებულობს, სახელმწიფო უკვე უძლურია დიდი ხნის განმავლობაში მოითხოვს პროვინციებისაგან გადასახადების წინანდელი ჯამი, რამდენადაც ეს მოსახლეობა გადატაკებას გამოიწვევს. ასეთ შემთხვევაში გამოსავალს იგი ხედავდა სახელმწიფო დანახარჯების შეზღუდვაში.

იგივე მემორანდუმში კოლბერმა გაინგარიშა თანაფარდობა ბრუნვაში არსებული ფულის რაოდენობასა და სახელმწიფოს შემოსავალს შორის. იგი მხარს უჭერდა შეფარდებას 1:3 საგადასახადო სახსრებსა და ფულის რაოდენობას შორის. გარდა ამისა, კოლბერს სურდა სცოდნოდა მონაცემები თითოეული პროვინციის მიხედვით. ეს მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც იმ პერიოდში საფრანგეთში არსებობდა მთელი სახელმწიფოსათვის მოქმედი ერთიანი საგადასახადო ტარიფი. უფრო ხშირად ყოველ პროვინციას აწერდნენ გარკვეულ თანხას, რომელსაც იგი პირდაპირი გადასახადების სახით იხდიდა.

კოლბერი თავის 1670 წლით დათარიღებულ მემორანდუმში „ფინანსების შესახებ“ წერდა, რომ პროვინცი ფულის ძლიერი გადინებისას, შესაბამისი უკუდინების გარეშე, გარკვეული დროის შემდეგ, კარგავს მასზე დაბევრილი საგადასახადო თანხის გადახდის უნარს. თუმცა ერთი პროვინციიდან ფულის გადინება ნიშნავდა მეორე, ან რამდენიმე სხვა პროვინციაში ფულის რაოდენობის გაზრდას, მაგრამ შეუძლებელი იყო ამის შესაბამისად ცალკეული პროვინციების გადასახადის აკრეფის შეცვლა, რადგან ფულის ამგვარი

გადინება ერთი პროვინციიდან სხვა ერთ, ან რამდენიმე პროვინციაში ვერ აღირიცხებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს შესაბამისი რეგიონისათვის საგრძნობი იქნებოდა, კოლბერის რეკომენდაციით ცალკეულ პროვინციებში ფულის რაოდენობასა და გადასახდელ თანხას შორის „სწორი“ თანაფარდობის შესანარჩუნებლად „ყველა საშუალებით“ სახელმწიფოში უნდა გაეზარდათ მიმოქცევაში არსებული ფული და სამეფო სახლის და სახელმწიფოს მიერ გასაცემი ფული, უნდა მიემართათ უფრო დიდი გადასახადების გადამხდელ პროვინციებისათვის.

რათა აემალღებინა ქვეყნის საგადასახადო ძლიერება, ე.ი. უზრუნველყო სახელმწიფოსათვის გაზრდილი შემოსავალი, კოლბერი იხილავდა ოთხ საშუალებას: დისციპლინირება ანუ ერის აღზრდა; რაშიც გულისხმობდა, რომ ქვეშევრდომები მოვალენი არიან გადასახადი ჩააბარონ უფროსს, მათი საგადასახადო შესაძლებლობა კი დამოკიდებულია ხელთ არსებულ ნაღდ ფულზე, ეს ფული კი თავის მხრივ, დამოკიდებულია მათ შრომაზე. დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება, რომელიც ხელს უწყობს გადასახადების გადამხდელთა რაოდენობის ზრდას; სამრეწველო პროდუქციის რაოდენობის ზრდა და ქვეყანაში ფულის რაოდენობის გაზრდა აქტიური სავაჭრო ბალანსის საშუალებით.

კოლბერი თვითონ იყო ფანატიკოსი მშრომელი, რომელიც დღელამეში 15-16 საათს ატარებდა სამუშაო მაგიდასთან და რომლისთვისაც შეუძლებელი იყო უსაქმურობის ატანა. ასკეტური შრომით დისციპლინის შთამბეჭდავი მაგალითი, ნამდვილად იყო მორწმუნე კათოალიკე კოლბერი.

კოლბერმა ასეთივე შემართებით აღზარდა თავისი შვილები. თავის უფროს ვაჟი შეილს, რომელიც მისი მემკვიდრე იყო საზღვაო საქმის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე, მიმართავს შემდეგი აღმზრდელობითი ინსტრუქციით - „მე, ჩემი შვილისაგან განსაკუთრებით მოვითხოვ, რათა პირველ რიგში ყველა იმ საქმეში, რომელთა წამოწყებასაც იგი აპირებს, სიხარულს პოულობდეს, იმუშაოს ბეჯითად და იმოქმედოს სიზუსტის დაცვით“.

კოლბერი შრომაზე მსჯელობისას გულისხმობდა ისეთ სფეროებს, რომლებსაც სახელმწიფოსათვის მეტი სარგებლობა მოაქონდა 1664 წელს მეფისადმი გაგზავნილ მემორანდუმში იგი აღნიშნავდა, რომ თუ მეფეს სურს დიდი საქმეები განახორციელოს და მაღალი დიდება მოიპოვოს, ამას შესაბამისი საშუალებები სჭირდება. ამას, რომ მივალწიოთ, საჭიროა თქვენი ქვეშევრდომების პროფესიები შესაძლებლობის ფარგლებში შევამციროთ ისეთ წრემდე, რომლებსაც ამ დიდი მიზნებისათვის სარგებლობა მოაქვთ. ასეთად მას მიაჩნდა: სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, სამხედრო სამსახური ზღვასა და ხმელეთზე.

არასასარგებლო სფეროებში იგი ასახელებდა მონაზვნობას, აგრეთვე დიდი ფულადი სახსრების მომთხოვნი სამსახურების მართვას ფინანსებში და იუსტიციაში.

დემოგრაფია და ეკონომიკა კოლბერს მონაზვნების საქმიანობა მიაჩნდა სახელმწიფოსათვის უნაყოფოდ, ისინი არ ოჯახდებოდნენ და არ შეესაბამებოდნენ დემოგრაფიული გეგმების ჩარჩოებს. მას სურდა მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა და ქვეყანაში გადასახადის გადამხდელთა მომრავლება. ამიტომაც იგი ხელს უწყობდა ადრეულ ქორწინებას, რომ მშობლებს ქალიშვილები მონასტერში არ გაეგზავნათ. ეკონომიკისათვის სასარგებლო ადამიანებზე საუბრისას კოლბერი მზად იყო გადაეხეია მეფის მკაცრი რელიგიურ-პოლიტიკური საფუძვლებიდან. ვაჭრობის სფეროში იგი ილაშქრებდა ებრაელ ვაჭართა მოშორებისა და განდევნის წინააღმდეგ.

ეკონომიკური მოსაზრებიდან გამომდინარე არ იზიარებდა ლუი XIV-ის შეურიგებელ პოზიციას პუგენოტებთან¹. მისი პრაგმატული განწყობა რწმენის საკითხებისადმი იწვევდა სამეფო კარის კრიტიკას, კოლბერს არცთუ იშვიათად ჰკიცხავდნენ იმის გამო, რომ იგი მხოლოდ „მის ფინანსებზე“ და თითქმის არასოდეს რელიგიაზე არ

¹ პუგენოტები - კალენინზმის² მიმდევარნი XVI-XVIII სს.-ში.

² კალენინზმი - ერთ-ერთი პროტესტანტული მიმდინარეობა, რომელიც შეიქმნა მე-16 ს. და ფართოდ გავრცელდა საფრანგეთში და სხვ.

ფიქრობსო.

ბ) სამრეწველო პოლიტიკა

კოლბერი სამრეწველო პროდუქციის ზრდასა და გაუმჯობესებაში ხედავდა ქვეყნის კეთილდღეობას, გადასახადების ღონის ამალღებას და სახელმწიფო ფინანსების შევსების მთავარ წყაროს ამასთან, იგი დიდად აფასებდა სოფლის მეურნეობას, როგორც კვების პროდუქტებისა და საფეიქრო მრეწველობისათვის ნედლეულის მიმწოდებელ წყაროს. მან გარკვეული წვლილი შეიტანა სოფლის მეურნეობაში: მისი მითითებით სამიწათმოქმედო იარაღები და გლეხურ მეურნეობათა პირუტყვის ოთხი მეხუთედი განთავისუფლდა ყადაღის დადებისაგან; ცხენთსაშენთა გაუმჯობესებით ხელი შეუწყო მეცხენეობის განვითარებას; მეცხეარეობა გაფართოვდა და სხვა.

კოლბერი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ხელოსნობის განვითარებას. სახელოსნოების მიმართ იმდროინდელი პოლიტიკა დირიჟისტული ხასიათისა იყო. ხელოსნების რეგლამენტირება ასზე მეტი საკანონმდებლო აქტით რეგულირდებოდა. კოლბერი უფრო მეტს ფიქრობდა მკაცრ რეგლამენტირებაზე და მათთვის ხელისშეწყობის პრივილეგიებზე, ვიდრე აღმზრდელობით ღონისძიებებზე, ყოველი შემთხვევისათვის მის კორესპონდენციაში ხშირად გამოხატულია აზრები, რომლებიც ემთხვეოდა ტიურგოსა და ა. სმითის შეხედულებებს ასე, მაგალითად, XVII ს-ის 60-იანი წლების ბოლოს კოლბერი აღნიშნავდა, რომ საჭიროა ადამიანებს გზა გაეხსნათ იმგვარი თავისუფლებისაკენ, რომელიც საშუალებას მისცემს ნებაყოფლობით აკეთოს სარგებელი საქმე. საფინანსო მემორანდუმში (1670 წ.) კი იგი წერდა, რომ თავისუფალი ვაჭრობა და მონოპოლიებისაგან თავისუფლება უკეთესია, ვიდრე როცა კერძო ინიციატივა ამოძრავებს წამოწყებასო. ამასთან, მას მიაჩნია, რომ მოსალოდნელი დიდი მოგების შემთხვევაში ყოველგვარ პრივილეგიებზე საუბარი ზედმეტია. ვაჭრობის თავისუფლებაში იგი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა შიდა ვაჭრობის განთავისუფლებას ზედმეტი მონოპოლიურობისაგან, შეზღუდვებისა

და პირველ რიგში, მძიმე საგზაო და სამდინარო ბაჟისაგან.

კოლბერი მოითხოვდა იმდროინდელი ფრანგული მრეწველობის ეკონომიკურ თავისუფლებას. მისი აზრით, საფრანგეთში კერძო ინიციატივა აკლდათ; ფრანგებს იგი ვაჭრობის უნარდაკარგულებად სთვლიდა და ამიტომაც მოითხოვდა სახელმწიფოსაგან მის სტიმულირებას. ხელოსანთა ნაწარმის მაღალი მდგრადი ხარისხი მისი სამრეწველო პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო. მრეწველობისათვის მფარველობის მიზანი უნდა იყოსო ქვეყნის შიგნით იმ ნაწარმის დამზადება, რომლის იმპორტიც ხდებოდა საფრანგეთში საზღვარგარეთიდან.

კოლბერის განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო დიდი საწარმოები და პირველ რიგში, მანუფაქტურები, რომელთაც იგი თვლიდა ყველაზე მაღალმწარმოებლურ საწარმოებად. მანუფაქტურები აერთიანებდნენ მუშათა დიდ რაოდენობას კარგად ორგანიზებულ დიდ სახელოსნოებში, სადაც იყო უმკაცრესი სამუშაო დისციპლინა და წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი. ეს, მისი აზრით, ის საწარმოები იყო, რომელთა ნაწარმითაც საფრანგეთი დაიპყრობდა საზღვარგარეთულ ბაზრებს. შემთხვევით როდი გამოყოფდა საფრანგეთის ხაზინა ფულს მანუფაქტურების ხელშეწყობის მიზნით. იგი მოითხოვდა იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო განაკვეთის ზრდას.

გ) ფული და ვაჭრობა

კოლბერის მოსაზრებები საგარეო ვაჭრობის შესახებ გამომდინარეობდა მისი ფულადი თეორიიდან. „გვიანდელი პერიოდის“ მერკანტილისტთა მსგავსად იგიც დარწმუნებული იყო, რომ მსოფლიოში ფულის რაოდენობა და ვაჭრობის მოცულობა ძირითადად მუდმივი სიდიდეებია; აქედან გამომდინარე იგი ასკენიდა, რომ ქვეყანამ ფულის რაოდენობა და საქონლის იმპორტი შეიძლება გაზარდოს მხოლოდ სხვა ქვეყნების ხარჯზე.

რადგან ქვეყანამ მისი წილი თითქმის უცვლელ ჯამურ ფულის

რაოდენობასა და მსოფლიო ვაჭრობის მოცულობაში შეიძლება გაზარდოს მხოლოდ სხვა ქვეყნების ხარჯზე, საერთაშორისო ვაჭრობა, კოლბერის თანახმად, იქცევა სავაჭრო ომად მშვიდობიანობის პერიოდში. ვაჭრობა ევროპის ერებს შორის მუდმივ ბრძოლას განაპირობებს.

ამრიგად, როდესაც საგარეო ვაჭრობა მიმართული იყო მსოფლიო ვაჭრობაში სხვა ქვეყნების ხარჯზე საფრანგეთის ნაწილის გაზრდაზე, ეს იმას ნიშნავდა, რომ საჭირო იყო ექსპორტის ზრდა და იმპორტის შემცირება.

ექსპორტის ზრდაზე, კოლბერის აზრით, დამოკიდებულია ქვეყნის სიმდიდრე და საგადასახადო ძალა და, საბოლოოდ, საფრანგეთის ძლიერება. ფრანგული ექსპორტის ზრდის ქმედით საშუალებათ კოლბერი, პირველ რიგში, იხილავდა მის მიერ წახალისებული ფრანგული მანუფაქტურის ნაწარმის მაღალ ხარისხსა და ხელოსნური პროდუქციის გაერცვლებას ქვეყანაში. ექსპორტის ზრდის მეორე საშუალებად დასახელებულია ოკეანის მიღმა მოქმედი სავაჭრო კომპანიები, პირველ რიგში, ორივე ინდური კომპანია, რადგან ამის საშუალებით შესაძლებელი ხდებოდა სავაჭრო მოგების მიღება საფრანგეთისათვის პოლანდიის ოსტინდური და ვესტინდური ვაჭრობის ხარჯზე, რასაც კოლბერი აღნიშნავდა კიდევაც თავის საფინანსო მემორანდუმში (1670 წ.).

საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის აქტივიზაციის მიზნით კოლბერი საჭიროდ და აუცილებლად თვლიდა ფრანგული სამხედრო და სავაჭრო ფლოტების გაძლიერებას; მისი სამსახურის პირველ წლებშივე დაწერილ მემორანდუმში ცუდ საგარეო სავაჭრო შედეგებს პირველ რიგში ხსნიდა გემების სიმცირით და საფრანგეთის პოლანდიის გემებზე დამოკიდებულებით.

ვაჭრობაში დიდი წილისათვის მეტოქეობა იწვევს საზღვაო ომს. როდესაც კოლბერი მსჯელობდა ამ საკითხებზე, ინგლისი აწარმოებდა საზღვაო ომს ნიდერლანდებთან, რათა პოლანდიელებს მათი სანავიგაციო აქტები ეცნოთ. მისი სიცოცხლის ბოლო წლებში კოლბერი იმაზეც კი ფიქრობდა, რათა ჩრდილო აფრიკელები,

რომლებიც მეკობრეობის გზით ხელს უშლიდნენ ზღვაოსნობას ხმელთაშუა ზღვაში, საფრანგეთის საეპარო ფლოტში ჩაერთო, რათა თავიდან აეცილებინათ საფრანგეთის გემებზე მათი თავდასხმა. სამაგიეროდ ისინი თავს დაესხმებოდნენ სხვა ქვეყნების გემებს, შედეგად კი საფრანგეთი ხმელთაშუა ზღვის ეპარობაში დომინირებულ მდგომარეობას დაიკავედა.

კოლბერის აზრით, საფრანგეთის ძირითადი მეტოქე საგარეო ეპარობაში ნიდერლანდები იყვნენ, რადგანაც ესპანეთს, იტალიას, გერმანიას, ინგლისს და ზოგიერთ სხვა ევროპულ სახელმწიფოს უკვე „ვერცხლისათვის ბრძოლაში“ დამარცხებულებად თვლიდა.

პოლანდიელთა მთავარ ძალას კოლბერი მათ ფლოტში ხედავდა 1669 წელს იგი იმდროინდელ საეპარო ფლოტში 20 ათასამდე გემს ასახელებს, რომელთაგან 75%-ზე მეტი პოლანდიელებისა იყო, შედარებით ნაკლები ინგლისური და კიდევ უფრო ნაკლები – ფრანგული. მისი ინფორმაციით, ჯერ კიდევ 1570 წელს ფრანგული ეპარობა ოკეანეს მიღმა მთლიანად პოლანდიელთა ხელში იყო: საფრანგეთის საექსპორტო ნაწარმის 90% ტრანსპორტირდებოდა პოლანდიელთა გემებით და იყიდებოდა პოლანდიელ შუამავალ ეპარობაში; აგრეთვე იმპორტირებული საქონლის უდიდესი ნაწილი შემოდინდა პოლანდიელ ეპარობა შუამავლობით – მათი გემებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იყო ისინი წარმოებული.

ეკონომიკურ მეტოქეებთან ბრძოლას კოლბერი ყველა საშუალების, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით აპირებდა. ინგლის-ნიდერლანდების სანაეოგაციო აქტების თაობაზე მეორე საზღვაო ომის დროს (1664-1667) კოლბერი იხილავდა იმის შესაძლებლობას, რომ ნიდერლანდები პოლიტიკურად საფრანგეთთან დაეკავშირებინა და მეტოქე მოკავშირედ ექცია.

ზოგადად კოლბერისათვის პოლანდია იყო ყველაზე ძლიერი მეტოქე – აგრეთვე პოლიტიკური და სამხედრო მოწინააღმდეგე ამის გამო იგი იხილავდა ინგლისის და საფრანგეთის ერთობლივ მოქმედებას პოლანდიელთა წინააღმდეგ, როგორც კომბინაციას, რომელიც შემთხვევათა უპრავლესობაში შეესაბამებოდა ინგლისურ

და ფრანგულ ინტერესებს.

როდესაც 1672 წელს ზაფხულში ჩამოყალიბდა კოლბერიისათვის სასურველი სიტუაცია და ნიდერლანდებს წყალსა და ხმელეთზე თავს დაესხნენ მოკავშირე ფრანგები და ინგლისელები, კოლბერმა 1572 წლის 8 ივლისის თავის ლუი XIV-ისადმი მიმართულ მემორანდუმში ჩამოთვალა ომის ის მიზნები, რომლებიც საფრანგეთისათვის იყო სასურველი. მაქსიმალურ მიზნად მიიჩნია ნიდერლანდების სრული დამორჩილება საფრანგეთის მეფისადმი. ამის მიღწევა იმას ნიშნავდა, რომ პოლანდიის ვაჭრობა მეფის ქვეშევრდომ ვაჭრობად გახდებოდა. მინიმალურ მიზნად ითვალისწინებდა იმას, რომ ნიდერლანდები შეინარჩუნებდნენ სუვერენიტეტს, მაგრამ საფრანგეთის ქვეშევრდომები მიიღებდნენ უპირატესობებს, კერძოდ, გაუქმდებოდა საფრანგეთის ღვინისა და მანუაქტურის ნაწარმზე პოლანდიერთა მიერ დაწესებული შემოტანის აკრძალვა, რომელიც შემოიღეს საფრანგეთის მაღალი საბაჟო ტარიფების დაწესების შემდეგ. გარდა ამისა, ნიდერლანდებს უნდა ეცნო საფრანგეთის მეფის უფლება ქვეყნის პორტებში საკუთარი მოსაზრების შესაბამისად ბაჟის დაწესებაზე პოლანდიის გემებსა და შემოტანილ საქონელზე ისევე, როგორც ნიდერლანდებს უნდა ეცნო სანაღვიგაციო აქტები, რომლებზეც კოლბერი გააკრით მიგვიითიებდა მრავალ მემორანდუმში დასახელების გარეშე, რადგან ლუი XIV და მისი გარემოცვის ყოველმა წევრმა იცოდა, თუ რა იგულისხმებოდა იქ, მაშინ მათ უნდა ეცნოთ აგრეთვე საფრანგეთის მაღალი დამცავი საბაჟო ტარიფები ქმედითი საწინააღმდეგო ღონისძიებების გარეშე. მაგრამ ვერ მიაღწიეს ვერც მაქსიმალურ და ვერც მინიმალურ მიზანს, რადგან ფრანგებმა ვერ შესძლეს პოლანდიის მთლიანად დაპყრობა ინგლისმა 1674 წელს სეპარატული საზავო ხელშეკრულება დაუდო ნიდერლანდებს, რომელშიც ნიდერლანდებმა შეუზღუდავად ცნეს სანაღვიგაციო აქტები და ნიდერლანდების დასაცავად დიდი კოალიცია (ესპანეთი, დანია და ბრანდენბურგი) ჩამოყალიბდა.

საფრანგეთმა კი საზავო ხელშეკრულების (1678 წ.) თანახმად საეაჭრო-პოლიტიკური გამარჯვების სახით მხოლოდ საფრანგეთის

საქონლის შემოსაღების აკრძალვის გაუქმებას მიაღწია, მაგრამ ამის სანაცვლოდ იძულებული გახდა დამცავი საბაჟოები შეეზღუდა ზღვაზე ბატონობა ნიდერლანდებისაგან გადაეღოდა არა საფრანგეთზე, როგორც ამას გეგმაყლა კოლბერი, არამედ ინგლისზე.

შთამომავლობაზე კოლბერის ზეგავლენა ეჩვარება, ერთი მხრივ, მის პრაქტიკულ მოღვაწეობას, მეორე მხრივ კი მისი პოლიტიკის შედეგებს. კოლბერის ცალკეულმა ღონისძიებებმა მათ ერთობლიობაში შეკრული სისტემა შექმნა, რომელსაც „კოლბერიზმს“ უწოდებენ. თვით საფრანგეთში კოლბერიზმის მნიშვნელობა სადავო გახდა უშუალოდ მინისტრის სიკედილის შემდეგ.

კოლბერიზმის საგარეო-სავაჭრო მაქსიმუმის კრიტიკისას მიუთითებდნენ, ბატონი კოლბერის ძირითადი იდეისაგან განთავისუფლებაზე, რომლის მიხედვითაც საფრანგეთს არ სჭირდება დანარჩენი მსოფლიო და რომ სასღვარგარეთი უნდა ვაიძულოთ, ჩვენთან საქონლის შექმნას.

კოლბერის ძმისშვილმა დე მარმა, როგორც ფინანსების გენერალურმა კონტროლიორმა, ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე ესპანეთთან რამდენიმე სავაჭრო ხელშეკრულება დადო, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მისი ბიძის სავაჭრო-პოლიტიკურ დოქტრინას.

კოლბერის პოლიტიკის ლიტერატურული დამცველი გახდა ცნობილი ფორტიფიკატორი¹ ვაბანი, რომელიც იცავდა კოლბერის მაქსიმუმს. მაგრამ არც ვაბანი იყო „წმინდა“ კოლბერისტი, რადგან იგი მიუკუთვნებოდა მე-19 საუკუნის დასაწყისში მონარქისტული აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ახლად აღდგენილი არისტოკრატიული ოპოზიციის ლიტერატურულ ბელადებს და ამ ოპოზიციიდან აკრიტიკებდა ლუი XIV-ის პოლიტიკას. კოლბერისათვის კი, პირიქით, მონარქია იყო თავისთავად ცხადი და იგი ეკონომიკას აყენებდა ამ მონარქიის და მისი პოლიტიკის სამსახურში. როდესაც იგი აკრიტიკებდა ლუი XIV-ს, ეს ეხებოდა არა მის პოლიტიკურ სისტემას, არამედ მხოლოდ სახელმწიფო ფინანსებისადმი მის არასოლიდურ

¹ფორტიფიკაცია (ლათ. fortificatio) – სამხედრო-საინჟინრო მეცნიერება ადგილმდებარეობის გამაგრების შესახებ.

მოპურობას

XVIII საუკუნის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის კოლბერის ყველაზე დიდი თაყვანისმცემელი ფრიდრიხ დიდი იყო, რომელმაც საკმაოდ კარგად შეისწავლა მისი მოღვაწეობა. საფინანსო და საეკონომიკურ პოლიტიკაში ფრიდრიხი ნამდვილი „კოლბერისტი“ იყო. საბოლოოდ, მე-19 საუკუნის ევროპის ყველა მონარქისათვის, რომლებიც ქვეყნის მართვას „მერკანტილისტურად“ ცდილობდნენ, დიდი ფრანგი მინისტრის პოლიტიკა მისაღები იყო.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კოლბერის მოღვაწეობის შედეგები. იგი მიეკუთვნებოდა ევროპის კონტინენტზე ფრანგული ჰეგემონიის დამაარსებლებს, რომელიც მხოლოდ ნაპოლეონ I-ის დამხობასთან ერთად დაემხო; მან, კერძოდ, ლუი XIV-ის ჰეგემონურ პოლიტიკას ეკონომიკური და საფინანსო პოტენციალი შეუქმნა. იმ დროს, როცა ჯ.მაზარინი (1602-61 წწ.), ლუი XIV და სხვ. ზღვას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, კოლბერმა მისი ენერგიული ზრუნვის შედეგად საეკონომიკური ფლოტის ზრდას - ძლიერი სამხედრო ფლოტის შექმნას მიაღწია, რის გამოც იგი ითვლება საფრანგეთის საზღვაო ძლიერების დამაარსებლად. მე-19 საუკუნის ბოლომდე საფრანგეთი ინგლისის შემდეგ მეორე საზღვაო სახელმწიფო იყო. საფრანგეთის მრეწველებმა კოლბერის მოღვაწეობის შედეგად სამეურნეო ექსპანსიის და ხარისხის ამაღლებისათვის იმპულსი მიიღეს, რომელმაც ისინი ზოგიერთ სფეროში (განსაკუთრებით ძვირი ლუქისსაქონლის და საერთოდ, ფართო მოხმარების საქონლის მიმართულებით, სადაც გემოვნებას და მოდას დიდი მნიშვნელობა ენიჭება) ევროპაში წამყვან პოზიციაზე მიიყვანა.

ლიტერატურა

1. Баршевская Н.Е., Промышленная политика Кольбера, Ворошиловград, 1940.
2. Поршнев Б.Ф., Народные восстания во Франции при Кольбере — в сб., Ср. века, М.-Л., 1946.

3. Blaiich Fr., Die Epoche des Merkantilismus, Wiesbaden, 1973.
4. Lettres, Instruction et memoires de Colbert, P.: 1861-82; 1834; 1979.
5. Malettke Kl., J.-B. Colbert, Cöttingen, 1977.
6. Mongredien Georg., Colbert, P., 1963.
7. Farrere Caude, J.-B. Colbert, Paris: 1954; 1965.
8. Cole G. W., Colbert and a century of French Merkantilism, N. Y.: 1939; 1964.
9. Gaxotte P., Ludwig XIV, Frankreichs Aufstieg in Europa, München, 1951.
10. Hechscher E., D., Merkantilismus Iena, 1932.

პროფ. ნ. პაიჭაძე

მოსახლეობის დასაძმების აქტუალური პრობლემები საბაზრო ეკონომიკის პირობებში

დასაქმება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია. ამასთან, იგი სოციალური ხასიათისაა. იგი გამოსახავს ადამიანთა მოთხოვნილებას არა მარტო შემოსავლებზე, არამედ საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობაზე და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განსაზღვრული დონის დროს.

დასაქმება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, არის მოქალაქეთა სასარგებლო საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან და, რომელსაც, როგორც წესი, თან ახლავს შრომითი შემოსავალი.

ეკონომიკის განვითარების თითოეულ ეტაპს შეესაბამება დასაქმების გარკვეული მოდელი (კონცეფცია). დასაქმების კონცეფციასაა შეხედულებებისა და წარმოდგენების სისტემა, რომელიც ახასიათებს დასაქმების მდგომარეობას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე. თანამედროვე

პირობებში ჩვენს ქვეყანაში ყალიბდება სოციალური მიმართულების საბაზრო ეკონომიკა. ამიტომ დასაქმების კონცეფცია მოწოდებულია უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

1) როგორი უნდა იყოს დასაქმება ეკონომიკის აღნიშნული ტიპისას;

2) რა ცვლილებები მოხდება ძირითად მახასიათებლებში;

3) რა უნდა გაკეთდეს აღნიშნული ცვლილებების გატარებისას.

ჩვენს ქვეყანაში მიღებულია კანონი დასაქმების შესახებ. მასში ფორმულირებულია ძირითადი დებულებანი დასაქმების შესახებ. ამ კანონის პირველი პრინციპია თითოეული მოქალაქის უფლება სრულად განაგებდეს თავის შესაძლებლობებს მწარმოებლური და შემოქმედებითი შრომის სფეროში. რაიმე ფორმით შრომისადმი ძალდატანება დაუშვებელია, კანონით დაწესებული განსაკუთრებული შემთხვევების გარდა. ფაქტობრივად ცხოვრებაში დამკვიდრდა ერთ-ერთი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობა-შრომის ნებაყოფლობითობა. ახლა ყველა მოქალაქეს აქვს უფლება თვითონ გადაწყვიტოს მიიღოს თუ არა მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში. სახალხო მეურნეობაში დასაქმება უკვე არაა პრაქტიკულად ერთადერთი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის ფორმა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სოციალისტური ეკონომიკის პირობებში. შრომის სფერო გახდა საზოგადოებრივად სასარგებლო დასაქმების ერთ-ერთ თანაბარუფლებიან და თანაბარმისაწედომ სფეროდ, ისე როგორც სწავლა, საოჯახო მეურნეობა, ბავშვების აღზრდა და ა.შ. ნებაყოფლობითი დასაქმების აღკვეთის მიზეზი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი დასაქმება, რომელიც არის უკანონო შემოსავლების წყარო.

დასაქმების პირველი პრინციპიდან გამომდინარე, ყოველ ადამიანს უფლება აქვს იმუშაოს იქ და იმ რაოდენობით, როგორც მას სურს. თითოეულს უფლება აქვს დამოუკიდებლად აირჩიოს მუშაობისა და სწავლის მისთვის მოსახერხებელი რეჟიმები. თითოეული მოქალაქე თვითონ წყვეტს, აგრეთვე, ეკონომიკის რომელ დარგში ან სექტორში (საკუთრების ფორმის მიხედვით) დასაქმდეს,

თვითონვე ირჩევს პროფესიას და ა.შ. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ არ შეიძლება ადამიანთა ზემოაღნიშნული უფლებების გაიგივება საზოგადოების მოვალეობასთან - დააკმაყოფილოს თითოეულის მოთხოვნა დასაქმების ან პროფესიის ამა თუ იმ სახეში. საზოგადოების როლი ისაა, რომ შექმნას ყველასათვის თანაბარი სამართლებრივი პირობები მათი შესაძლებლობების რეალიზაციისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს დასაქმების მეორე პრინციპი - მოქალაქეთა შრომაზე უფლების რეალიზაციისათვის პირობების შექმნაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. ამასთან, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკას საფუძველად ედება არა დასაქმების ფორმებისა და რეჟიმების მკაცრი რეგლამენტაცია, არამედ ადამიანთა კანონით დადგენილი უფლებები შრომის სფეროში.

სახელმწიფოს მხრიდან შრომაზე უფლების განხორციელების პირობების შექმნა მდგომარეობს საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკურად თავისუფალ მონაწილეთა ეკონომიკური ქცევის კორექტირებაში არაპირდაპირი (ირიბი) მეთოდებით. ამასთან, დასაქმებაზე სახელმწიფოს არაპირდაპირი ზემოქმედება ძირითადად უნდა ითვალისწინებდეს წამახალისებელ და მასტიმულირებელ ღონისძიებებს. არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც არღვევს ადამიანთა თავისუფლებას, მათ ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს. დასაქმებაზე სახელმწიფოს არაპირდაპირ ზემოქმედებას შეიძლება გააჩნდეს ისეთი ასპექტები, როგორიცაა: დასაქმების პროცესების რეგულირება სასურველი მიმართულებით, სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სუბიექტთა აქტიური მონაწილეობა დასაქმების გაუმჯობესების მიმართულებების შემუშავებაში და მის რეგულირებაში და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხდება სრული დასაქმების ცნების ტრანსფორმირება. იცვლება მისი ძველი განმარტება, რომლის მიხედვითაც სრულ დასაქმებაში იგულისხმებოდა საზოგადოებრივ წარმოებაში შრომისუნარიანი მოსახლეობის მაქსიმალურად ჩაბმა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სრული დასაქმება შეიძლება მიღწეულ იქნეს საზოგადოებრივ წარმოებაში შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩაბმის ნებისმიერი დონისას, თუ იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სამუშაო ადგილებზე ეკონომიკური მიზანშეწონილობის პირობებში. ამასთან, ეკონომიკურად მიზანშეწონილ სამუშაო ადგილში იგულისხმება ისეთი სამუშაო ადგილი, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს მიაღწიოს შრომის მაღალ ნაყოფიერებას და ჰქონდეს ისეთი გამომუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მის და მისი ოჯახის ღირსეულ არსებობას, არ ვნებს ჯანმრთელობას და არ ამცირებს ადამიანურ ღირსებას. ამრიგად, სრული დასაქმება არაა პროფესიული შრომის სფეროში ყველა შრომისუნარიანი მოქალაქის ჩაბმის ტოლფასი. ადამიანს უფლება აქვს თავისი სურვილით აირჩიოს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის ნებისმიერი სფერო (პროფესიული შრომა სახალხო მეურნეობაში, სწავლა წარმოებიდან მოწყვეტით, საოჯახო მეურნეობა და ა.შ.). ამასთან რეგულირებას ძირითადად ექვემდებარება პროფესიული შრომით დასაქმება. პროფესიული შრომით დასაქმების დონე, რომელიც შეიძლება განისაზღვროს მომუშავეთა (საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) საერთო რიცხვის შეფარდებით შრომითი რესურსების რაოდენობასთან, ასახავს მიღწევებს შრომის ნაყოფიერებისა და განვითარების სოციალური ეფექტიანობის სფეროში. აქედან გამომდინარე, დასაქმება შეიძლება ჩაითვალოს ოპტიმალურად, თუ იგი სრულად შეესაბამება წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ინტერესებს და მისი ინტენსიფიკაციის შედეგებს, ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევას და ნერგვას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, აგრეთვე, ქმნის კეთილსასურველ პირობებს ჯანმრთელი მომავალი თაობისა და მაღალკვალიფიციურ მუშაკთა კელაეწარმოებისათვის.

სრულ დასაქმებას, რომელიც პასუხობს ზემოჩამოთვლილ ყველა პირობას, უწოდებენ პროდუქტიულ დასაქმებას. იმ შემთხვევაში, როცა სრული დასაქმება მიიღწევა ისეთი სამუშაო ადგილების არსებობით, რომლებიც არ შეესაბამებიან მომუშავეთა პროფესიულ-საკვალიფიკაციო

და საგანმანათლებლო ღონეს, ან ქვეყანაში დასაქმების მასშტაბები ეწინააღმდეგება კვალიფიციური კადრების კელაეწარმოების ამოცანებს და ნორმალურ დემოგრაფიულ განვითარებას, იგი ეწინააღმდეგება ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს და არ შეიძლება ჩაითვალოს რაციონალურად.

ამრიგად, სრული პროდუქტიული დასაქმება ასახავს სამუშაოზე მოსახლეობის მოთხოვნასა და სამუშაო ადგილებს შორის რაოდენობრივ დაბალანსებულობას, რომლის დროსაც იქმნება კეთილსასურველი პირობები სოციალური და ეკონომიკური პროგრესისათვის, ე.ი. გათვალისწინებულია როგორც ცალკეული პიროვნების, ისე მთელი საზოგადოების ინტერესები.

სრული პროდუქტიული დასაქმებისას ობიექტურად ყალიბდება შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების სფეროებს შორის გარკვეული პროპორციები. საზოგადოებრივი შრომის მნიშვნელოვან სფეროებს შორის შრომითი რესურსების განაწილებაში სოციალურად დასაბუთებული პროპორციები, დასაქმების ზემოაღნიშნული გაგებით, სრული დასაქმების მიღწევის აუცილებელი პირობაა. ასეთი პროპორციების მიღწევაში დიდია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი.

დასაქმების სტატუსი განისაზღვრება შრომითი რესურსების იმ ნაწილისათვის, რომელიც მონაწილეობს საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობაში. ესაა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც შემოსავლის მიღების მიზნით თავაზობს სამუშაო ძალას საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, ან მოსახლეობის ის ჯგუფი, რომელიც მონაწილეობს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში, რომელსაც არ მოაქვს პირდაპირი ფულადი შემოსავალი, ან მოაქვს შემოსავალი, მაგრამ იგი უშუალოდ არაა დაკავშირებული საქონლის და მომსახურების წარმოებასთან.

პირველ ჯგუფში შედიან მოქალაქეები, რომლებიც დასაქმებულია: ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში; კოოპერატივებსა და სააქციო საზოგადოებებში; კერძო სექტორში. მეორე ჯგუფში შედიან: მოსწავლეები წარმოებიდან მოწყვეტით; ქვეყნის არმიის

მოსამსახურეები და სხვ.

ამრიგად, დასაქმებულ მოსახლეობას მიეკუთვნებიან მოქალაქეები, რომლებიც მუშაობენ დაქირავეებით სრული ან არასრული სამუშაო დღის (კვირის) პირობებში, აგრეთვე, გააჩნიათ შესაბამისი ხელშეკრულებით, კონტრაქტით ან შეთანხმებით დამოწმებული ანაზღაურებადი სამუშაო, მაგრამ დროებით არ მუშაობენ სხვადასხვა მიზეზით (აუადამიოფობია, შეეზულება, გაფიცვა, წარმოების დროებით შეჩერება და სხვ.). დასაქმებულად ითვლებიან, აგრეთვე, პირები, რომლებიც დამოუკიდებლად პოულობენ სამუშაოს, მათ შორის, მეწარმეები და ფერმერები, მოსწავლეები, სამხედრო სამსახურში დასაქმებულები.

მოსახლეობა, რომელიც ეძებს სამუშაოს, დროებით არ მუშაობს სეზონურ დასაქმებასთან და სამუშაოს შეცვლასთან დაკავშირებით, ან არ სწავლობს სამუშაოდან მოწყვეტაზე, მიეკუთვნება ეკონომიკურად აქტიურ დაუსაქმებელ მოსახლეობას ამ კატეგორიას მიეკუთვნება, აგრეთვე, პირები, რომელთაც გააჩნიათ უმუშევრის სტატუსი.

დასაქმების მდგომარეობა განპირობებულია ეკონომიკური, დემოგრაფიული და სოციალური პროცესებით. დასაქმების ეკონომიკური შინაარსი გამოიხატება მომუშავეის შესაძლებლობაში თავისი შრომით უზრუნველყოს თავისი ღირსეული არსებობა და ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდას, სოციალური გამოიხატება პიროვნების ფორმირებასა და განვითარებაში, ხოლო დემოგრაფიული - დასაქმებისა და მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ და სტრუქტურულ ურთიერთდამოკიდებულებაში.

დასაქმების ეფექტიანობა ეფექტიანად ითვლება მოსახლეობის ისეთი დასაქმება, რომელიც შრომის ნაყოფიერების ამაღლების საფუძველზე უზრუნველყოფს საკმარის შემოსავალს, ადამიანის ჯანმრთელობას, საზოგადოების თითოეული წევრის საგანმანათლებლო და პროფესიული დონის ამაღლებას.

დასაქმების ეფექტიანობის დახასიათება შეიძლება სხვადასხვა მაჩვენებლით. უპირველეს ყოვლისა, ესაა საზოგადოების შრომითი რესურსების განაწილების პროპორციები საზოგადოებრივად

სასარგებლო საქმიანობაში მათი მონაწილეობის ხასიათის მიხედვით. იგი გეოგენებს შრომის ნაყოფიერების რა დონეზე ხდება მოსახლეობის დაქმნა ნაყოფიერება სამუშაოთი და რა გზებით მიღწევა სრული დასაქმება შრომის ნაყოფიერების მაღალი დონე საზოგადოებას საშუალებას აძლევს მეტი ყურადღება მიაქციოს განათლებას, დასვენებას, ბავშთა აღზრდას აქედან გამომდინარე, სრული დასაქმება შეიძლება მიღწეულ იქნეს შრომისუნარიანი მოსახლეობის საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმების შედარებით დაბალი დონისას. მოცემულ შემთხვევაში იზრდება სწავლასა და ოჯახურ მეურნეობაში დასაქმებულთა წილი.

დასაქმების ეფექტიანობის მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დონე საზოგადოებრივ მეურნეობაში სტატისტიკურად იგი გამოითვლება შემოსავლის მომტანი პროფესიული შრომით დასაქმებული მოსახლეობის შეფარდებით მთელ შრომისუნარიან მოსახლეობასთან. ეკონომიკურად ეს მაჩვენებელი ასახავს, როგორც საზოგადოებრივი წარმოების მოთხოვნილებას მომუშაებებზე, ისე მოსახლეობის მოთხოვნილებას სამუშაო ადგილზე. ყველა შემთხვევაში პროფესიული შრომით დასაქმების მაღალი დონე მიუთითებს დასაქმების დაბალ ეფექტიანობაზე, რამდენადაც ერთ შემთხვევაში დასაქმება ვერ უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების საკმარის დონეს, ხოლო მეორე შემთხვევაში - შრომის ანაზღაურების მისაღებ დონეს.

გეგმური ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო ცდილობს რაც შეიძლება მეტი შრომისუნარიანი მოსახლეობა ჩაებას საზოგადოებრივ წარმოებაში. 1970 წელს საქართველოში საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმული იყო შრომითი რესურსების 80%-მდე. შემდგომ წლებში იგი უმნიშვნელოდ იზრდებოდა, რამდენადაც მან უკვე მაღალია მაქსიმალურ სიდიდეს. მოყვანილი ციფრები მიუთითებს მოსახლეობის მოთხოვნილებას სამუშაოზე ეკონომიკის არაეფექტიანი ფუნქციონირების პირობებში. ფაქტობრივად მოცემულ წლებში ადგილი ჰქონდა ზედდასაქმებას. ასეთი დასაქმება ართულებს მომუშავეთა სოციალურ-პროფესიულ განვითარებას, უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და ხელს უშლის ოჯახისა და

პიროვნების პარმონიულ განვითარებას.

აღსანიშნავია, ქვეყნის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში ყოველთვის არის ნაწილი, რომელიც ეძებს სამუშაოს ფაქტობრივად საქმე გვაქვს უმუშევრობასთან. უმუშევრობის არსს განიხილავენ თეორიულ და გამოყენებით ასპექტში. ზოგადთეორიული თეაღსაზრისით უმუშევრობა გამოხატავს ეკონომიკაში სამუშაო ძალის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის რაოდენობრივ და სტრუქტურულ (ტერიტორიული, პროფესიულ-კვალიფიკაციური და სხვ.) შეუსაბამობას ესაა საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მუდმივი თვისება.

უმუშევრობის შეფასება და აღრიცხვა ხდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების საფუძველზე ჩვენში უმუშევრად ითვლება 16 წლის და 16 წელს გადაცილებული პირები, რომლებსაც მოცემულ პერიოდში არ გააჩნიათ სამუშაო ან სხვა შემოსავლიანი საქმე, დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით ეძებენ სამუშაოს და მზად არიან შეუდგნენ მუშაობას. ცხადია, მოცემულ კატეგორიაში არ შექყავთ მოსწავლეები და სამხედრო მოსამსახურეები.

უმუშევრობასთან დაკავშირებით ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება ტერმინები: „ფარული უმუშევრობა“ და „არაფორმალური დასაქმება“. ფარულ უმუშევრებში იგულისხმება ის მომუშავეები, რომლებიც ზედმეტი გახდა წარმოების დაცემასთან ან მასში წარმოების სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით, მაგრამ ფორმალურად ირიცხებიან დასაქმებულად და რომლებიც განსაზღვრულ პირობებში (საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილებისას, თვით მომუშავეის სურვილით და სხვ.) ან საერთოდ გამოთავისუფლდება წარმოებიდან და შეავესებს შრომის ბაზარს, ან გადავა ეფექტიანად (აქტიურად) დასაქმებულთა რიგებში. ცნებაზე „არაფორმალური დასაქმება“ ჯერ კიდევ ერთიანი აზრი არ არსებობს დასაქმების პრობლემაზე მომუშავე ზოგიერთი მკვლევარი არაფორმალურ დასაქმებულებს, ჩვენი აზრით ხამართლიანად, მიაკუთვნებს იმ პირებს, რომელთა ეკონომიკური საქმიანობა არაა რეგისტრირებული კანონმდებლობის შესაბამისად

და რომლებიც არ იხდიან გადასახადს.

დასაქმების ეფექტიანობის შესაძენი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მომუშავეთა განაწილების სტრუქტურა სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით, რაც არსებითად არის საქმიანობის მიხედვით შრომითი პოტენციალის განაწილების პროპორცია. თანამედროვე პირობებში დასაქმებულთა დარგობრივი სტრუქტურა მიუთითებს საზოგადოების შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის დაბალ დონეზე. აუცილებელია მომავალში მოხდეს აღნიშნული სტრუქტურის ძირეული ცვლილება ორიენტაცია უნდა გაუკეთდეს დასაქმებულთა სტრუქტურის მსოფლიო ტენდენციებზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია დასაქმებულთა ხედვითი წონის ზრდა მომსახურების სფეროში, განათლებასა და მეცნიერებაში. ახლა ჩვენში საწინააღმდეგო მოვლენები ხდება. განსაკუთრებით საგანგაშოა მეცნიერებაში შექმნილი მდგომარეობა. აქ დასაქმებულთა რიცხვი არა თუ იზრდება, არამედ მცირდება კიდევ. შემოქმედებითი მუშაობისათვის არაკეთილსასურველი პირობების გამო მეცნიერმუშაკთა ნაწილი სამუშაოდ სხვა ქვეყნებში მიემგზავრება. ხდება აგრეთვე, მეცნიერებიდან და მეცნიერებატყვეადი წარმოებიდან მომუშავეთა მასობრივი გადასვლა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში (ვაჭრობა, საშუაშაველო საქმე და სხე).

დასაქმების ეფექტიანობის მეოთხე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მომუშავეთა პროფესიულ-საკვალიფიკაციო სტრუქტურა იგი გვიჩვენებს დასაქმებულთა მოსახლეობის განაწილებას პროფესიულ-საკვალიფიკაციო ჯგუფების მიხედვით და გამოხატავს კვალიფიციურ მომუშავეებზე ეკონომიკის მოთხოვნასთან კადრების მომზადების სისტემის დაბალანსების ხარისხს.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში მომუშავე მოსახლეობის პროფესიულ-საკვალიფიკაციო სტრუქტურა ჩვენს ქვეყანაში ნათლად მიუთითებს დასაქმების არაეფექტიანობაზე. ამ მხრივ იგი მკვეთრად განსხვავდება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებისაგან. დარღვეულია თანაფარდობა უმაღლესი, საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის პირებს შორის, როგორც გონებრივად. ისე

ფიზიკურად დასაქმებულებში. ჩვენს ქვეყანაში გონებრივი შრომით დასაქმებულებში გაუმაროლებლად მაღალია ხელმძღვანელების ხვედრითი წონა, ვიდრე ისეთ მოწინავე ქვეყნებში, როგორცაა აშშ, გერმანია და სხვ. რაც შეეხება ტექნიკურ შემსრულებლებს, პირიქით, მათი წილი გაუმართლებლად დაბალია. ამ მხრივ მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა ბოლო წლებში, რაც გამოწვეულია უმაღლესი განათლების სისტემაში შექმნილი ანარქიით. 90-იან წლებში, ქვეყანაში, ყოველივე საჭიროებისა და დასაბუთების გარეშე გაიხსნა ასეულობით კერძო უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიაც შედის ქვეყნის მთელი ახალგაზრდობა, მიუხედავად იმისა, გააჩნიათ თუ არა დასაუფლებელი სპეციალობის ათვისების უნარი. სამაგიეროდ, ყოველგვარი ყურადღების გარეშეა მიტოვებული მუშათა კადრების მომზადება. ცხადია, ყოველივე ეს სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს ქვეყანას. მისი უარყოფითი მოვლენები კიდევ უფრო გაძლიერდება მომავალში.

მაჩვენებელთა შემოთავაზებული სისტემა საშუალებას იძლევა მაკროდონესე შეფასდეს დასაქმების ეფექტიანობის არსებითი მახასიათებლები.

ეკონომიკის სოციალური ორიენტირების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია დასაქმებისადმი დამოკიდებულება. დასაქმება უნდა განვიხილოთ როგორც გლობალური სოციალური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.

როგორც მინიმუმი, უნდა გავითვალისწინოთ დასაქმების ოთხი სოციალური ასპექტი:

1) დასაქმების განუყოფელი კავშირი ადამიანის მნიშვნელოვან კონსტიტუციურ უფლებასთან - შრომის უფლებასთან;

2) დასაქმების განმსაზღვრელი როლი ცხოვრების დონისა და არსებობის ღირსეული პირობების ფორმირებაში;

3) მაღალეფექტიანი შრომის ახალი მოტივაციის ფორმირება, რომელიც თითოეულისა და მთლიანობაში მთელი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების საფუძველია;

4) შრომითი საქმიანობის როლი ადამიანის ჩამოყალიბებაში,

მისი პროფესიული შესაძლებლობების გაფართოებაში, პიროვნების სტიმულირების განვითარებაში.

დასაქმება, სოციალური პოლიტიკის სხვა ასპექტებთან ერთად, განიხილება, როგორც განვითარების ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი, რომელიც განსაზღვრავს სახალხო მეურნეობაში ფინანსური, მატერიალური და შრომითი რესურსების გადანაწილებას (გადაჯგუფებას), მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებებს, მწარმოებლური ძალების განლაგებას, ცხოვრების ხარისხისა და ღონის ამღლელების გზებს სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაში დასაქმების ძირითადი მხარეები:

1) სრული და ეფექტიანი დასაქმების ბალანსირებული შეხამება;
 2) შრომის ნებაყოფლობითობა და ადამიანის უფლებებისა და მოვალეობათა პარმონიზაცია შრომის სფეროში, მომუშავეთა სოციალურ კმაყოფაზე ყოფნის გადალახვა, მოქალაქეთა და სახელმწიფოს თანაბარი პასუხისმგებლობა მუშაობის შესაძლებლობისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ცხოვრებას;

3) შრომის ეფექტიანობის ამღლეების მიზნით სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა შრომის სფეროებს, დარგებს, პროფესიებსა და ტერიტორიებს შორის;

4) ახალი შრომითი მოტივაცია, მომუშავეთა ბეჯითობა და დიდი დაინტერესება მაღალმწარმოებლური შრომით;

5) მშრომელთა მდგომარეობისათვის საბაზრო ეკონომიკისათვის უარყოფითი შედეგების მიზანმიმართული შემსუბუქება.

ზემოაღნიშნული მხარეები განსაზღვრავს დასაქმების ახალ ხარისხობრივ მახასიათებლებს, რომელთა ფორმირებას ხელს უწყობს დასაქმების შესაბამისი პოლიტიკა დასაქმების პოლიტიკას გააჩნია რამდენიმე დონე: საერთო-სახელმწიფოებრივი (მაკრო დონე), რეგიონული და ლოკალური დასაქმების ყველა დონე გაერთიანებულია დასაქმების ერთიანი კონცეფციით, რომელიც ასახავს ეკონომიკური განვითარების მიღებულ ტიპს.

დასაქმების პოლიტიკა მაკრო დონეზე უნდა ატარებდეს

კომპლექსურ ხასიათს და მიმართული იყოს სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში დასაქმების ძირითადი მხარეების ფორმირებისაკენ.

შრომის და მთელი ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებასთან ერთად მოსახლეობას უნდებოდა მატერიალური საფუძველი ცხოვრების ნორმალური დონე უზრუნველყოს დასაქმების დონის შემცირების პირობებში. მოცემულ შემთხვევაში ფართო გაერცვლებას პოულობს მუშაობის რეჟიმი არასრული სამუშაო დღით და არასრული სამუშაო კვირით. დღის წესრიგში დგება სამუშაო დროისა და დასვენების დროის შეხამების პრობლემა, თითოეულ მოქალაქეს ეძლევა შრომის, სწავლის, დასვენების, ბავშვთა აღზრდისა და ა.შ. მონაცვლეობის შესაძლებლობა.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო ადგილების მოთხოვნებისა და მიწოდების დაბალანსების საკითხს. მისი სწორად გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებლობის მიღწევის პირობებისადმი კომპლექსური მიდგომისას.

სამუშაო ადგილების მიწოდებისა და მოთხოვნის სოციალურად და ეკონომიკურად მისაღები დაბალანსება შეიძლება მხოლოდ მოსახლეობის შრომაზე მოთხოვნასა და სამუშაო ადგილების მიწოდებაზე ერთდროული ზემოქმედებით. ცნობილია, რომ შრომის მაღალი ეფექტიანობის პირობებში კლებულობს მოსახლეობის მოთხოვნა მწარმოებლურ შრომაზე და შესაბამისად სამუშაო ადგილებზე. აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ მოცემულ პრობლემას ყოველთვის უნდა მიუვდეთ საზოგადოების და, უპირველეს ყოვლისა, წარმოების განვითარების კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე. თანამედროვე პირობებში (90-იანი წლები) ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით დაბალია შრომის ეფექტიანობის დონე. შესაბამისად დაბალია შრომის ანაზღაურების სიდიდე. აქედან გამომდინარე, მაღალია მოსახლეობის მოთხოვნა შრომაზე. მიახლოებითი გაანგარიშებით მომუშავე ქალების მესამედი თანახმაა დატოვოს სამუშაო იმ შემთხვევაში, თუ მისი მეუღლე გამოიმუშავეს იმდენს, რამდენსაც ორივე ერთად გამოიმუშავეს ახლა. ასეთებია, აგრეთვე

მომუშავე პენსიონერებიდან 60%-ზე მეტი, რომლებიც იძულებულნი არიან იმუშაონ მხოლოდ მატერიალური ხელმოკლეობის გამო. თუ მოსახლეობის აღნიშნულ ჯგუფებს საშუალება ექნებოდა (ეკონომიკური მოსაზრებით), გაეკეთებინათ თავისუფალი არჩევანი „იმუშავათ თუ არა“, მკვეთრად შემცირდებოდა მოთხოვნა სამუშაო ადგილებზე. ამ პრობლემის გადაწყვეტას ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდება. ახლა ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, მოსახლეობის მოთხოვნა შრომაზე განსაკუთრებით მაღალია, რაც ართულებს სამუშაო ადგილების პრობლემას.

მომავალში აუცილებელია მეცნიერულ-ტექნიკური და ორგანიზაციული პროგრესის საფუძველზე მკვეთრად ამაღლდეს შრომის ეფექტიანობა დაიხვეწოს სოციალური დახმარების პროგრამები, ბაშვიან ქალებზე, პენსიონერებზე და სხვ., შეიქმნას ნორმალური პირობები სწავლისა და შრომის შეთავსებისათვის. ყოველივე აღნიშნული შეამცირებს ჭარბდასაქმებას და უზრუნველყოფს სრულ და ეფექტიან დასაქმებას.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არაა ქვეყანა განვითარებული საბაზრო ეკონომიკით, რომელსაც მიეღწიოს სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობისათვის შრომის სფეროში მოქნილობის გამოყენების გარეშე. ლაპარაკია, სამუშაო რეჟიმზე არასრული სამუშაო დღით, არასრული სამუშაო კვირით და ა.შ. მაგალითად, შეედითში, სადაც წარმატებით გადაწყვეტილია შრომის უფლების რეალიზაციის პრობლემა, მომუშავე ქალთა 45% მუშაობს არასრული სამუშაო დღით.

დასაქმების მოქნილობის პრობლემაში მთავარია ნებაყოფლობითობა. ყველას უნდა ჰქონდეს უფლება თავისი კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, აირჩიოს მუშაობის ესა თუ ის რეჟიმი.

მთელი ეკონომიკის რეფორმირებისა და დასაქმების ახალი ხარისხობრივი მდგომარეობის ფორმირების ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა შრომის მოტივაცია ეკონომიკაში ყოველგვარმა გარდაქმამ აუცილებლად ასახვა უნდა ჰპოვოს შრომის მოტივაციაში.

პრივატიზაციისა და განსახელმწიფოებრიობის მთავარი მიზანია მომუშავეთა დაინტერესების ზრდა შრომის შედეგის ამაღლებით. თუ საკუთრებისა და მეურნეობრიობის შეცვლას არა აქვს ახალი შრომითი მოტივაცია და არ მაღლდება შრომის ეფექტიანობა, ეს ნიშნავს იმას, რომ ახალი მექანიზმები სათანადად ვერ მოქმედებენ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს ასეც არის. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციამ ვერ მოიტანა ის შედეგები, რასაც მისგან საზოგადოება მოელოდა. ჯერ კიდევ დაბალია შრომის მოტივაცია. მასობრივად ვერ დამკვიდრდა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი - „თითოეულმა თავისი შრომით უზრუნველყოს თავისი და თავისი ოჯახის ღირსეული ცხოვრება“.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს რომ ბაზარი ქმნის მხოლოდ პირობებს და არა შრომისადმი ახალი დამოკიდებულებისა და მაღალნაყოფიერი შრომის გარანტიას. შრომითი მოტივაცია დამოკიდებულია შრომის პირობებისა და ადამიანის ცხოვრების ფაქტორთა ერთობლიობაზე ამიტომ, საკუთრებისა და მეურნეობრიობის, შრომის ანაზღაურებისა და მთელი საგანმანაწილებლო პოლიტიკის რეფორმირებასთან ერთად საჭიროა არანაკლები მონდობება იმისათვის, რომ მომუშავეს არა მარტო სურდეს მეტი გამოიმუშაოს, არამედ შეეძლოს გააკეთოს ეს ასე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ ჯანმრთელობას.

სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფები დასაქმების სფეროში. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებად გამოყოფა ხდება სქესისა და ასაკის მიხედვით.

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები, რომლებიც გაერთიანებულია საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში მათი მონაწილეობის ნიშნის მიხედვით, ცნობილია სახელწოდებით „მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფები“. პრაქტიკიდან გამომდინარე, სქესისა და ასაკის მიხედვით მოსახლეობის დასაქმების თავისებურებების გათვალისწინების მიზნით მიზანშეწონილია გამოიყოს მოსახლეობის შემდეგი სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფები:

მამაკაცები, ქალები, ახალგაზრდობა (შრომააქტიური მოსახლეობა - 16-34 წლის), საშუალო ასაკის პირები (35-54 წლის), წინასააქენსიო ასაკის პირები (55 წლის და მეტი), საპენსიო-ასაკის პირები.

ყველაზე მსხვილი სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებია - მამაკაცები და ქალები, რომელთა შრომის გამოყენების პირობებს გააჩნიათ სპეციფიკური თავისებურებანი. მოსახლეობის მოცემული ჯგუფებისადმი დიფერენცირებული მიდგომის საფუძველია მათი სქესობრივი განსხვავება. მამაკაცებს ბუნებრივად გააჩნიათ მეტი ფიზიკური ძალა და გამბედაობა. მათი ორგანიზმი უფრო იტანს წარმოებითი სფეროს მანევრე ფაქტორების ზემოქმედებას, ვიდრე ქალებისა. მამაკაცები, როგორც წესი, უფრო მტკიცე და გამბედავები არიან. აქედან გამომდინარე, მამაკაცების შრომის გამოყენების სფერო უფრო ფართოა, ვიდრე ქალებისა. ქალებს კარგად აქვთ ცანეთთარებული ისეთი თვისებები, როგორიცაა გულმოდგინება და აკურატულობა, ყურადღება, სიფხიზლე და ემოციურობა. ამიტომ ქალის შრომა წარმატებით გამოიყენება იქ, სადაც შრომის შინაარსი და პირობები მოითხოვს ზემოაღნიშნულ თვისებებს.

ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, კაცებისა და ქალების შრომა ავსებენ ერთმანეთს. ამიტომ, მაღალეფექტიანი ეკონომიკის არსებობის ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოება უნდა ცდილობდეს შექმნას დასაქმების ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მამაკაცებისა და ქალების რიცხოვნობის ოპტიმალურ თანაფარდობას როგორც ეკონომიკის დარგებში, ისე პროფესიების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ქალთა სამუშაო ძალის სპეციფიკაში, განსაზღვრულ როლს თამაშობს დედობა რაც უფრო სრულად იქნება ეს ფაქტორი გათვალისწინებული, მით უფრო უკეთესი პირობები შეიქმნება ქალთა პროფესიონალური შრომისა და მოსახლეობის კვლავწარმოების შეთავსებისათვის.

ახალგაზრდობის ეკონომიკური და სოციალური ფუნქცია დასაქმებაში განისაზღვრება მისი როლით ქვეყნის შრომითი პოტენციალის ფორმირებაში. პირობითად ამ კონტინგენტში გამოყოფენ

ორ დიდ ჯგუფს: მოსწავლეები და მომუშავე ახალგაზრდები. ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში ახალგაზრდობის (16-34 წლის) ხვედრითი წონა შედარებით დაბალია. ჩვენს ქვეყანაში იგი 25%-ის ფარგლებშია. 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით ახალგაზრდობის თითქმის ყოველი მეოთხე სწავლობდა წარმოებიდან მოწყვეტით. 90-იან წლებში ე.წ. საერო (კერძო) უმაღლესი სასწავლებლის ბუმიმა მკვეთრად გაზარდა ახალგაზრდობის (16-34 წლის) ჯგუფში მოსწავლეთა ხვედრითი წონა.

უკანასკნელ წლებში შრომის ბაზარზე 16-34 წლის ახალგაზრდობის მდგომარეობა ხასიათდება არაერთგვაროვანი პროცესებით. ერთი მხრივ, გართულებულია ახალგაზრდობის შრომითი მოწყობა. უმუშევართა ხვედრითი წონა აქ უყრო მაღალია, ვიდრე საერთოდ მთელ მოსახლეობაში. მეორე მხრივ, რეგისტრირებული ახალგაზრდა უმუშევრების რიცხოვნობა უფრო ნელა იზრდება, ვიდრე უმუშევრებისა მთელ მოსახლეობაში. ეს უკანასკნელი ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ახალგაზრდობა სამუშაოს მოსაძებნად შედარებით ნაკლებად მიმართავენ დასაქმების სპეციალურ სამსახურს, რამდენადაც არ აწყობს მის (დასაქმების სამსახურის) მიერ შემოთავაზებული პირობები (მათ შორის, ხელფასის სიდიდე). ამრიგად, ახალგაზრდობა სამუშაოს უმეტესად ეძებს დამოუკიდებლად და ხშირ შემთხვევაში დასაქმებული არიან ე.წ. არაფორმალურ სფეროში, ე.ი. არსად არ არიან რეგისტრირებული. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დასაქმებული ახალგაზრდობის უმეტესობა მუშაობს ფიზიკურ სამუშაოზე ისეთ დარგებში, როგორიცაა: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ა.შ.

16-34 წლის უმუშევარ ახალგაზრდებში უფრო მაღალი ხვედრითი წონით წარმოდგენილია ქალები. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ქალები უფრო ნაკლებად მიდიან რისკზე-წავედნენ დასაქმების ალტერნატიულ სექტორში, ვიდრე მამაკაცები. გარდა ამისა, ადმინისტრაცია სამუშაო ძალის დაქირავებისას უპირატესობას ანიჭებს მამაკაცებს.

საშუალო ასაკის (35-54 წლის) პირები - ყველაზე

მრავალრიცხოვანი ჯგუფია შრომით რესურსებში. იგი ხასიათდება დასაქმების ყველაზე მაღალი დონით. მოცემული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის ჰომოგენურობა შედარებით მდგრადადაა განსაზღვრული პროფესიული ინტერესები. ამიტომ სამუშაოს შეცვლისადმი მისწრაფება ამ ჯგუფში უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა ჯგუფებში.

საშუალო ასაკის (35-54 წლის) პირებზე მოდის საზოგადოების ძირითადი შრომითი დატვირთვა, ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, აგრეთვე, ჯგუფის რიცხოვნობის დინამიკას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოცემულ ასაკში მყოფი პირების შრომითი პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებას, რამდენადაც, როგორც წესი, მათ გააჩნიათ დიდი პრაქტიკული გამოცდილება.

50 წელს გადაცილებული შრომისუნარიან პირების დასაქმების თავისებურებანი განისაზღვრება მოცემული ჯგუფის ისეთი ასაკობრივი მახასიათებლებით, როგორცაა: ფიზიკურ შესაძლებლობათა შემცირება, პროფესიული ცოდნის მაღალი დონე, მაღალი პრაქტიკული გამოცდილების არსებობა. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ჯგუფში მკვეთრად ეცემა დასაქმების დონე, რომლის მიზეზია როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობა, ისე შედავათიანი პენსიის მიღების შესაძლებლობა.

თანამედროვე პირობებში საპენსიო ასაკის პირების თავისებურება ისაა, რომ მათი განათლების დონე შედარებით დაბალია. გარდა ამისა, მათში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი ქალები, რამდენადაც ამ უკანასკნელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებისა. ეს კი ამცირებს პენსიონერთა შრომის გამოყენების სფეროს, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალები ხასიათდებიან დაბალი მობილურობით, რაც ამცირებს დარგებისა და პროფესიების მიხედვით მათი გადანაწილების შესაძლებლობას.

მოსახლეობის ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის დასაქმების მდგომარეობაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი

(მოსახლეობის) მობილურობის ხარისხი. მობილურობა სინთეზური ცნებაა, რომელიც ასახავს მოსახლეობის მზადყოფნასა და შესაძლებლობას შეიცვალოს სოციალური სტატუსი, პროფესიული კუთვნილება, საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, ტერიტორიული მობილურობა სამუშაო ძალის საბაზრო მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მაჩვენებელია.

პროფ. ლ. ყოღანაშვილი

სტრატეგიული ალიანსები საქართველოს ბიზნესში

საერთაშორისო ბიზნესი ხორციელდება სხვადასხვა ფორმებითა და მეთოდებით. გამოცდილი ფორმები გლობალურ ოპერაციებში როგორც წესი, ერთდროულად იყენებენ რამდენიმე ხერხს. ამასთან, მათი შერჩევისას ითვალისწინებენ პროდუქტის სახეს ან ქვეყანაში საქმიანობის პირობებს. უკანასკნელ პერიოდში დიდი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო თანამშრომლობის მეთოდებს, რომელთა მეშვეობით ფირმებს შეუძლიათ უცხოეთში საკუთარი რესურსების გამოყენება. მსოფლიო კომპანიათა თანამშრომლობის თანამედროვე ფორმაა სტრატეგიული ალიანსი, რომელშიც იგულისხმება კომპანიათა ძალების გაერთიანება მსოფლიო ბაზარზე თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად და სხვა კომპანიებთან კონკურენტულ ბრძოლაში უპირატესობის მოსაპოვებლად.

თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია სტრატეგიული ალიანსების რიცხვის სწრაფი ზრდა. ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში ამერიკელებისათვის წარმოუდგენელი იყო ერთობლივი წარმოების მიზნით იაპონელებთან გაერთიანება, დღეს კი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა „ტოიოტა-შვეროლე“, „კრაისლერ-მიცუბიში“, „ფორდი-მაზდა“ და ა.შ.

სტრატეგიული ალიანსი აკავშირებს ორ ან მეტ კომპანიას, რომლებიც ერთიანდებიან სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. სტრატეგიული ალიანსები ითვალისწინებენ სხვადასხვა დონეს – საწარმოს სრული კონტროლიდან კონტრაქტით განსაზღვრული კონტროლის დონემდე. ისინი უზრუნველყოფენ ფინანსურ ზრდას, მაგრამ ამასთან ერთად მათი მნიშვნელობა უფრო დიდია. გადაწყვეტილება სტრატეგიული ალიანსის შესახებ საწარმოს კონტროლირებადი ნაწილის შემცირებასთანა და აკავშირებული და ეს ხდება რისკის შემცირების, ანაზღაურების პოტენციური ზომის გადიდების და (ან) რესურსებში ინვესტიციების შემცირების სანაცვლოდ. ე.ი. საწარმოზე კონტროლის შემცირება კომპრომისია, რომლის სანაცვლოდ კომპანია უნდა ეცადოს უფრო დიდი ფასეულობების მიღებას.

სტრატეგიული ალიანსის საკითხის განხილვისას კომპანია განსაზღვრავს საკუთარ სტრატეგიულ ბირთვს და ბიზნესის იმ ელემენტებს, რომლებიც დაცული იქნება სხვისი ჩარევისაგან. ამისათვის კი საჭიროა სუსტი და ძლიერი მხარეების თვითშეფასება და ალიანსისათვის მისაღები მასალების და პარტნიორების შერჩევა. პარტნიორმა, როგორც წესი, უნდა გააძლიეროს კომპანიის სუსტი მხარეები.

სტრატეგიული ალიანსები შეიძლება განხორციელდეს ლიცენზირების, ფრანშიზინგის (ფრენჩაიზინგის), მართვის კონტრაქტების, ერთობლივი საწარმოების და სხვა სახით.

ლიცენზირება მრავალნაციონალურ კორპორაციებს (მნკ) აძლევს არამატერიალური აქტივებისაგან მოგების მიღების შესაძლებლობას. საერთაშორისო საქმიანობის ეს ხერხი გულისხმობს სალიცენზიო შეთანხმების გაფორმებას, რომლის საფუძველზე მნკ (იგი გამოდის ლიცენზიარის როლში) სხვა ფირმას (ლიცენზიატს) აძლევს გარკვეული ვადის განმავლობაში შეთანხმებული ანაზღაურების საფუძველზე მისი მატერიალური საკუთრების გამოყენების უფლებას. სალიცენზიო შეთანხმება შეიძლება იყოს უკუმიმართულებისაც. ამ შემთხვევაში მნკ გამოდის ლიცენზიატის როლში, ხოლო უცხოური კომპანია

ლიცენზიარია.

აშშ-ის საგადასახადო სამმართველოს მიერ არამატერიალური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: 1. პატენტები, გამოგონებები, ფორმულები, პროცესები, კონსტრუქციები, სქემები; 2. საავტორო უფლებები, ლიტერატურული, მუსიკალური ან ფერწერული კომპოზიციები; 3. საეჭრო მარკები, საფირმო დასახელებები, საფაბრიკო მარკები; 4. ფრანშიზები, ლიცენზიები, კონტრაქტები; 5. მეთოდები, პროგრამები, პროცედურები, სისტემები და ა.შ.

სალიცენზიო შეთანხმებების საფუძველზე არამატერიალური აქტივების გამოყენების ძირითად დადებით მხარეებს მიეკუთვნება ლიცენზიატის მიერ დაფინანსების უზრუნველყოფა და გარიგების კომერციული რისკის საკუთარ თავზე აღება.

სალიცენზიო შეთანხმების გაფორმებისას მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ხარისხისა და გადასახადების საკითხს. ლიცენზიარის მხრიდან საჭიროა ხარისხზე სათანადო კონტროლის განხორციელება, რადგან დაბალი ხარისხის პროდუქციამ შეიძლება ზიანი მიაყენოს არამარტო არამატერიალური აქტივების მფლობელის რეპუტაციას, არამედ აგრეთვე ინტელექტუალურ საკუთრებაზე არსებულ ზოგიერთ უფლებებს. ლიცენზიარს გარკვეული სიძნელები შეიძლება შეექმნას გადასახადების გამო. მათი გადახდა ხდება უცხო (შემოსავლების მიღების) ქვეყანაში, ამიტომ შესაძლებელია ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ლიცენზიარის საზიანო ზემოქმედების განხორციელება.

ლიცენზიის გაცემისას (განსაკუთრებით კი თუ მისი გადაცემა განვითარებად ქვეყანაში ხდება) უნდა უზრუნველყონ ტექნოლოგიის გადაცემის შესაბამისობა კანონმდებლობის დებულებებთან. თვით ეს კანონმდებლობა გამიზნულია სალიცენზიო გარიგებაში ლიცენზიარსა და ლიცენზიატს შორის უთანასწორობის აღმოფხვრაზე.

ხშირ შემთხვევაში ლიცენზიის გადაცემა წარმოებს კომპანიის მიერ კონტროლირებად საწარმოებში. საერთაშორისო პრაქტიკაში ლიცენზიის ასეთი გაყიდვა საყოველთაოდ მიღებული წესია და იგი განპირობებულია შემდეგი მიზეზებით. უცხო ქვეყანაში განლაგებული

საწარმოები (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი მწკის კუთვნილებაა) დაზოუკიდებელი იურიდიული პირები არიან; საწარმოთა წილობრივი ფლობის შემთხვევაში უზრუნველყოფილია ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვა; არამატერიალური აქტივების გამოყენება დაბალი გადასახადების მქონე ქვეყანაში იძლევა მეტი მოგების მიღების შესაძლებლობას.

ფრანშიზინგი ითვალისწინებს ფრანშიზერის (გამყიდველის) მიერ ფრანშიზისათვის (მყიდველისათვის) საეჭრო მარკის გამოყენების უფლების გადაცემას. ფაქტობრივად ფრანშიზინგი ლიცენზირების სპეციალური ფორმაა, რომლის დროსაც ლიცენზიატი ფუნქციონირებს ლიცენზიარის საფირმო სახელწოდებით.

არსებობს ფრანშიზინგის სამი ტიპი: 1. ფრანშიზინგი მზა საქონლის გაყიდვაზე; 2. ფრანშიზინგი საქონლის წარმოებაზე და 3. ფრანშიზინგი საქმიანობის სახეზე. პირველ შემთხვევაში ფრანშიზი ყიდულობს ფრანშიზერის სასაქონლო მარკით საქონლის გაყიდვის უფლებას (თვით საქონელსაც ყიდულობს ფრანშიზერისაგან). მეორე შემთხვევაში ხდება დედა-კომპანიისაგან საქონლის წარმოებისა და გასაღების უფლების ყიდვა. ამასთან, ფრანშიზი იყენებს ამ კომპანიისაგან ნაყიდ ნედლეულსა და მასალებს; მესამე შემთხვევაში ფრანშიზი ყიდულობს საკუთარი ფირმის გახსნის უფლებას, რომელიც მოქმედებს კორპორაციის სახელით. ასეთი აღიანისი შემთხვევაში ფრანშიზის საწარმომ უნდა შეინარჩუნოს ძირითადი კომპანიის სახე-ერთადერთი განსხვავება, ამასთან, არსებითი მნიშვნელობის, გამოიხატება შემდეგში: ფრანშიზი ფლობს გასაღების ბაზარსა და რისკავს საკუთარი კაპიტალით. აღნიშნულის გამო, იგი უფრო მეტადაა დანტერესელი საკუთარი საქმის წარმატებაში.

ფრანშიზული შეთანხმებები ფორმდება რანდენიმე წლის ვადით. ამ ხნის განმავლობაში ფრანშიზი ვარაუდობს დაბანდებული კაპიტალის ანაზღაურებასა და მოგების მიღებას. ფრანშიზული შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ფრანშიზერის ქვეყანაში შემუშავებული მეთოდების უცხო ქვეყანაში გამოყენების სირთულე-ხშირ შემთხვევაში უცხო ქვეყნის ბაზარზე დასამკვიდრებლად საჭირო

ხდება ოპერაციათა წარმოების ხერხების მოდიფიკაცია უცხოელი მომხმარებლების მოთხოვნებიდან და გემოვნების გათვალისწინებით, ამაზე კი ყველა კომპანია არ თანხმდება.

მნკ-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტივია მაღალ-კვალიფიციური მენეჯერები, ხოლო განვითარებად ქვეყნებში მათზე დიდი მოთხოვნაა ასეთ სიტუაციაში საქონლის როლში გამოჯდის მართვის ხელოვნება, რომლის გადაცემა წარმოებს შესაბამისი გარიგებების საფუძველზე – ფორმდება კონტრაქტები მართვაზე. ისინი ითვალისწინებენ სამმართველო აპარატის გაგზავნის სხვა ქვეყნის ფირმის დასახმარებლად ან დათქმულ ვადაში შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე სპეციალური სამმართველო ფუნქციების შესრულებას.

კონტრაქტები მართვაზე ჩვეულებრივ ფორმდება შემდეგ სიტუაციებში: ფირმის საწარმო სხვა ქვეყანაში ექსპორტირებულია; იხსნება ახალი საწარმო და მისი ფუნქციონირებისათვის არაა სათანადო კადრები; საწარმო იმყოფება მძიმე მდგომარეობაში და საჭიროებს ეფექტიან მართვას.

თანამედროვე პირობებში ფართოდ გამოიყენება ერთობლივი საქმიანობის სხვადასხვა ფორმები, რომლებიც გულისხმობენ საწარმოს ფლობას წილობრივ საფუძველზე. საკუთრების ასეთი განაწილება ხდება შემდეგი მიზეზებით: სინერგიული ეფექტის გაძლიერება (სინერგიული ეფექტი ეწოდება ორი ან მეტი ობიექტის ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას, რომლის ერთობლივი შედეგი მნიშვნელოვნად აღემატება ამ ობიექტების ცალკეული მოქმედებების შედეგების ჯამს); გეოგრაფიულ ასპექტში კომპანიის გაფართოების პროცესის დაჩქარება; სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ბაზის გაფართოება; დამატებით რესურსების მიზიდვის შესაძლებლობა; სოგიერთი ქვეყნის მთავრობა უცხო კომპანიათა საქმიანობის დასაშვებად მოითხოვს ადგილობრივი კაპიტალის გამოყენებას.

ფირმები ჩვეულებრივ თანხმდებიან საწარმოთა ერთობლივ ფლობაზე და, როგორც წესი, წინასწარ განსაზღვრავენ აქციების

საკონტროლო პაკეტის კუთვნილების საკითხს.

მსკ-ის საქმიანობაში განსაკუთრებით პოპულარულია საქმიანი თანამშრომლობის ისეთი ფორმა, როგორცაა ერთობლივი საწარმოები. ისინი იქმნება ირთ ან მეტი მფლობელის მონაწილეობით და ემსახურება კონკრეტული კომერციული, ფინანსური ან ტექნიკური ხასიათის მიზნების მიღწევას. ხშირ შემთხვევაში ერთობლივი საწარმოები იქმნება პარიტეტულ საფუძველზე, მაგრამ მათი შექმნა შესაძლებელია ორზე მეტი მფლობელის მონაწილეობით. ამასთან, ერთი ორგანიზაცია შეიძლება იყოს ერთობლივი საწარმოს 50%-ზე მეტი აქციების მფლობელი. თუ ერთობლივ საწარმოთა მუშაობაში მონაწილეობს ორზე მეტი ორგანიზაცია, ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ საწარმოებს კონსორციუმებს უწოდებენ.

საერთაშორისო პრაქტიკაში არ არსებობს ერთობლივი საწარმოების შექმნის მარეგულირებელი სამართლის რაიმე სპეციალური ნორმები. ამ საკითხებს ჩვეულებრივ არეგულირებს ეროვნული კანონმდებლობა ან უცხოური ინვესტიციების შესახებ მიღებული კანონები. გარდა ამისა, ცალკეულ ქვეყანაში ისინი ექვემდებარება ანტიტრესტულ კანონმდებლობას ან კონკურენციის დაცვის კანონებს.

ერთობლივი საწარმოები იქმნება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი ფორმებით. მაგალითად, პარტნიორობა, კორპორაცია ამა თუ იმ ფორმის შერჩევისას ითვალისწინებენ საქმიანობის მიზნებს, საწესდებო კაპიტალის ზომას, დამფუძნებელთა რაოდენობას.

ერთობლივი საწარმოები იქმნება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს პარტნიორთა უფლება-მოვალეობებს როგორც ერთმანეთის, ისე მესამე პირთა მიმართ.

ერთობლივ საწარმოებს (ფირმებს) სხვა ერთობლივ სამეწარმო საქმიანობისაგან განასხვავებენ ერთობლივ პროდუქტზე საკუთრების უფლებით. ეს ნიშანი განსაზღვრავს აგრეთვე პარტნიორთა შორის ანგარიშსწორების წესს.

საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული ხელშეკრულებები

ერთობლივი საწარმოების (ფირმების) ან ერთობლივი საქმიანობის შესახებ ითვალისწინებენ:

- ახალი იურიდიული პირის საწარმოს შექმნასა და რეგისტრაციას, რომელსაც აქვს ერთობლივი საქმიანობის შედეგად მიღებულ საბოლოო პროდუქტზე საკუთრების უფლება;

- ახალი იურიდიული პირის შექმნის გარეშე პარტნიორთა შეთანხმებულ მოქმედებას საერთო მიზნის მისაღწევად. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების ყოველი მხარე სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტია;

- სამართლის ახალი სუბიექტის უფლების გადაცემას მესამე პირზე - შეთანხმება ტრასტის. შესახებ. ხელშეკრულების მონაწილეებისათვის ესაა ე.წ. რწმუნებლის საკუთრება ამ შემთხვევაში მხარეები ერთმანეთს შორის ერთობლივ საქმიანობას არ აფორმებენ.

- ალიანსი არაა მხარეთა შორის ერთხელ და სამუდამოდ დამყარებული ურთიერთობანი. იგი მუდმივად განვითარებადი მექანიზმია, რომელიც საჭიროებს პარტნიორთა თანაარსებობისა და ბიზნესის ურთიერთშეცვლების, ერთობლივი საქმიანობის რეალიზაციის შედეგების დაბანდებულ კაპიტალზე მიღებული უკუგების სისტემატურ ანალიზსა და ორგანიზაციის შიდა სტრუქტურის გარდაქმნას.

ლიტერატურა

1. ლ. ყორღანაშვილი, საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 1997.
2. ლ. ყორღანაშვილი, ახალი ტენდენციები შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, ეკონომიკის აქტუალური საკითხები“ (სამეცნიერო ნაშრომთა კრებული), თბ., 1998.
3. Гарнер Д., Оуэн Р., Конвებ Р., Привлечение капитала, М., 1995.
4. Дзнилельс Д.Д., Радеба Л.Х., Международный бизнес, М., 1994.
5. Речман Д.Д., Мескон М.Х. и др., Современный бизнес, I и II ч., М., 1995.

პროფ. მ. ლაღანიძე

საბაზრო ეკონომიკაში წარმოების საშუალებებით საბითუმო ბაზრობის მართვისა და დამახასიათებლის საკითხები

ქვეყნის ეკონომიკური რესურსების ნოლიან სისტემაში განსაკუთრებულ ადგილსა და მნიშვნელობას იკენს მატერიალური რესურსები ანუ ე.წ. საწარმოო დანიშნულების პროდუქცია (ინვესტიციური საქონელი) და მისი დამახასიათებელი ნიშნები კვლავწარმოების პროცესში. შესაბამისად, ჩამოყალიბდება ზოგიერთი თეორიული მოსაზრება წარმოების საშუალებების ბუნებისა და არსის შესახებ. ერთი მხრივ, განიხილება საბჭოურ ეკონომიკაში მატერიალური რესურსების ცენტრალიზებული განაწილების სისტემა და მისი ნაკლოვანი მხარეები, ხოლო, მეორე მხრივ, საბაზრო ეკონომიკაში მატერიალური რესურსების დეცენტრალიზებული სისტემა და მისი განმსაზღვრელი პრინციპები. მატერიალური რესურსების მართვის ამ რთული მექანიზმის გაგებაში ერთობ საყურადღებოა ის მოვლენა, რომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში მატერიალური რესურსების ეფექტიანი მართვა დროთა მსვლელობაში იწვევს ამ რესურსების შეუჩერებელ მოძრაობას ალტერნატიულ მომხმარებლებს შორის. ეს უკანასკნელი კი, საბოლოო ანგარიშში, განაპირობებს მეურნეობის ყველა სფეროსა და შესაბამის ორგანიზაციებში (ფირმებში) საჭირო მატერიალური რესურსებით რაციონალურ დაბალანსებას. ამაშია საბაზრო ეკონომიკის უდიდესი უპირატესობა საბჭოურ ცენტრალიზებულ ეკონომიკასთან შედარებით.

საბჭოური ცენტრალიზებული ეკონომიკისათვის დამახასიათებელი იყო მატერიალური რესურსების განაწილებისა და რეალიზაციის უზარმაზარი სახელმწიფო აპარატი – სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, მომარაგების საკაეშირო და რესპუბლიკური ორგანოები, ასევე მომარაგების ცალკეული უწყებრივი მრავალრიცხოვანი სისტემები. ამგვარად, საბჭოთა კავშირის

ეკონომიკაში მატერიალური რესურსების ცენტრალიზებული განაწილების ხუთსაფეხურიანი სისტემა ფუნქციონირებდა, მაგრამ მოუხდავად ამისა, ქვეყნის მასშტაბით არ იყო მიღწეული მატერიალური რესურსების რაციონალური და ეკონომიკური გამოყენება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცალკეული დამოუკიდებელი სახელმწიფოები მწვავედ განიცდიან მატერიალური რესურსების ცენტრალიზებული განაწილებით გამოწვეული ეკონომიკის შედეგებს ამ სისტემის დაშლის შემდეგ მთლიანად უსარგებლო აღმოჩნდა საბჭოთა იმპერიაში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური კავშირების ეს დირექტიული ორგანიზმი, რამაც ყველა რესპუბლიკაში წარმოების მატერიალური რესურსებით დაბალანსება შეუძლებელი გახადა, შესაბამისად მათი დამოუკიდებელი არსებობა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. აღნიშნულს ისიც დაემატა, რომ საქართველოში მატერიალური რესურსების მართვის დეცენტრალიზებული საბაზრო სისტემის ჩამოყალიბება არასწორი მიმართულებით განხორციელდა, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ამ სისტემის თეორიული საკითხების ცოდნის დაბალი დონით, ხოლო მეორე მხრივ, საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პრაქტიკულ საკითხების არასწორი განხორციელებით. შედეგამაც არ დააყოვნა განხორციელებულმა ორგანიზაციულ-სტრუქტურულმა ღონისძიებებმა სასურველი შედეგი არ გამოიღო. მხედველობაში გვაქვს ქვეყანაში არსებული მოზარაგება-გასაღების სისტემის ხელოვნური მიერთება ვაჭრობის სამინისტროს სისტემასთან.

დღესდღეობით, განსაკუთრებით ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, სამეურნეო საქმიანობის ისეთი დიდი სფერო როგორცაა მრეწველობა, სტატისტიკური მონაცემებით აგრეგირებულ მაჩვენებლებში 14 ძირითადი სამრეწველო კომპლექსის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო გაშლილ ნომენკლატურაში იგი მრეწველობის ათასზე მეტ ცალკეულ დარგს მოიცავს. თითოეულ ამ დარგს მისთვის დამახასითებელი ეკონომიკა გააჩნია თავისი მაჩვენებლებით. აღნიშნული დიდ გაელენას ახდენს ამ დარგების მატერიალური რესურსებით დაბალანსების პროცესს. ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ საწარმოო დანიშნულების

პროდუქციის დასახელება გაშლილ ნომენკლატურაში 25,0 მილიონ დასახელებას აღწევს, მაშინ როდესაც სახალხო მოხმარების საქონლის შესაბამისი ნომენკლატურა 2,0 მილიონი დასახელებით არის შემოფარგლული.

საწარმოო დანიშნულების პროდუქციის ძირითადი ეკონომიკური მნიშვნელობა ისაა, რომ მისი განვითარების საერთო კანონზომიერებები განპირობებულია ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნებისა და სხვა სახის საქონლის მოხმარების რაციონალური ნორმებით. ამაში უნდა ვეძიოთ საქონელმომოქცევის ამ ორი სფეროს არსებითი განმასხვავებელი ნიშნები, რომელიც განაპირობებს ამ ორი დარგის დამოუკიდებელი საქმიანობის აუცილებლობას. ჩატარებულ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია გავაკეთოთ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა: ყოველი წარმოება, განვითარების მაღალი დონე, აუცილებლად მოითხოვს საწარმოო პროცესებისათვის საჭირო მატერიალური რესურსებით დაბალანსებას. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოება არ იქნება სრულყოფილი. მატერიალური რესურსებით დაბალანსების ეს პროცესი ყოველი წარმოების მატერიალური საფუძველია. იმის კვალობაზე თუ საქართველოში რაოდენ სწრაფი ტემპით განვითარება საბაზრო ეკონომიკა და ადგილი ექნება წარმოების გამოცოცხლება – აღმავლობას, მომარაგება-გასაღების სპეციალური კომერციული სტრუქტურების როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ქვეყნის სამეურნეო საქმიანობაში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზარი წარმოდგენილია როგორც ერთი მთლიანი საშინაო ბაზარი ორი შემადგენელი ელემენტით: ა) წარმოების საშუალებების ბაზარი და ბ) სახალხო მოხმარების საქონლის ბაზარი. ამ ორ ელემენტს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშნები, რაც თითოეული ამ ორი ელემენტის განვითარების შესაბამის კანონზომიერებას აყალიბებს. საშინაო ბაზრის ამ ორ ელემენტს შორის განმასხვავებელი ნიშნებია:

პირველი. სახალხო მოხმარების საქონლის ბაზარზე ჩეულებსამებრ ერთი ან რამდენიმე გამყიდველია და უამრავი

მყიდველი, რომელთა შეზღუდვა მათთვის საჭირო საქონლის არჩევაში არ შეიძლება. ეს მოვლენა ნაწილობრივ ზღვარდებულია ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნებით და მოხმარების სხვა რაციონალური ნორმებით. წარმოების საშუალებების ბაზარზე გამყიდველისა და მყიდველის როლში გამოდიან საწარმოები (ფირმები), ორგანიზაციები, საოჯახო მეურნეობა და მომარაგება-გასაღების კომერციული სტრუქტურები, ხოლო მყიდველია მომხმარებელი საწარმოები და ორგანიზაციები. ამ ბაზარზე მყიდველის მოთხოვნა უმეტესწილად ზუსტად არის განსაზღვრული მისი საწარმოო პროგრამით, ამიტომ მყიდველის მოთხოვნა უფრო სტაბილურია და ნაკლებად ცვალებადი.

მეორე. წარმოების საშუალებათა ბაზარზე სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი უფრო ძლიერია, ვიდრე სახალხო მოხმარების საქონლის ბაზარზე. წარმოების საშუალებების ბაზარზე არ გეხედება თავისი სამეურნეო საქმიანობით აბსოლუტურად თავისუფალი მყიდველი და გამყიდველი, რადგან მათი საქმიანობა ზღვარდებულია მათ მიერვე შედგენილი საწარმოო პროგრამით.

მესამე. სახალხო მოხმარების საქონლის ბაზარზე სახელმწიფო უფრო არეგულირებს მიწოდებას, ვიდრე მოთხოვნას. წარმოების საშუალებების ბაზარზე სახელმწიფო თანაბრად არეგულირებს როგორც მიწოდებას, ასევე მოთხოვნას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მიერ ბაზრის რეგულირება ხორციელდება საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული სამეურნეო კანონების, ნორმებისა და ნორმატივების საშუალებით.

მეოთხე. წარმოების საშუალებების ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის პროცესში შუამავალი ნაკლებ როლს თამაშობს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს შუამავლის როლის სრულ უგულებელყოფას წარმოების საშუალებების ბაზარზე. სახალხო მოხმარების საქონლის ბაზარზე კი ასეთი შუამავალი აუცილებელია და მათი საქმიანობა საზოგადოებისათვის სასარგებლო და მოსაწონი მოვლენაა.

მეხუთე. წარმოების საშუალებების ბაზარი ხასიათდება მოთხოვნის უფრო მეტი ნაირსახეობით, ვიდრე სახალხო მოხმარების საქონლის ბაზარი. აღნიშნული თავისებურება კიდევ უფრო

ღრმავდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოო პროცესების უფრო გაღრმავებული სპეციალიზაციის შედეგად. ეს გარემოება აშკარად მიუთითებს წარმოების საშუალებებზე მოთხოვნის მეცნიერული შესწავლის დიდ მნიშვნელობაზე და მარკეტინგული გამოკვლევების თავისებურებებზე ამ სფეროში.

მეშქვსა. წარმოების საშუალებების ბაზარი სახალხო მოხმარების საქონლის ბაზრისაგან განსხვავდება მოთხოვნის წარმოქმნის ნიშნის მიხედვითაც. წარმოების საშუალებებზე მოთხოვნა განისაზღვრება შესაბამისი საწარმოო პროგრამიდან გამომდინარე, ამდენად იგი წარმოებული სიდიდეა, მაშინ როდესაც სახალხო მოხმარების საქონელზე მოთხოვნა პირველადია და თვითმყოფადი.

მეშქვძე. წარმოების საშუალებათა ბაზარი ნაკლებად განიცდის ფსიქოლოგიურ და ემოციურ ფაქტორთა ზემოქმედებას, მაგ., მოდა, ფერი და ა.შ. გარდა ამისა, აქ რეკლამას ნაკლები როლი აქისრია, ვიდრე სახალხო მოხმარების საქონლის ბაზარზე.

მატერიალური რესურსების მართვის თეორიული საკითხების გაშუქების დროს, ალბათ, უპრიანი იქნება შევეხოთ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მომარაგება-გასაღების კომერციული სტრუქტურების როლს კვლავწარმოების პროცესში. ეს საკითხი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. მომარაგება-გასაღების კომერციულ სტრუქტურებს დიდმნიშვნელოვანი როლი დაეკისრებათ საბურთო ერთეულების (ფირმების) დროული და კომერციული მომარაგების საქმეში. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მომარაგება-გასაღების კომერციული სტრუქტურები ჩამოყალიბების პროცესშია და ამიტომ ისინი ამ როლს სრულყოფილად ვერ ასრულებენ. მომავალში წარმოების გამოცოცხლება-აღმავლობის კვალობაზე მათ მიერ ამ ფუნქციის შესრულება ქვეყნის სამეურნეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იქნება. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ცალკეული ორგანიზაციებისა და ფირმების მატერიალური რესურსებით დაბალანსების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა დაეკისრებათ მომარაგება-გასაღების

კომერციული სტრუქტურებს ეკონომიკის წამყვანი დარგების უპირატესი მომარაგების საკითხში.

2. მომარაგება-გასაღების კომერციულმა სტრუქტურამ ფრიაღ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის მატერიალური რესურსების ეკონომიკური და რაციონალური გამოყენების საქმეში.

3. მომარაგება-გასაღების კომერციულმა სტრუქტურებმა დიდ-მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს შორის ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პროცესში. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს ქვეყნის მომარაგება-გასაღების კომერციული სტრუქტურების სწორი ტერიტორიული განლაგება, რის შედეგადაც უნდა დაეძლიოს ის მანკიერი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ამ ორგანოების საერთო რაოდენობის 83% კონცენტრირებული იყო ქ. თბილისში.

4. მომარაგება-გასაღების კომერციულ სტრუქტურებს განეკუთვნებათ სპეციალური როლი მთლიანი ეროვნული პროდუქტის განაწილებისა და გადაანაწილების საქმეში და ქვეყნის ფინანსური რესურსების წარმოქმნისა და რაციონალური გამოყენების პროცესში.

5. საქართველოს მომარაგება-გასაღების კომერციულმა სტრუქტურებმა საყურადღებო როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

6. მხედველობიდან არ უნდა გაეუშვათ ის გარემოება, რომ მომავალში მომარაგება-გასაღების კომერციულმა ორგანოებმა განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს ქვეყანაში მატერიალური რესურსების რეზერვების წარმოქმნის, გამოყენებისა და ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მომარაგება-გასაღების ორგანოების ფუნქციონირება მხოლოდ საბჭოთა ეკონომიკისათვის

იყო დამახასიათებელი და რომ საბაზრო ეკონომიკაში ამ ორგანოების საქმიანობა არ არის საჭირო. ეფიქრობ ასეთი მოსაზრება არ არის სწორი. სოციალისტური ეკონომიკა ძირითადად იმიტომ აღმოჩნდა კრახის წინაშე, რომ იგი არ იძლეოდა წარმოების შემდგომი ზრდის შესაძლებლობას, არ იყო შექმნილი საჭირო ეკონომიკური წანამდგურები საერთოდ და განსაკუთრებით მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის. ამიტომ საჭირო შეიქმნა ისეთ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა, რომელიც შესაძლებელს ხდის ეკონომიკური რესურსების შეზღუდვისა და იშვიათობის პირობებში მათ ისეთ გამოყენებას, რომ მიუხედავად ადამიანის მატერიალური და სულიერი მოთხოვნების შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, ე.ი. წარმოების საბოლოო შედეგს. პრაქტიკამ დადასტურა, რომ ასეთი ეკონომიკური სისტემა საბაზრო ეკონომიკაა. გასაგებია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა საზოგადოების თვითმიზანი კი არ არის, არამედ პრაქტიკული რეალობაა, რადგან იგი ეფექტიანად მოქმედი სისტემაა და უზრუნველყოფილია წარმოების განვითარების მაღალი ტემპი. მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ წარმოების მატერიალური საფუძველია მათი მატერიალური რესურსებით დაბალანსება. დღემდე არსებულ ეკონომიკურ სისტემებში ამ დიდშნიშვნელოვან ფუნქციას ქვეყნის მომარაგება-გასაღების სტრუქტურები ასრულებენ. ამიტომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მომარაგება-გასაღების კომერციული სტრუქტურების ფუნქციონირება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია. აღნიშნულს ადასტურებს მსოფლიოს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების სამეურნეო პრაქტიკა, რომ არაფერი ვთქვათ განვითარებადი ქვეყნების შესახებ.

ფირმა და საბარეო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემა

„ფირმის“ ცნებაში იგულისხმება საწარმო (ორგანიზაცია), რომელიც ეწევა კომერციულ საქმიანობას მოგების მიღების მიზნით. იგი აღჭურვილია იურიდიული პირის უფლებებით და რეგისტრირებულია სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებში.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს ფიზიკური პირი – ქვეყნის მოალაქე, იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების ვარეშე არ შედის პირის ცნებაში. ყოველი ფირმა ფუნქციონირებს იმ სახელწოდებით, რომელითაც რეგისტრირებულია სათანადო ორგანოში. ამავე დროს ფირმა გამოდის როგორც საკუთრების ობიექტი. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაგასახელოთ საკუთრების შემდეგი ფორმები: კერძო საკუთრება, სახელმწიფო საკუთრება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების (გაერთიანებების) საკუთრება, შერეული საკუთრება, ერთობლივი საწარმოების საკუთრება და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრების ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები უნივერსალური არ არის ყველა ქვეყნისათვის და ამა თუ იმ სახელმწიფოში იგი შეიძლება განსხვავებული ფორმებით იყოს წარმოდგენილი.

ნებისმიერ ფორმაში მყოფ ფირმას ყოველთვის ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც პერსონალურად აგებს პასუხს მიღებული გადაწყვეტილების შედეგებზე, რომლებიც მის საქმიანობას შეეხება.

ფირმა არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური უჯრედი, რომელიც ითვლება ერთიანი სამეურნეო კომპლექსის ძირითად რგოლად. მისი ძირითადი ამოცანაა რაც შეიძლება დიდი ოდენობის მოგების მიღება წარმოების უწყვეტი განვითარებისა და სრულყოფის საფუძველზე. აღნიშნული ამოცანის შესაბამისად განისაზღვრება ფირმის მიზნები და ამოცანები, რომელთა შორისაც აღსანიშნავია: წარმოების კონცენტრაციის გაძლიერება და სპეციალიზაციის

გადრმაგება. მარკეტინგული კვლევის ორგანიზაცია, მართვის სტრუქტურის სრულყოფა და სხვა.

თანამედროვე პირობებში ფირმების სამეურნეო საქმიანობა მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო მრავალმხრივი და მასშტაბური ხდება.

სამეურნეო საქმიანობისა და შესასრულებელი ოპერაციების ხასიათის მიხედვით გამოყოფენ შემდეგი სახის ფირმებს: სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საეჭრო, სატრანსპორტო, საიჯარო, ტურისტული და სხვა.

სამრეწველოდ ითვლება ისეთი ფირმები, რომელთა საქმიანობის ნახევარზე მეტი შოლის სამრეწველო პროდუქციის წარმოებაზე. პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი შოლის უმსხვილესი ფირმა-გიგანტების წაღად, რომელთა შორისაც საქმიანობის მასშტაბების მიხედვით გამოირჩევიან ტრანსნაციონალური კომპანიები. აღნიშნული კორპორაციები ხელ უფრო გაბატონებულ მდგომარეობას იძენენ საერთაშორისო ბაზარზე არა მხოლოდ საქონლის გაყიდვით, არამედ ლიცენზიებით და პატენტებით ვაჭრობით, ინვესტიციების განხორციელებით, მოწყობილობათა ექსპორტით და სხვა.

საეჭრო ფირმები ძირითადად ახორციელებენ საქონლის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს. აღნიშნული ფირმები შეიძლება შედიოდნენ მსხვილი სამრეწველო კომპანიების გასაღების სისტემაში, ან დამოუკიდებლად ახორციელებდნენ საეჭრო-საშუამავლო ოპერაციებს.

საეჭრო ფირმები შეიძლება იყოს ვიწრო სპეციალიზებული, მსოფლიო მონოპოლისტური გაერთიანებანი, რომლებსაც ცალკეული საქონლით ვაჭრობაში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავთ.

სატრანსპორტო ფირმები ახორციელებენ ტვირთების და მგზავრების საერთაშორისო გადატანა-გადაყვანის ოპერაციებს. სატრანსპორტო კომპანიები ყალიბდებიან გადაზიდვის ცალკეულ სახეებზე და ამდენად იქმნება საავტომობილო, სარკინიგზო, საავიაციო, საზღვაო და ა.შ. გადაზიდვის ფირმები.

კაპიტალის კუთვნილების მიხედვით განასხვავებენ ეროვნულ, უცხოურ და შერეულ ფირმებს.

ეროვნულია ისეთი ფირმა, თუ მისი კაპიტალი ეკუთვნის თავისი ქვეყნის მწარმოებლებს. ეროვნული კუთვნილების დამადასტურებელია აგრეთვე ფირმის ადგილმდებარეობა და რეგისტრაცია.

სამეურნეო საქმიანობის განსაკუთრებული ფორმაა საერთაშორისო ფირმა, რომელიც ემყარება მრავალი საწარმოს მუშაკთა შრომის კოოპერაციას და განლაგებულია სხვადასხვა ქვეყანაში წარმოების საშუალებებზე ერთიანი საკუთრების ფორმით, რაც მიმართულია მსოფლიო ბაზარზე კონკურენციული პოზიციის გაძლიერებისაკენ. გავრთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა გაანგარიშებით 1990 წელს ითვლებოდა საერთაშორისო ფირმების 35 ათასი ერთეული, რომელთაც ეკუთვნოდათ 147.2 ათასი საწარმოო ფილიალი საზღვარგარეთ. საზღვარგარეთული ფირმების კატეგორიას, რომლებიც იწოდებიან ტრანსნაციონალურ კომპანიებად, გავრთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტები: მიაკუთვნებენ ნებისმიერ ფირმას, რომელთაც გააჩნიათ საწარმოო სიმძლავრეები საზღვარგარეთ. შედარებისათვის: მათივე მონაცემებით 80-იანი წლების დასაწყისში ითვლებოდა 10 ათასი ასეთი ფირმა, რომელთაც ეკუთვნოდა 90 ათასი საწარმოო ფილიალი საზღვარგარეთ და შეიღეული კომპანიები 125 ქვეყანაში.

უმსხვილესი საერთაშორისო ფირმები გადაიქცნენ უდიდეს სამეურნეო იმპერიებად, რაც მიუთითებს წარმოებისა და კაპიტალის კონკურენციის მაღალ დონეზე ინტერნაციონალური მასშტაბით. წარმოებისა და კაპიტალის მაღალი დონის ტრანსნაციონალიზაცია, გახდა საზღვარგარეთული წარმოებისა და გასაღების მკვეთრი გაფართოების შედეგი.

საერთაშორისო ფირმების დამახასიათებელი ნიშანია საერთაშორისო წარმოების ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია შრომის დანაწილებაზე, რაც პასუხობს მსხვილი კომპანიების ინტერესებს. წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება

საერთაშორისო ფირმების ფარგლებში არის შრომის ტექნოლოგიური დანაწილების გამოვლინება, რომელმაც ინტერნაციონალური ხასიათი შეიძინა.

წარმოების სპეციალიზაციის და კოოპერირების გაღრმავების კვალობაზე სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს პროდუქციის შიდაფირმული გაცვლა ცაკლეულ კომპანიებს შორის. შიდაფირმული მიწოდება ფრიად მნიშვნელოვანია ავტოსატრაქტორო, კოსმოსურ, ქიმიურ, ფარმაცევტულ, რადიოელექტრონიკულ სამრეწველო კომპანიებს შორის. შიდაფირმული გაცვლა იძენს განსაზღვრულ სპეციფიკას: მეთაური კომპანიების მიწოდება მათი საზღვარგარეთული დაქვემდებარებული კომპანიებისადმის იღებს საქონლურ ფორმას, თუმცა თავისი არსებით არაა საქონელი. სხედასხვა საწარმოების ორგანიზაციულ-ტერიტორიული გამოცალკევება, რომლებიც საერთაშორისო ფირმის დაქვემდებარებაში შედის, არ ხდის მას პროდუქციის შესაკუთრედ, რამდენადაც პროდუქცია, ისევე როგორც თვითონ საწარმოები, მოლიანად კომპანიის საკუთრებაა. სპეციალიზაცია, რომელიც არსებობს ერთი საერთაშორისო ფირმის ცალკეულ საწარმოს შორის, აუცილებელს ხდის პროდუქციის გაცვლას, რომელიც არ მოასწავებს მეორე შესაკუთრის ხელში გადასვლას, მაგრამ ქმნის საქონლური ურთიერთობის დამახასიათებელ სახეს, ამდენად შიდაფირმული გაცვლა ხორციელდება საწარმო-სამეურნეო კომპლექსის ფარგლებში, რომელიც ერთი შესაკუთრის ხელშია სათავეო კომპანიის სახით.

დასაველეთის ქვეყნების საერთაშორისო ფირმების პარალელურად, დიდი მნიშვნელობა შეიძინა ე.წ. „ახალმა საერთაშორისო კომპანიებმა“ – ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნების ფირმებმა, რომლებშიც შესამჩნევად დაწინაურდნენ ეკონომიკური განვითარების გზაზე ასეთი ქვეყნები არიან ბრაზილია, მექსიკა, სინგაპური, ტაივანი, პონკონგი, მალაიზია, სამხრეთ კორეა, რომლებმაც მიიღეს ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სახელწოდება ოპერაციების მასშტაბებით, საზღვარგარეთ საქმიანობის

მნიშვნელობით, საწარმოო პროცესის ორგანიზაციით, ახალი ინდუსტრიული ქვეყნების კომპანიები ტოლს არ უდებენ დასავლეთის ქვეყნების საერთაშორისო ფირმებს.

ამრიგად, საერთაშორისო ფირმები მსოფლიო სამეურნეო სისტემის ფარგლებში წარმოებისა და კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გაელენით გიგანტური კომპანიების მცირე ჯგუფის ხელში წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის ტრანსნაციონალური პროცესი ახალ ნიშნებს იძენს და არსებით გაელენას ახდენს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შინაარსსა და ფორმებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბაზარზე ჩნდება სხვა ახალი ეკონომიკური სუბიექტების, კერძოდ, განვითარებული ქვეყნების მცირე ზომის საერთაშორისო ფირმები, რომლებიც იყენებენ უახლეს ტექნოლოგიას, უშეებენ ახალი სახის კონკურენტუნარიან პროდუქციას, რათა დაიმკვიდრონ ადგილი აღნიშნულ ბაზარზე. ამ ტენდენციის განვითარების ფარგლებში წერილ მომწოდებელთა სულ უფრო დიდი რაოდენობა ემსახურება არა მხოლოდ მსხვილ ეროვნულ ფირმებს, არამედ სხვა ქვეყნების საერთაშორისო ფირმებსაც.

თანამედროვე პირობებში მზარდ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო მარკეტინგზე დამყარებული მმართველობის ეკონომიკური მეთოდების სრულყოფა. ამასთან დაკავშირებით იზრდება ფირმის გლობალური სტრატეგიის დამუშავების როლი, რაც ემყარება კონკრეტული სახის პროდუქციის წარმოების ხანგრძლივ და სტაბილურ მიწოდებას მრავალ ქვეყანაში.

საერთაშორისო ფირმების მიერ მმართველობაში ცენტრალიზაციის დონის ამაღლება ნიშნავს მმართველობის ისეთი ფუნქციების განვითარებას, როგორიცაა მარკეტინგი, შიდაფირმული დაგეგმვა და კონტროლი. ფუნქციები ზემოქმედებას ახდენენ ცენტრალიზებულ მმართველობაზე, რომელიც ახალ ნიშნებს და

თვისებებს იძენს. ამ ფუნქციების რეალიზაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მათ მჭიდროდ დაკავშირებას მმართველობის დაბალი რგოლის ფუნქციებთან, მხელეულობაშია საწარმოო განყოფილებანი და მათში შემაჯავლი შეიღვეული კომპანიები, რაც საბოლოოდ, უზრუნველყოფს საერთაშორისო ფირმების ეფექტიან საქმიანობას. საერთაშორისო მარკეტინგი განიხილება, როგორც მმართველობის სპეციფიკური ფუნქცია, იგი ძირითადად დამახასიათებელია მსხვილი საერთაშორისო ფირმებისათვის, რომლებიც ნებისმიერ საშუალებას იყენებენ ბაზარზე თავიანთი ინტერესების უზრუნველსაყოფად.

საერთაშორისო მარკეტინგი არის დაგეგმვის ამოსავალი მომენტი, რომელმაც ხელსაყრელი პირობები უნდა შექმნას საწარმოო რესურსების მაქსიმალურად გამოსაყენებლად და პროდუქციის გამოსაშვებად დასახული ეკონომიკური და ტექნიკური პარამეტრებით, საერთაშორისო დონეზე.

საერთაშორისო მარკეტინგის მიზანია ორგანიზაცია გაუკეთოს კონკრეტული საქონლის წარმოებასა და მიწოდებას ყველა, უმეტეს ან ზოგიერთ სასაქონლო ბაზარზე. ამის დასაბუთება მოცემულია მარკეტინგის პროგრამაში, რომელიც თითოეული პროდუქტის წარმოების დაგეგმვის საფუძველია.

საწარმოო განყოფილებაში მარკეტინგის სამსახური ეწევა მხოლოდ წარმოების ორიენტაციის დასაბუთებას და არა თვით წარმოებას და გასაღებას. გასაღების განსახორციელებლად საწარმოო განყოფილებას გააჩნია შესაბამისი სამსახურები: გასაღების, ტრანსპორტის, ანგარიშსწორების და სხვა. ეს სამსახურები აწარმოებენ წმინდა მმართველობით საქმიანობას, რომელიც ითვალისწინებს საწარმოო განყოფილების მიერ გამოიშვებულ კონკურენტული სახის პროდუქციის რეალიზაციას

ის არსებითი ცვლილებანი, რომლებიც მიმდინარეობს მსოფლიო სასაქონლო ბაზარზე და მსოფლიო მეურნეობაში საერთოდ, უშუალოდ აისახება ფირმების სამეურნეო საქმიანობაზე, რომელნიც მრავალგვარი ხერხების და მეთოდების გამოყენებით

ცდილობენ მოერგონ არაკონტროლირებად სიტუაციებს და პროცესებს უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საერთაშორისო ფორმაში ეს სიტუაციები და პროცესები სპეციფიკურია, რამდენადაც დამოკიდებულია კონკრეტულ ეკონომიკურ პირობებზე, ტრადიციებზე, ბაზარზე შექმნილი სიტუაციების ორიენტაციაზე და სხვა. სწორედ მარკეტინგული საქმიანობა იძლევა შესაძლებლობას მოწინავე მეთოდების და ხერხების გამოყენებით ეფექტიანი ზემოქმედება მოახდინოს ერთიან სამეურნეო ციკლზე.

პროფ. ა. ჯიბუტი, ეკ.მეც.დოქტ. ე. ხარაიშვილი

აბრარულ-სამრეწველო კომპლექსი და მისი სოციალურ- ეკონომიკური ფუნქცია

საწარმოო ძალების განვითარების მაღალი დონე და წარმოების პროცესის განსოგადების შემდგომი განვითარების მოთხოვნები განაპირობებენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო შრომის (წარმოების) აუცილებელ შეერთებას – ინტეგრაციას.

აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაცია ანუ სინთეზი, როგორც ახალი მოვლენა, გამოვლინდა მისი წარმოშობისა და განვითარებისათვის მატერიალურ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური წინაპირობების მომწიფებით. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სასოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა ე.ი. წარმოების მატერიალური პირობების განსაზღვრული დონის მიღწევა და პიროვნული ფაქტორის განვითარება.

სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების ინტეგრაცია განვითარების გარკვეულ ეტაპზე ხდება ასკის ჩამოყალიბების საფუძველი.

სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების სინთეზის წინაპირობად იქცა მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობის შექმნა, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარების მაღალი დონე.

სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარება დაკავშირებულია საკუთრივ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის გაღრმავებასთან, წარმოების ფაქტორების გამოყენების სეზონურობის დაძლევისთან და წარმოების ერთიან ტექნოლოგიურ პროცესში ნედლეულის წარმოებისა და მისი სამრეწველო გადამუშავების შეერთებასთან, რომელთა მიზანშეწონილობა ნაკარნახევაა წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ამოცანებით.

ამასთან, მიწათმოქმედებისა და მრეწველობის კავშირის და აგროსამრეწველო კომპლექსის წარმოშობის მეორე მნიშვნელოვან მატერიალური საფუძველია სასოფლო-სამეურნეო საშუალებათა მწარმოებელი სამრეწველო დარგების ფორმირება განვითარება და მათი მიწათმოქმედების ფუნქციონირების განუყოფელ ნაწილად გადაქცევა.

აგროსამრეწველო კომპლექსის წარმოქმნის მესამე ძირითადი წინამძღვარია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადაამუშავებელი მრეწველობის განვითარება, ხოლო მეოთხე წინამძღვარია, ინფრასტრუქტურული დარგების (ქიმიური სამსახურის, მელიორაციის, ტექნიკის რემონტის, სატრანსპორტო მომსახურების, დამზადების სისტემის და სხვა) განვითარება.

მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაძლიერებისა და ინდუსტრიალიზაციის შედეგად განხორციელდა სოფლის მეურნეობის ირგვლივ ტექნოლოგიურად მჭიდროდ დაკავშირებული დარგების ერთიან კომპლექსში შერწყმის პროცესი.

აგროსამრეწველო კომპლექსი სახალხო მეურნეობის დარგთა ინტეგრირებული სისტემაა, სადაც დარგები ურთიერთდაკავშირებულია ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების, დამზადების, ტრანსპორტირების, შენახვის, გადაამუშავებისა და მომხმარებლამდე დაყვანის მიზნით. იგი ემყარება ქვეყნის საწარმოს ძალების განვითარებას და შრომის საერთო და კერძო დანაწილების გაღრმავების საფუძველზე წარმოქმნილ ინტეგრირებულ აგროსამრეწველო წარმოებას და ინფრასტრუქტურული დარგების მომსახურებას.

აგროსამრეწველო ინტეგრაცია და მათ საფუძველზე წარმოქმნილი ასე ფორმირება ყოველი ცივილიზებული ერის სოფლის მეურნეობის განვითარების მომავალია. სოფლის მეურნეობასთან წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგების სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის, აგრეთვე მომსახურე საწარმოს ინფრასტრუქტურული დარგების და მიმოქცევის სფეროს სხვა დარგებთან კავშირს, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში დიდი ხანია უწოდებენ აგროსამრეწველო კომპლექსს ანუ აგრობიზნესს.

დღეს განვითარებულ ქვეყნებში კვების პროდუქტებითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისაგან წარმოებული საქონლით დაკმაყოფილება სულ უფრო დიდადაა დამოკიდებული არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის დარგზე, არამედ ამ უკანასკნელთან ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად მჭიდროდ დაკავშირებული დარგების შეთანხმებულ განვითარებაზე, რომელსაც სახალხო მეურნეობის სისტემაში ასე ერთიანი ქვესისტემა ახორციელებს.

მაშასადამე, ასკის ფორმირება თავისი არსით ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი წარმოების მნიშვნელოვანი სფეროს – სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დიალექტიკური სინთეზია, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც კომპლექსს წარმომქმნელი დარგების პროგნოზირებისა და მართვის გაუმჯობესებისათვის, ასევე ქვეყნის სასურსათო პრობლემის რეალიზაციისათვის.

აგროსამრეწველო კომპლექსის სიმწიფის მაჩვენებელია მისი სტრუქტურა, იგი მიანიშნებს იმაზე, თუ რამდენად დასრულებულია ასე ფორმირებისა და განვითარების პროცესი.

აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურა ფართო ცნებაა და მრავალი ასპექტით შეიძლება მისი დახასიათება.

ჩვეულებრივ ანსხეავენ ხუთ სტრუქტურულ მოდელს:

- 1) დარგობრივი სტრუქტურის;
- 2) დარგების (აგრეგირების) სფეროდ დაჯგუფების;
- 3) ვერტიკალური ბლოკების, ანუ ცალკეული პროდუქტიული ქვეკომპლექსების დაჯგუფების;
- 4) ტერიტორიული ნიშნით დაჯგუფების და
- 5) ფუნქციური სტრუქტურის მოდელირებას.

ასე დარგობრივი სტრუქტურა ადგენს თითოეული სტადიის ძირითადი ფუნქციის რეალიზაციაში სახალხო მეურნეობის შედარებით დამოუკიდებელი დარგების მონაწილეობის ხარისხს.

დარგების (აგრეგირება) სფეროებად დაჯგუფება განსაზღვრავს ეკონომიკურად და ორგანიზაციულად მჭიდროდ დაკავშირებულ დარგთა ჯგუფების განვითარების ტენდენციებს და მიმართულებებს;

სპეციალიზებული ვერტიკალური ბლოკების ანუ პროდუქტიული ქვეკომპლექსების მიხედვით დაჯგუფება მიუთითებს სოფლის მეურნეობის სპეციალიზებული (მაპროფილებელი) დარგების და მისი სამრეწველო გადამამუშავებელი საწარმოების ინტეგრაციის ხარისხზე;

ტერიტორიული ნიშნით აგროსამრეწველო კომპლექსის გამოყოფა საფუძვლად ედება პროგნოზირებისა და მართვის სრულყოფის, პრობლემების გადაწყვეტას;

აგარარულ-სამრეწველო კომპლექსის სტრუქტურა გეიჩვენებს კელავწარმოების ძირითადი სტადიების თანმიმდევრობას. ასე ყველაზე უფრო სრულყოფილი და ზუსტი დახასიათება შეიძლება მხოლოდ ფუნქციური მიდგომის საფუძველზე ასეთი მიდგომის

თავისებურება ისაა, რომ მთლიანად კომპლექსი და ყოველი მისი შემადგენელი ნაწილი განიხილება როგორც ერთიანი მიზნით, ერთმანეთთან უშუალოდ და თანმიმდევრულად დაკავშირებული პროცესების ერთიანობა.

აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის დარგობრივი სტრუქტურა ასკ-თან დაკავშირებულ ორგანიზაციულ-უწყებრივად გაფორმებული სახალხო მეურნეობის დარგთა ერთობლიობაა.

ასკ-ის დარგობრივ სტრუქტურაში შედის სახალხო მეურნეობის ის დარგები და ქვედარგები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ აგრარულ-სამრეწველო წარმოებაში.

ასკ მეურნეობრივ-დარგობრივ სტრუქტურაში შედის დაახლოებით სახალხო მეურნეობის 70-მდე დარგი და ქვედარგი. მართალია, ასკ-ის საბოლოო პროდუქტის შექმნაში ბევრი დარგი მონაწილეობს, მაგრამ ყველა ამ დარგის ასკ-ში შეტანა ორგანიზაციულად არ შეიძლება.

ასკ-ის ძირითადი დარგია (რგოლთა) სოფლის მეურნეობა - მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული ასკ-ის სხვადასხვა დარგებთან და სფეროებთან. ასკ-ს მიეკუთვნება აგრეთვე სატყეო მეურნეობა.

ასკ-ის შემადგენლობაში შედის კეების მრეწველობის აბსოლუტურად ყველა დარგი (დაახლოებით 15 დარგი) და ნატურალური (როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნედლეულის გადამამუშავებელი მსუბუქი მრეწველობის დარგების ნაწილი (10%).

სოფლის მეურნეობა, კეების მრეწველობასთან და მსუბუქი მრეწველობის გარკვეულ ნაწილთან ერთად კომპლექსწარმომქმნელი ბირთვია.

ასკ წარმოების საშუალებებით მომსახურების სფეროს მიეკუთვნება

აგრარულ-სამრეწველო კომპლექსისათვის განსაკუთრებული, სპეციფიკური დანიშნულების სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, მანქანათმშენებლობა მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისათვის, მანქანათმშენებლობა მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის, ტექნოლოგიურ გაწყობილობათა წარმოება კვებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის, ტექნოლოგიურ განწყობილობათა წარმოება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის, მიკრობიოლოგიური და ქიმიური სასუქების მრეწველობისათვის და სხვ.

ასკ-ის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ვაჭრობა (საბითუმო და კვების პროდუქტების საცალო სპეციალიზებული ვაჭრობა), ასევე საწარმოს ინფრასტრუქტურის დარგები (სოფლის მეურნეობის საწარმოო ტექნიკური მომსახურება, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, ქიმიზაცია, ზელიორაცია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება, ტრანსპორტირება, შენახვა და სხვ).

ეკონომიკურ ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულება არსებობს ასკ სფეროებად (ბლოკებად) დაყოფის შესახებ. თუ რამდენი სფეროსაგან (ბლოკისაგან) შედგება ასკ და რომელ ბლოკს ან სფეროს მიეკუთვნება ესა თუ ის კომპლექსწარმომქმნელი დარგი.

ასკ-ს ჩვეულებრივ ოთხ სფეროდ და ინფრასტრუქტურულ მომსახურებად იყოფა:

I სფერო - დარგები, რომლებიც ასკ სფეროებისა და დარგებისათვის აწარმოებენ წარმოების საშუალებებს და უწყვეტ საწარმოო-ტექნიკურ მომსახურებას;

II სფერო - სოფლის მეურნეობა (სატყეო მეურნეობის ჩათვლით);

III სფერო - დარგები, რომლებიც ემსახურებიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ნედლეულის) დამზადებას და გადამუშავებას;

IV სფერო - აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციის რეალიზაცია (ვაჭრობა)

აგროსამრეწველო კომპლექსის შესაბამისი ინფრასტრუქტურა:

- ა) წარმოებრივი ინფრასტრუქტურა
- ბ) სოციალური ინფრასტრუქტურა.

ასეთი დაყოფა მისაღებია, რამდენადაც აქ ზუსტადაა გამოყენებული კომპლექსის წარმოქმნის მატერიალურ ნაკადთა მნიშვნელობის შეფასებისა და დარგთაშორისი კავშირების პრინციპი.

სფეროებად დაყოფა საჭიროა იმისათვის, რომ ერთიან საბოლოო მიზანს დაუქვემდებარდეს ეკონომიკურად და ორგანიზაციულად მჭიდროდ დაკავშირებულ დარგთა ჯგუფების (სფეროების) განვითარება და სათანადოდ შეფასდეს ბლოკში შეშავალ დარგთა საქმიანობა. ამასთან, იგი იძლევა ასე დაგეგმვისა და მართვის განხორციელების შესაძლებლობას.

აგრარულ სამრეწველო კომპლექსი (მისი საბოლოო პროდუქტის სამომხმარებლო თვისებების განხილვასთან დაკავშირებით) იყოფა რამდენიმე ვერტიკალურ ქვესისტემად. ისინი სპეციალიზებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაზე და მათი გადამუშავების გზით ერთგეაროვანი ჯგუფის საბოლოო მოხმარების პროდუქტების გამოშვებაზე, რომლებიც მომხმარებელს მიეწოდება, როგორც ნედლეულის თუ გადამუშავებული სახით. მაგალითად, ასეთებია: მარცვლეულისა და პურპროდუქტების პროდუქტიული ქვეკომპლექსი; ხორცისა და რძის პროდუქტიული ქვეკომპლექსი, თევზპროდუქტების პროდუქტიული ქვეკომპლექსი, ხილბოსტნეულ-კარტოფილის პროდუქტიული ქვეკომპლექსი, ჩაის პროდუქტიული ქვეკომპლექსი, მკვებანახვობა-მეღვინეობის პროდუქტიული ქვეკომპლექსი და ა.შ.

თითოეულ იმ წარმოებრივ ქვესისტემაში პრაქტიკულად ჩართულია აგროსამრეწველო სისტემის კელაფწარმოების ყველა სტადია. რადგანაც ისინი ერთიანი ასე ორგანული შემადგენელი

ნაწილები არიან, მათ ჩვეულებრივ ვერტიკალურ პროდუქტიულ ქვეკომპლექსებს უწოდებენ.

ასკის ტერიტორიული შედგენილობის (ნიშნის) მიხედვით იყოფა:

1. აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი სასოფლო-აღმინისტრაციული რაიონის დონეზე იგი თავის შემადგენლობაში აერთიანებს მოცემული რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელ კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს, აგრეთვე ინფრასტრუქტურული დარგების მომსახურებას;

2. აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი რეგიონის (ოლქის, მსარის, შტატის) დონეზე თავის შემადგენლობაში აერთიანებს მასში შემავალი რაიონების, აგრეთვე რეგიონის მასშტაბის სასოფლო-სამეურნეო წარმოებას და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელ კვებისა და მსუბუქ მრეწველობას, აგრეთვე ინფრასტრუქტურული დარგების მომსახურებას;

3. აგრარულ-სამრეწველო კომპლექსში ქვეყნის დონეზე შედის რეგიონთა ასკ და უშუალოდ ქვეყნის მასშტაბის კომპლექსწარმომქნელი დარგები და ინფრასტრუქტურული სფერო.

აგროსამრეწველო კომპლექსის ფუნქციური სტრუქტურა ასახავს აგროსამრეწველო წარმოების ცალკეულ სტადიებს შორის ერთიანობასა და კავშირს და მოიცავს აბსოლუტურად ყველა დარგს, ქვედარგს და საწარმოს, რომელთაც აქეთ ფუნქციონალური კავშირი ასკ ბირთვთან-სოფლის მეურნეობასთან და მისი ნედლეულის გადამამუშავებელ მრეწველობასთან.

ასკ იყოფა ხუთ ძირითად ფუნქციურ სფეროდ:

1) წარმოების საშუალებათა წარმოება მთელი ასკ სისტემისათვის; 2) სასოფლო-სამეურნეო წარმოება; 3) სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის სამრეწველო გადამამუშავება; 4) წარმოების ციკლის ყველა სტადიის (ინფრასტრუქტურული) საწარმო-ტექნიკური მომსახურება; 5) აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციის რეალიზაცია.

ასკ-ს კვლავწარმოების პროცესის ამ ცალკეული ფუნქციური სფეროების დანიშნულება განსხვავებულია: ასკ-ში განსაკუთრებული როლი აქვს სოფლის მეურნეობას. მან უნდა აწარმოოს არა მხოლოდ სურსათი, არამედ უნდა უზრუნველყოს გადამამუშავებელი მრეწველობა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით; უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმოების საშუალებათა წარმოებას და საწარმოო მომსახურებას ასკ მთელი სისტემისათვის; სოფლის მეურნეობისა და ასკ სისტემის გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების ნორმალური ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინფრასტრუქტურული დარგების მომსახურებას, აგრეთვე ასკ მაღალეფექტიანი ფუნქციონირება დიდადაა დამოკიდებული სხვა დარგების განვითარებაზე.

მაშასადამე, ასკ ფუნქციური სტრუქტურა განსაზღვრავს პროპორციებს აგროსამრეწველო წარმოების თითოეულ სტადიას შორის. ამასთან იგი ხელს უწყობს კომპლექსის არსის გამოვლენას, მისი სიმწიფის ხარისხის დადგენას და არის დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმალობის კრიტერიუმი.

ასკ ფუნქციონირების მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი სტრუქტურა სტრუქტურასა და ფუნქციებს შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება. სისტემის სტრუქტურა რაც უფრო სრულყოფილად შეესაბამება მის ფუნქციებს, მით უფრო ეფექტიანია იგი, ამასთან სისტემის სტრუქტურა ინარჩუნებს განსაზღვრულ დამოკიდებულებას და ახდენს უკუხემოქმედებას მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

ასკ შემადგენლობის, მისი ცალკეული დარგებისა და რგოლების თანაფარდობის საკითხი არ შეიძლება ცალმხრივად, საერთო მიზნებისაგან მოწყვეტით განვიხილოთ. ასკ ყველაზე სრულყოფილი და ზუსტი დახასიათება შეიძლება მისი ფუნქციური ანალიზის საფუძველზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გადაწყდეს ასკ კვლავწარმოების ცალკეულ სტადიებს შორის წარმოების საშუალებებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ოპტიმალური განაწილების ამოცანა და უზრუნველყოფილი იქნეს

მათი დაბალანსებული განვითარება. მხოლოდ ფუნქციური სტრუქტურის სრულყოფის საფუძველზე შეიძლება ყველაზე უფრო რატიონალური პროპორციების მოღწევა ასე სისტემაში კვლავწარმოების ძირითად სტადიებს შორის.

ამჟამად, ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ასე-ის კვლავწარმოების ფუნქციური სტრუქტურის იდეალური მოდელი. ამიტომ უნდა დაეყრდნოთ ასე ფუნქციური სტრუქტურის მხოლოდ ზოგად ტენდენციებს, რომელიც დამახასიათებელია ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის. ამ ქვეყნების ასე განვითარებისათვის დამახასიათებელია II სფეროს ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი შექცირება და I და III სფეროს დარგების ხვედრითი წონის გადიდება.

სახალხო მეურნეობრივი ინფრასტრუქტურა, როგორც მომსახურე დარგთა სისტემა, ყალიბდება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პარალელურად. იგი ქმნის წარმოების განვითარებისათვის საერთო პირობებს და არის როგორც წარმოების სფეროს, ასევე წარმოებიდან-განაწილებისა და გაცვლის გზით — მომხმარებელამდე პროდუქციის მოძრაობის მატერიალური საფუძველი. სახალხო მეურნეობრივი ინფრასტრუქტურის საერთო განვითარების ობიექტური კანონზომიერებაა ცალკეული სახალხო მეურნეობრივი კომპლექსებისა და ქვეკომპლექსების, მათ შორის აგროსამრეწველო კომპლექსის ინფრასტრუქტურის გამოყოფა და განვითარება.

აგროსამრეწველო კომპლექსის ინფრასტრუქტურის ფორმირება შეიძლება იყოს საზოგადოებრივი დანაწილების გადრმავეების პირდაპირი შედეგი. საზოგადოებრივი შრომის დანაწილების პროცესის გადრმავება იწვევს სოფლის მეურნეობისაგან და მასთან დაკავშირებული დარგებისაგან მომსახურების ფუნქციების ცალკე გამოყოფას, რომლებიც თანდათანობით გარდაიქმებიან შედარებით დამოუკიდებელი საქმიანობის სახეობებად და ერთობლიობაში წარმოქმნიან

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო ინფრასტრუქტურას.

აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანი გამოყენება მოითხოვს შეუფერხებელ საწარმოო-ტექნიკურ მომსახურებას, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, ქიმიურ და მელიორაციულ სამსახურს, სატრანსპორტო მომსახურებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებას, გარანტირებულ შენახვას და რეალიზაციას. გადამამუშავებელი მრეწველობა გადადის უფრო სრულყოფილ ტექნოლოგიურ მეთოდებზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მაღალი ხარისხის ნედლეულის მიწოდებას, ყოველივე ამის უზრუნველყოფა შეუძლებელია სპეციალური სატრანსპორტო მომსახურების, გზების, ტარის, რგოლების განუვითარებლად.

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო დანიშნულების ინფრასტრუქტურა მჭიდროდ აკავშირებს ასე ცალკეულ სფეროებს და განსაზღვრავს ასე დარგთაშორისი კავშირების განვითარების ხარისხს, მთლიანად სისტემას ანიჭებს კომპლექსურ ხასიათს და უზრუნველყოფს მის მიზნობრივ ფუნქციონირებას.

ინფრასტრუქტურის სხვადასხვა დარგს, თავისი ხასიათის მიხედვით განსხვავებული კავშირი აქვს ასე-ის თითოეულ სფეროსთან (ბლოკებთან). ინფრასტრუქტურის ერთი ჯგუფი ემსახურება ასე ყველა სფეროს. ასეთს მიეკუთვნება საგზაო-სატრანსპორტო სისტემა, ელექტრიფიკაციისა და ინფორმაციის სამსახურები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, მშენებლობა და სხვა.

დაბოუიღებელ ჯგუფს ქმნიან ინფრასტრუქტურის დარგები, რომელთა ფუნქციონირება ასე-ის მხოლოდ II და III სფეროებთან არის დაკავშირებული. ეს სფეროები მოიცავენ დამზადების სისტემას, სასაწყობო, ტარისა და სამაცივრო მეურნეობებს და სხვა.

ყველაზე დიდ ჯგუფს ქმნიან ინფრასტრუქტურის ის დარგები და დანაყოფები, რომლებიც უშუალოდ სოფლის მეურნეობას ემსახურებიან. ეს სამსახურებია: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი, ტექნიკური სამსახური, მორწყვა, მცენარეთა დაცვა, ვეტერინარული მომსახურება და ა.შ.

მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთიანი

ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა ორ ჯგუფად იყოფა: პირველია „აგროსერვისად“ წოდებული დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ საკუთრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესის ეფექტიან ფუნქციონირებას, ხოლო მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ის დარგები, რომლებიც ემსახურებიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმოქცევას.

თანამედროვე ეტაპზე ინფრასტრუქტურული მომსახურება ჩამორჩება ასე წარმოების განვითარების დონეს ეს აიხსნება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათის მიზეზებით. ასე სისტემის ინფრასტრუქტურის განვითარება, მოვლი ასე-ის განვითარების საფუძველია.

ასე-ის ძირითადი ინფრასტრუქტურული დარგების – ქიმიზაციის, მელიორაციის, სპეციალური ავტოსატრანსპორტო მომსახურების და გზების როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში განიხილება, როგორც უშუალოდ ინფრასტრუქტურული დარგების შინაგანი განვითარების პრობლემის თვალსაზრისით (შიდაეფექტიანობა), ასევე მთლიანად ქვეყნის ასე წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით (გარეგანი ეფექტიანობა) და ამ საფუძველზე გამოვლენილი უნდა იქნეს საწარმოო ინფრასტრუქტურისა და ძირითად წარმოებას შორის არსებული წინააღმდეგობა.

ინფრასტრუქტურის დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფა თანამედროვე ეტაპზე განპირობებულია კელავწარმოების პროცესში მისი განსაკუთრებული როლით, აგრეთვე ასე-ის წარმოებისა და მთლის სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებებისაგან მისი ჩამორჩენილობის დაძლევის აუცილებლობით.

რაც შეეხება ასე-ის სოციალურ ინფრასტრუქტურას იგი მოიცავს საბინაო-კომუნალურ მეურნეობას, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებებს, კულტურის სახლებსა და კლუბებს, აღმზრდელობით და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს, სპორტულ ნაგებობებს და სხვა.

სოფლის მეურნეობისა და მთლიანად აგროსამრეწველო

კომპლექსის განვითარება განსაკუთრებით მჭიდროდაა დაკავშირებული სოფლად სოციალური პრობლემების გადაწყვეტასთან და ასე სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან.

პროფ. ბ. ბაბუნაშვილი

სისტემური მიდგომა ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის კვლევის მიმართ

ეკოლოგიური პროცესების არსებობის ობიექტური წინაპირობაა საზოგადოების ეკონომიკური ბაზისის - საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის არსებობა, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროს: წარმოებას, განაწილებას, გაცვლას და მოხმარებას. ეკონომიკური ურთიერთობები რთულია. მათი აღქმისათვის საჭიროა შემეცნებისა და ზემოქმედების მეცნიერული მეთოდები. საწარმოო ძალების განვითარების პროცესის შემეცნების გაღრმავებამ და გაფართოებამ ჩამოაყალიბა ახალი მეცნიერება - ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა, რომელიც ასახავს საწარმოო ურთიერთობების ფორმებს, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და ადღგენას გარემოს დაცვის პროცესში.

ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკასთან და იძლევა საწყის ინფორმაციას ბუნებრივი რესურსების გამოყენების აუცილებლობის შესახებ წარმოების განვითარების ეფექტიანობის პრობლემების გადაჭრისას.

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის ახალი ამოცანების წამოჭრა განაპირობა სამეურნეო პრაქტიკის მოთხოვნებმა.

ადამიანის მიერ გარემოს გამოყენების სტიქიურობამ და ბუნებრივი სიმდიდრის დატაცებამ საზოგადოების ისტორიული

განვითარების ადრეულ ეტაპზე იჩინა თავი. ამან შემდგომში უფრო ფართო ხასიათი მიიღო და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას განსაკუთრებით გამწვავდა, რაც აისახა ეკონომიკურ, სოციალურ, ეთიკურ და აგრეთვე ეკოლოგიურ წინააღმდეგობებში. ეკონომიკის სწრაფმა განვითარებამ განაპირობა არა მარტო ტექნიკური პროგრესი, არამედ ბუნების დაზიანებაც. ეს დაექვემდებარა დაუნდობელ ექსპლოატაციას მაქსიმალური მოგების მისაღებად. ბოლო 20 წლის მანძილზე - კრიზისული მოვლენების დაწყებამდე - საქართველოს მოსახლეობა 18,4%-ით გაიზარდა, წარმოება კი, 2,65-ჯერ, მათ შორის წიაღისეულის მოპოვება - 122-ჯერ.

წარმოების განვითარება მოითხოვს წიაღისეულის ამოღებას, იზრდება მოპოვებული ნედლეულის გადამუშავების ღირებულება და, მასთან ერთად, ვარკეთილში გადმოსროლილი ნარჩენების რაოდენობა. თანამედროვე წარმოება ღია სისტემაა იგი ბუნებრივი ნედლეულია, რომლის პირველადი დამუშავება ხანდახან მოპოვებისას ხდება - ქვანახშირი, ნავთობი, მადანი, სამშენებლო მასალები, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ნედლეული. წყალი. მასალების მოქალი მასა გადამუშავების ერთ ან რამდენიმე სტადიას გადის, ამის შემდეგ საბოლოო პროდუქტის სახით ტოვებს წარმოებას და საბოლოო სტადიაზე წარმოებიდან გამოდის ნარჩენები - უსარგებლო ქანები, შლაკები, ნაცარი, ჩამდინარე წყლები, აეროზოლები, გაზები, ორთქლი, მტკერი და ა.შ., რომელიც ხშირად ადამიანისა და ცოცხალი ორგანიზმებისათვის სხეადასხეა მავნე ნივთიერებას შეიცავს.

ნარჩენების მოცულობა ხშირად საბოლოო პროდუქტის მოცულობას სჭარბობს. ნედლეულის სარგებლიანად გამოყენების ხარისხსა და ნარჩენების ფარდობით რაოდენობაზე, შეიძლება ვიმსჯელოთ საბოლოო პროდუქტის წონის საწყისი მასალის წონასთან შეფარდების მიხედვით.

ამგვარ პირობებში შემეცნება ხდება პრაქტიკული მოთხოვნილებების გამო, პირველ რიგში, ბუნებრივი და საზოგადოებრივი პროცესების შემოქმედებითი, მკვნიერული მართვის პრაქტიკისათვის. ეს შესაძლებელია და აუცილებელი. ამასთან

დაკავშირებით, ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა საზოგადოების ბუნებასთან ურთიერთდამოკიდებულების მართვის სისტემურობას – საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის ამ უაღრესად მნიშვნელოვან სახეობას – საბაზრო ეკონომიკაში.

ბუნებრივ მახასიათებელთა რიცხვს მიეკუთვნება: გარემოს „ანთროპოგენური თვისება“, ე. ი. მდგომარეობა, რომელიც მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების საქმიანობის უშუალო შედეგია და საერთო ეკოლოგიური მდგომარეობა, რომელიც მოიცავს გარემოს თვისებას როგორც თავის შემადგენელ ნაწილს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სისტემათა ონთოლოგია (მათი ყოფა, არსებობა), სისტემათა გნოსეოლოგია (სისტემათა შემეცნება და მათ შესახებ ცოდნის სისტემურობა) და სისტემათა მართვა (მათი ფუნქციონირების, სრულყოფისა და განვითარების უზრუნველყოფა, მათი 'შექმნის პრაქტიკა), ერთად აღებული, არის სისტემური მიდგომის არსი.

ყველა სოციალური ხასიათის სისტემა არსებობს სოციალური და ბუნებრივი ხასიათის სხვა სისტემებთან ურთიერთკავშირში. მოცემულ სისტემასთან კომუნიკაციების ქსელით დაკავშირებული გარეშე წარმონაქმნები წარმოადგენს მის გარემოს.

სოციალური სისტემის გარემო – ეს, უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივი გარემოა, ე. ი. ბუნებრივ-კლიმატური პირობებია, რომელშიც ფუნქციონირებს ესა თუ ის სოციალური სისტემა. ბუნებრივ გარემოსთან სისტემა საგნობრივ-ენერგეტიკულ კავშირშია და იღებს მისგან მასალებსა და ენერგიას მატერიალური წარმოების ორგანიზაციისათვის.

ბუნება – ადამიანის სიცოცხლისა და საქმიანობის გარემო – მისი არსებობის რესურსების წყარო, შრომის საგანი და გარდაქმნის ობიექტია. შრომა, უპირველეს ყოვლისა, ესაა პროცესი, რომელიც სრულდება ადამიანსა და ბუნებას შორის, პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი საკუთარი საქმიანობით ახორციელებს, არეგულირებს და აკონტროლებს ნივთიერებათა ცვლას თავის თავსა და ბუნებას შორის.

ენერჯის წარმოებასა და მოხმარებაზე მრავალრიცხოვანი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას, მათ შორის: ქვეყნის სიდიდე, მისი კომუნიკაციების ზომები. მაგ. ვ.კლიმენკოს(1911) (და აგრეთვე გაეროს) მონაცემებით, ცხოვრების საერთოპლანეტული დონის უსრუნველყოფისათვის რუსეთი ერთ ადამიანზე წელიწადში უნდა აწარმოებდეს 18,9ტ, ხოლო ამიერკავკასიის ქვეყნები - 8,8-9,6 ტ პირობით საწვავს. შეენიშნავთ, რომ ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში ფაქტობრივი მოხმარება 2,5 - 3ჯერ ნაკლებია რეკომენდებულთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ ენერჯით მდიდარ იაპონიაში პირობითი საწვავის მოხმარება, ერთ სულზე წელიწადში, 3 ტონას არ აღემატება(2).

საგნობრივ-ენერჯეტიკული ურთიერთქმედება ბუნებრივი რესურსების მოხმარებაში გამოიხატება. მაგალითად, მეტალურგიულ წარმოებაში 1 ტ ნაგლინის წარმოებისათვის საქართველოში იხარჯება (ტონებში) რკინის მადანი - 2, ფეროშენადნობები - 0,1, კირქვა - 0,5, 200 ტ, რისთვისაც საქართველოში იწარმოებოდა კოქსვადი ნახშირი 1,2 მლნ ტონა, თუჯი - 0,7, ფოლადი - 1,4, ნაგლინი - 1,2 და ფოლადის მიღები - 0,5 მლნ ტონა.

ქვეყნის კლიმატი მისი განვითარების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია და ჯერ კიდევ ელიზე რეკიუს (XIX ს. ფრანგი გეოგრაფი, სოციოლოგი, პოლიტიკური მოღვაწე) დროიდან ითვლება, რომ კლიმატური ზონები, სადაც საშუალო ტემპერატურა ორ გრადუსს უნდა აღემატება, ხოლო სიმაღლე ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მეტი - უვარგისია ადამიანთა საცხოვრებლად. საქართველოს ტერიტორიის 53,6% მთებს უკავია (1500-2000 მ ზღვის დონიდან), 33,4% - ზეგნებს და ტერიტორიის მხოლოდ 13%-ია დაბლობი. თუ განვიხილავთ ეფექტიან ტერიტორიას, ე.ი. ნაწილს, რომელიც არ მდებარეობს ექსტრემალურ პირობებში, იგი ამ მაჩვენებლით მრავალ ქვეყანას ჩამორჩება. საქართველოში შესანიშნავი ნიადაგებია, მაგრამ ცოტა, ხშირია გვალვა (კახეთი), ზედმეტი ნესტი (კოლხეთი), ეროზია და ა. შ. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენი სოფლის მეურნეობისა და წარმოების პრობლემა ისაა, რომ ვაქციოთ იგი მაღალშემოსავლიან საექსპორტო ნაწილად ზოგიერთ საქონელზე

(ჩაი, ციტრუსები, ღვინო, ბორჯომი, ტუნგი და ა. შ) და, ამასთან შეეძინოთ მას უნარი – გამოკვებოს ქვეყნის მოსახლეობა.

ადამიანისა და ბუნების როლის საკითხი, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული მისი ცალკეული ასპექტები დიდი ხანია წამოჭრილია და განხილული. მაგალითად, გ. ბოკლი [1] ცდილობდა დაედგინა ბუნებრივი პირობების, კერძოდ, კლიმატის ზემოქმედება ადამიანის ცნობიერებასა და საზოგადოებრივ განვითარებაზე. გეოგრაფიული გარემოს გათვალისწინების აუცილებლობას ხაზს უსვამდა პიპოკრატე [4].

განვითარების თანამედროვე ეტაპზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ეკონომიკურ პრობლემას, მშვიდობის დაცვასა და ახალი მსოფლიო ომის საშიშროების თავიდან აცილებასთან ერთად, საზოგადოება უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევს და კონკრეტულ პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამს მის გადასაწყვეტად.

ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის ძირითადი სირთულე და თავისებურება ისაა, რომ იგი მოითხოვს არამარტო საზოგადოებრივ-სამეცნიერო დისციპლინათა და, პირველ რიგში, თეორიული ეკონომიკის მეთოდებისა და კატეგორიების, დედამიწის შესახებ მეცნიერებათა მთელი კომპლექსის - გეოლოგიის, გეოგრაფიის ბიოლოგიის, ნიადაგთმცოდნეობის, ხე-ტყეთმცოდნეობის, მეტეოროლოგიის, დემოგრაფიის კანონზომიერებების ცოდნას და პრაქტიკულ გამოყენებას.

მეცნიერებათა ეს კავშირები საჭიროა წიაღისეული სიმდიდრის, ატმოსფეროს, წყლის, ნიადაგის, ხე-ტყისა და რესურსების სხვა სახეობების ოპტიმალური გამოყენებისა და დაცვის საკითხების შემუშავებისათვის. მაგრამ, რამდენადაც იგი ეკონომიკურ მეცნიერებას წარმოადგენს, ამიტომ მჭიდროდაა დაკავშირებული თეორიულ ეკონომიკასთან, სადაც წარმოების პროცესი შეისწავლება ბუნებასთან ადამიანის ურთიერთქმედება.

ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების კანონზომიერებათა გაგება არის ბუნებათსარგებლობის

ეფექტიანობის ამაღლებისა და გარემოს დაცვის პრობლემათა გადაჭრის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი.

ჟ. ვერნადსკი, რომელმაც პირველად წამოსწია ბიოსფეროს, როგორც ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების განსაკუთრებული ფორმის თეორია, ხაზგასმით აღნიშნა ბუნებრივ თანაარსებობათა ფუნქციონირების კანონზომიერებათა შესწავლის აუცილებლობა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან მჭიდრო კავშირში.

ამერიკელი მეცნიერი-ეკოლოგი ო. ლეოპოლდი გარემოს დაცვის მდგომარეობის არადაამაკმაყოფილებლობის სამ მიზეზს გამოყოფს:

1) უწყებრივ, ვიწროსპეციალურ მიდგომას, რაც არ იძლევა საშუალებას მოვიცვათ სისტემა მთლიანად;

2) მცდარ წარმოდგენას ხელოვნური სისტემების მეტი საიმედოობის შესახებ, ბუნებრივთან შედარებით;

3) ურთიერთკავშირების იგნორირებას ეკოლოგიაში.

გარემოს რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ბათვის არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობის მიზეზების ნუსხა შეიძლება გაფართოვდეს სხვა პუნქტებითაც, კერძოდ, ეკოლოგიური წონასწორობის ძირითადი კანონების უცოდინარობით.

ამჟამად ადამიანი არღვევს ბიოლოგიური პომეოსტაზის კანონებს, როდესაც ქმნის ხელოვნურ პირობებს დადებითი უკუკავშირისათვის. მეორე მხრივ, პოპულაციური კონტროლის საზღვრებს გარეთ გასვლითა და ბუნებრივი ერთიანობის დამორჩილებით, ადამიანმა ჯერ კიდევ ვერ შეიცნო ყველა პომეოსტატიური თავისებურება, რის გამოც მას არ შეუძლია ბიოსფეროს სრულად მართვა.

ეკოლოგიური წონასწორობის მნიშვნელოვანი ფაქტორია ნივთიერებათა და ენერჯის მიმოცვლა ბიოსფეროში - ბიოქიმიური ციკლები და ენერჯის გარდაქმნა.

ბიოგეოქიმიური წრებრუნვა (ციკლები) არის ბიოსფეროში საკვები ნივთიერებების ძირითადი ელემენტებისა და გაზისებრი

ნაერთების ცირკულაცია (გარემო-ორგანიზმი-გარემო). მთელი დედამიწისა და ნებისმიერი ეკოსისტემისათვის მიმოქცევა ორგანიზმების ცხოველმოქმედების საფუძველია.

იმის შეგნება, რომ ადამიანი რთული ბიოქიმიური ციკლების შემადგენელი ნაწილია და არა რაიმე გარეშე მათ მიმართ (თუმცა გააჩნია მათი შეცვლის სულ უფრო მზარდი უნარი), თანამედროვე ეკოლოგიის საფუძველია, რომელიც მოწოდებულია შეასრულოს უმნიშვნელოვანესი როლი კაცობრიობის არსებობისათვის. ენერჯის დანაკარგები გამოყოფილი სითბოს სახით ძალზე დიდია. ბიოსფეროს ძირითადი ამოცანაა არ დაუშვას ენერჯის დიდი მასების სითბოდ გარდაქმნა, მოაწესრიგოს ენერჯის შემოსელა და მოხმარება.

„საბოლოო ჯამში, - აღნიშნავს გ. ფ. პელმი, - ცოცხალი არსებანი ახერხებენ თერმოდინამიკის მეორე კანონით განპირობებული გარემოს წინააღმდეგობის დაძლევას, რომელსაც ენერჯის დეგრადაცია და ის წინააღმდეგობა იწვევს, რომელიც განპირობებულია გარემოში თავისუფალი გარდაქმნის უნარის მქონე ენერჯის შემოსელის არარეულარობით. თუმცა ეს ხდება არა თავისთავად, არამედ მიიღწევა ცოცხალი არსებების ორგანიზაციის შესაბამისი დონისა და მათი ფუნქციონირების გარკვეული მიზანმიმართული ხერხებით“ [6].

თანამედროვე ბუნებათსარგებლობის სტრატეგიის განსაზღვრისათვის, გამოყენებითი თვალსაზრისით, უნდა ვისარგებლოთ თერმოდინამიკის კანონებით წარმოებისა და მოხმარების ოპტიმალური თანაფარდობის გაანგარიშებისათვის. მაგალითად, საწარმოო მეთოდებზე აგებული მონოკულტურული სოფლის მეურნეობის შეთავსებისათვის ეროზიულ პროცესებთან, მოსაველიანობასა და სასოფლო-სამეურნეო მანებლებთან.

ბუნებათსარგებლობის პრაქტიკაში ბიოსფეროს ფუნქციონირების ძირითადი საბუნებისმეტყველო კანონების გამოყენება მისი ეფექტიანობის ამაღლების საიმედო საფუძველია.

ადამიანთა საზოგადოებისა და ბუნებრივი რესურსების ურთიერთქმედება შეადგენს ეკოლოგიურ-ეკონომიკური პროცესების კომპლექსს, რომელიც მიმდინარეობს ყველგან, სადაც გამოვლინდება

ადამიანის სამეურნეო საქმიანობა როგორც ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემა, ბუნებრივი რესურსების პოტენციალი ექვემდებარება რიგი ფაქტორების ურთიერთსაწინააღმდეგო ზემოქმედებას. ერთი მხრივ, ჩანს მჭიდრო კავშირი ბუნებრივ პირობებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ბუნებრივი რესურსების პოტენციალის სიდიდე შეიძლება შეიცვალოს ბუნებრივი რესურსების ფონდში მიმდინარე (რაოდენობრივი და თვისებრივი) ცვლილებების შედეგად მასზე საზოგადოების ზემოქმედების დროს, რომლის სიდიდეც დამოკიდებულია მრავალ ბუნებრივ-ტექნიკურ პირობაზე.

ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ ბუნებრივი რესურსების პოტენციალის განსაზღვრა როგორც ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიურად ურთიერთ დაკავშირებული ერთობლიობა ადმინისტრაციულად განცალკევებული ტერიტორიის საზღვრებში, რომლის ერთობლივი ექსპლოატაცია, დაცვა და კვლავწარმოება უზრუნველყოფს რეგიონის მაქსიმალურად ეფექტიან მონაწილეობას ქვეყნის ნედლეულისა და ენერგეტიკული ბაზის გაფართოებისა და საიმედოობის ამაღლების ამოცანების გადაწყვეტაში, საზოგადოებრივი წარმოების ბუნებათტევადობის შემცირებასა და ბუნებრივი გარემოს ყოველმხრივ სოციალურ-ეკოლოგიურ გაუმჯობესებაში.

მისი სიდიდე დამოკიდებულია ფაქტორთა სამ ჯგუფზე:

1) ეკოლოგიურ-ეკონომიკურზე – რომელიც ბუნებრივი და ანთროპოლოგიური პირობებით განისაზღვრება;

2) მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და საწარმოო პროცესების ორგანიზაციის გაუმჯობესების ფაქტორებზე

3) ბუნებათსარგებლობის საბოლოო პროდუქტზე მოთხოვნის მოცულობასა და სტრუქტურაზე.

ლიტერატურა

1. Клименко В.В., Влияние климата и географических условий и уровень потребления энергии. 1994, ст 339.
2. Мойсеев Н.Н., Агония в России. Есть ли у нее будущее? Политика системного анализа. Проблемы выбора, М., 1996.
3. Бокль Г., История цивилизации Англии, в 2-х томах, перевод с английского, СПб, 1862-1863.
4. Гипократ, воздух, вода и суша, Пер. с французского, Париж, 1880.
5. Леопольд О., Календарь песчанного графства, М., Мир, 1980.
6. Хельми Г.Ф., Основы физики биосферы, Гидрометиздат, 1966.

ეპ. მაცნ. დოქტ. ე. ხარაიშვილი, მ. ჩიხლაძე

ეკონომიკურ-ობრანიზაციული ურთიერთობები
აგროსამრეწველო კომპლექსში და მათი სრულყოფის
ამოცანები

ეკონომიკის საბაზრო მოდელზე გადასვლამ არსებითი ცვლილებები გამოიწვია აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ურთიერთობებში. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების დამკვიდრებამ, საკუთრების ფორმებს შორის

თანაფარდობის ცვლილებამ, საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნამ, მართვის ახალმა ორგანიზაციულმა სტრუქტურამ, მსოფლიო ინტეგრაციულ სისტემაში ჩართვამ ჩამოაყალიბა ახალი ტიპის ეკონომიკურ-ორგანიზაციული სტრუქტურები. აგროსამრეწველო კომპლექსში ამ სტრუქტურების საშუალებით შესაძლებელია საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის კოორდინაცია, მათ შორის დაუბალანსებლობის შემცირება, რესურსული პოტენციალის მაქსიმალური უკუგებით გამოყენება, შიდადარგობრივი და დარგთაშორისი პროპორციულობის უზრუნველყოფა, საწარმოო ინტეგრაციული პროცესების წარმართვა საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად და ა.შ.

აგროსამრეწველო კომპლექსში ეკონომიკურ-ორგანიზაციული ურთიერთობის ხასიათს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის საწარმოო-ეკონომიკური და ორგანიზაციული კავშირები განსაზღვრავს. ამ კავშირების აღმოცენება და განვითარება დაფუძნებული უნდა იყოს შრომის სასოგადოებრივი დანაწილების სრულყოფაზე, ინტეგრაციის ეტაპობრივ განვითარებაზე, მხარეთა შორის ინტერესების დაბალანსებაზე, საკუთრების ფორმათა შორის ოპტიმალურ თანაფარდობებზე, შესაბამის სამართლებრივ ბაზაზე, სამეურნეო შედეგების ორიენტირებაზე.

დღეს აგროსამრეწველო კომპლექსი ინტეგრაციული კავშირების დაბალი დონით გამოირჩევა. კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის, საბაზრო მაკროეკონომიკურ-ორგანიზაციული ურთიერთობის სისტემის შექმნისათვის ნედლეულის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის რგოლების ტექნოლოგიურად, ორგანიზაციულად და ეკონომიკურად გაერთიანება იმ შემთხვევაში იქნება ეფექტიანი, თუ აღწარმოების ყველა სტადიაზე კომპლექსურად და მიზანმიმართულად გამოიყენება წარმოების ფაქტორები.

ეკონომიკურ-ორგანიზაციული ურთიერთობების საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად ფორმირებაში განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია ორგანიზაციულ-მმართველობით ფაქტორს. ეკონომიკურ-ორგანიზაციული და მმართველობითი

ურთიერთობები წარმოების ფაქტორებისა და წარმოებით ურთიერთობათა ურთიერთქმედებით ყალიბდება და მათ შორის დაბალანსებული განვითარება უზრუნველყოფს აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო პოტენციალის მაღალი უკუგებით გამოყენებას, დინამიკურს და რეგულირებადს ხდის ეკონომიკურ-ორგანიზაციული სისტემის სტრუქტურას და კავშირებს.

აგროსამრეწველო კომპლექსში ეკონომიკურ-ორგანიზაციულმა და მმართველობითმა ურთიერთობებმა წარმოების მოტივაციისა და ინტეგრაციის როლი უნდა შეასრულოს. დღეს ამ როლის შესრულებას ხელს უშლის შემდეგი ფაქტორები:

- საწარმოთა არასწორი რეორგანიზაცია, პრივატიზაციის დაუმთავრებლობა;

- ორგანიზაციული სტრუქტურების მოუწესრიგებლობა ქვეყნის, რეგიონისა და რაიონის დონეებზე;

- მატერიალური, საფინანსო და საკრედიტო რესურსების დეფიციტი, რესურსებით საწარმოთა მომარაგების პრობლემა;

- თანამედროვე საბანკო-საკრედიტო სისტემის განუვითარებლობა, ფერმერებისათვის რეგულარული კრედიტის მიღების შეუძლებლობა;

- საკანონმდებლო სამართლებრივი ბაზის მოუწესრიგებლობა;

- სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის არას ათანადო ტემპები;

- სექტორის საექსპორტო პოტენციალის შემცირება და პერსპექტიული საექსპორტო ბაზრების შეუსწავლევლობა;

- საინვესტიციო ფონდების ნაკლებობა;

- საშინაო და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მოუწესრიგებლობა;

- სოციალური და ეკონომიკური სტატისტიკის არასაიმედოობა;

- მოუწესრიგებელი სატრანსპორტო სისტემა;

- მეცნიერული კვლევის შენელება და მეცნიერების და ტექნიკის მიღწევების წარმოებაში დანერგვის მოტივაციის იგნორირება და სხვა.

აგრარული პოლიტიკის მთავარი ამოცანა უახლესი

მომავლისათვის არის აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის დამყარება. აღნიშნული წონასწორობა გადაჭრის ძირითადი სახეების პროდუქციასა და ნედლეულზე ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ეს კი შექმნის პირობებს იმისათვის, რომ საქართველომ მოახერხოს საერთაშორისო ბაზარზე აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის ექსპორტიც. გასათვალისწინებელია, რომ კერძო საკუთრებისათვის უახლეს მომავალში უფრო ხელსაყრელი და სრული გარემო პირობები შეიქმნება. საკუთრების ეს ფორმა კი პროდუქციის წარმოების გაზრდის და ეფექტიანობის ამაღლების საიმედო პოტენციალია. ჯერჯერობით საქართველოში აგრარული სექტორის განვითარებისათვის სასურველ საფუძველს ქმნის ტრადიციული პროდუქციის წარმოება, როგორცაა: ციტრუსი, ჩაი, ღვინო, დაკონსერვებული ბოსტნეული, ხილი. თუმცა პერსპექტივაში დასაზუსტებელია ზოგიერთი მათგანის წარმოების შესაძლებლობები.

საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიური წარმომადგენელი ძალა იქნება კერძო სექტორი სახელმწიფო პროტექციონიზმით, რაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება კარგად განვითარებულ ინფრასტრუქტურას.

დღეს, ეკონომიკურ-ორგანიზაციული და მმართველობითი ურთიერთობები შემთხვევითობის პრინციპის, ბუნებრივი და ეკონომიკური კანონების უგულვებელყოფის საფუძველზე, საბაზრო ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების გარეშე ყალიბდება. საბაზრო ეკონომიკურ - ორგანიზაციული ურთიერთობების დამკვიდრებისათვის აუცილებელია შემუშავდეს ამ ურთიერთობათა სრულყოფის ამოცანები. სასურველია იგი შემდეგ მიმართულებებს ემყარებოდეს:

1. სასოფლო-სამეურნეო წარმოების და კვების მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის ხელსაყრელი მაკრო და მიკრო გარემო პირობების შექმნა; სამეურნეო საქმიანობაზე ჰოქმედი მაკრო გარემო პირობებში ეგულისხმობთ: ეკონომიკურ ფაქტორებს (უცხოური ვალუტის ღია რეჟიმი, ადგილობრივი ბიუჯეტი, ვაჭრობის ღია რეჟიმი),

ბუნებრივ ფაქტორებს (მიწა, წყლის რესურსები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, ჰავა, რელიეფი და სხვა); მეცნიერულ-ტექნიკურ ფაქტორებს (წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ენერგეტიკის განვითარება, მიკროპროცესული ტექნიკის საფუძველზე კომპიუტერიზაცია, ტრანსპორტის ახალი სახეების განვითარება, ბიოტექნოლოგიის განვითარება, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნა); დემოგრაფიულ ფაქტორებს (მოსახლეობის რიცხოვნობა, მისი ზრდის ტემპი, სტრუქტურა, მყიდველობითუნარიანობა); პოლიტიკურ ფაქტორებს (საწარმოთა საქმიანობის რეგულირების შესახებ კანონმდებლობითი საქმიანობა, საგარეო ეკონომიკური კავშირები და სხვა); კულტურული გარემოს ფაქტორებს (ფასეულობათა სისტემები, განათლების დონე, ქცევის ნორმები, საქველმოქმედო საქმიანობა და სხვ.).

მიკროგარემო ფაქტორებში უნდა განვიხილოთ: წარმოება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, საფინანსო სამსახური, ბუღალტერია, მმართველობა, მარკეტინგი, სამეცნიერო-კვლევითი სამსახური და სხვა.

2. საადგილმამულო ურთიერთობათა სრულყოფა მიწის რეფორმის დასრულებით და მეურნეობრიობის ფორმების გარდაქმნით. ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველო ერთადერთია, სადაც აგრარულ წარმოებაში და გადაამამუშაებელ მრეწველობაში მოხდა კოლექტიური და სახელმწიფო სექტორების ტოტალური პარალიზება. 1997 წლის მონაცემებით კერძო სექტორში იწარმოებოდა მთელი პროდუქციის 80%-ზე მეტი. მაშასადამე, ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ურთიერთობათა სრულყოფა კერძო სექტორის საბაზრო ეკონომიკის პირობებისადმი ადაპტირების გზით უნდა წარიმართოს. რეფორმების გაგრძელება ამ სფეროში უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო მფლობელობაში დარჩენილი მიწის და ქონების სწრაფ პრივატიზაციას მარტივი მექანიზმებით და კერძო მესაკუთრეების ნებაყოფლობით გადაჯგუფებას ახალ ფერმერულ სტრუქტურებში.

კერძო საკუთრებაში არსებული მიწის არენდით გაცემა და

გაყიდვის უფლება ჩამოაყალიბებს მიწის ბაზარს. ზემოთ დასახელებული და სხვა კანონები და დებულებები უზრუნველყოფს მიწის გამოყენების რეგულირების შესაბამის მექანიზმს. საბაზრო სოფლის მეურნეობას არ შეუძლია ფუნქციონირება მიწის ბაზრის გარეშე. მაგრამ სპეციალური და გარემოს დაცვის ამოცანები მოითხოვენ მიწის ბაზრის რეგულირების საკითხების მოგვარებასაც.

მიწის ბაზრის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა მიწის კადასტრული სამუშაოების ჩატარება. მიწის ბაზრის განვითარების საფუძველზე ბანკები შეძლებენ მიწა მიიღონ როგორც გირაო ინვესტიციებისა და საბრუნავე კაპიტალის სესხისათვის, რაც უზრუნველყოფს საბაზრო ურთიერთობების შემდგომ განვითარებას სოფლის მეურნეობაში.

3. აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციისა და ამ სექტორის მომსახურებისათვის კონკურენტუნარიანი შიდა ბაზრის შექმნა. ამისათვის საჭიროა: სახელმწიფოს მფლობელობაში დარჩენილი მიწისა და ქონების პრივატიზაციის დამთავრება; სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის შესაბამისი დამხმარე საშსახურების შექმნა (კონკურენციისა და ბაზრის ფუნქციონირებისათვის დასახელებული ღონისძიებები პრიორიტეტული იქნება); ანტიმონოპოლიური რეგულირება; კერძო წარმოებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა; პროგრესული ცვლილებების განხორციელება. სექტორის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში; პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაში; უცხოური ინვესტიციებისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა; კერძო საქონელმწარმოებელთა თავისუფლების უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელ მრეწველობაში მოქნილი ფინანსური სისტემის შექმნა;

4. მართვის მექანიზმის სრულყოფა. აქ გადამწყვეტი როლი ენიჭება მართვის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნას და ზოგიერთი მართვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის რესტრუქტურზაციას.

მიზანშეწონილია შეიქმნას მართვის ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც ბარიერს მოუხსნიან ბაზარზე აგრობიზნესის საჭიროებებს. მარივის საბაზრო მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური წესრიგის დამყარება ბუნებრივად. ეკონომიკის მართვისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სამი ფაქტორის გათვალისწინებას: ა) სახელმწიფო მართვას; ბ) საკუთრივ ეკონომიკას; გ) ბაზრის მექანიზმს. მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკის სისტემაში მართვის დანიშნულებაა რესურსების გარდაქმნისათვის დასახული მიზნების და გეგმების შესაბამისად უზრუნველყოს ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება. წარმოების აღდგენისა და განვითარების საქმეში გარკვეული წვლილი უნდა შეასრულოს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების როლის ამძღვებამ;

5. საგარეო ეკონომიკური კავშირების გაძლიერება. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ტრადიციული სექსპორტო საქონლის წარმოების აღდგენა. ამ მიზანმა ასახვა უნდა ჰპოვოს აგრობიზნესის განვითარების მოკლევადიან პროგრამაში, საგარეო ეკონომიკური და საკაღრო პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს სამამულო პროდუქციის მწარმოებელთა ინტერესების დაცვას.

დღეისათვის საქართველო ინარჩუნებს იმპორტის შედარებით ღია რეჟიმს (ერთიანი ტარიფი და საიმპორტო კოტების უქონლობა). ეს ფირმებს საშუალებას აძლევს ჰქონდეთ იმპორტის თავისუფლება თუმცა საკითხები შესწავლას მოითხოვს შიდა ბაზრის პრობლემებთან კავშირში. მხედველობაში გვაქვს შიდა ბაზრის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა. კერძოდ, საბაზრო კონიუქტურის ცვლილების მიხედვით აუცილებელია განხორციელდეს იმპორტულ პროდუქციაზე ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: უსაფრთხოების დაცვა, საბაჟო-საკომპენსაციო გადასახადი და სხვა.

უფიქრობთ, გაცნობიერებასა და დეტალურ შესწავლას მოითხოვს იმპორტ-ექსპორტის თანამედროვე პოლიტიკა.

6. ეკონომიკურ-ორგანიზაციული ურთიერთობების ფორმირებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინვესტიციები. ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება სეზონურობით

ხასიათდება. ეს იწვევს შემოსავლების სეზონურობასაც. ამასთანავე დღეს გაძნელებულია (ოჯახური) ფერმერული მეურნეობების მიერ პროდუქციის რეალიზაცია, ხოლო ამ უკანასკნელიდან მიღებული შემოსავლების წილი მკვეთრად მცირეა. ეს თავისებურებები ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს ამ დარგისათვის კრედიტების გამოყოფის აუცილებლობას. ინვესტიციების გარეშე ვფიქრობთ, საერთოდ შეუძლებელია რეფორმების გატარება. აგროსამრეწველო კომპლექსში რეფორმებისათვის აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს მისი სფეროებისათვის საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების რაოდენობა.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ინვესტიციებს აქტიურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში იყენებენ ეროვნული ეკონომიკის ასაღორძინებლად. ინვესტიციები გარდამავალ პერიოდში გადაჭრის მაღალი სამრეწველო რისკის პრობლემას, სადაზღვევო და სხვა საგარანტიო ფონდების შექმნა უსრუნველყოფს ბიზნესის ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსებით და ა.შ. ინვესტიციებში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს აგროსამრეწველო კომპლექსის მესამე სფეროს განვითარებას და იმ დარგებს, რომლებიც სოფლის მეურნეობას ემსახურება.

ვფიქრობთ, აგროსამრეწველო კომპლექსში საბაზრო ურთიერთობათა სამოყალიბება მიწაზე კერძო საკუთრების საკითხების გადაჭრასთან ერთად სწორედ აქედან უნდა დაწყებულიყო. პრობლემისადმი ასეთი მიდგომა უსრუნველყოფდა გადამამუშავებელი დარგების რეკონსტრუქციას და მნიშვნელოვანწილად შეამცირებდა იმ დანაკარგებს, რომელსაც ადგილი აქვს აგრარულ ეკონომიკაში. გარდა ამისა, ფერმერები უშუალოდ შეძლებდნენ ბაზარზე შეღწევას და, რაც მთავარია, საშინაო ბაზარი დაცული იქნებოდა არასასურველი იმპორტული სურსათისაგან;

7. საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული თვითრეგულირებადი აგრობიზნესის შექმნა ისეთი პრინციპების გათვალისწინებით, როგორცაა: მეწარმეობა, დეკონგლომერაცია, კაპიტალის

ხელმისაწვდომობა. მეწარმეობა სასაქონლო პროდუქციის გამოშვებით არ შემოიფარგლება, აუცილებელია ახალი პროდუქციის გამოშვება და ბაზარზე გასვლა, რაც შრომის მსოფლიო დანაწილების გათალისწინებით გაღრმავებულ სპეციალიზაციას მოითხოვს. საბჭოური სისტემის პირობებში საქართველოში აღმოცენებული სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია დაიშალა. ახალი სპეციალიზაცია საბაზრო გარემოს მოთხოვნების მიხედვით უნდა დადგინდეს, რაც სოფლის მეურნეობის დარგების ახალი მასშტაბების განსაზღვრას და განვითარებას სჭირიერებს.

ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ურთიერთობათა აუცილებელი პირობაა მომხმარებლის განსაზღვრა. ამიტომ საჭიროა გარდამავალ პერიოდში დეკონგლომერაციის გზით განხორციელდეს ბაზარზე ორიენტირებული ორგანიზაციების თანამშრომლობა, რაც, თავის მხრივ, მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის სტაბილურ დამოკიდებულებას ჩამოაყალიბებს. საქართველოს აგრარულ და სასურსათო ბაზარზე ასეთი თანამშრომლობა ჯერ-ჯერობით არ შეიმჩნევა. რაც შეეხება მესამე პრინციპს - კაპიტალის ხელმისაწვდომობას, მისი რეალიზაცია შესაძლებელი იქნება საბანკო-საკრედიტო და საგადასახადო სისტემის სრულყოფით;

8. საბანკო-საკრედიტო მექანიზმის სრულყოფა აგროსამრეწველო სფეროში ახალი ორგანიზაციულ-ეკონომიკური წყობისა და ურთიერთობების დამკვიდრების საიმედო საშუალებაა მოქნილი საბანკო-საკრედიტო სამსახური. აგრობიზნესში ფორმირებული მესაკუთრეთა ფენა ის მათგანზეებული ძალაა, რომელიც სამეურნეო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს შეუსაბამებს საბაზრო მოთხოვნებს. ამისათვის კი დიდ მნიშვნელობა აქვს ფერმერთა და სამრეწველო მეწარმეთა ფულადი სახსრებით უზრუნველყოფას. დღეს მათი საქმიანობა ფულადი სახსრების დეფიციტის პირობებში მიმდინარეობს.

აგრარულ-სასურსათო სფეროში საბანკო-საკრედიტო მომსახურების ისეთი სისტემა უნდა შეიქმნას, რომელიც განამტკიცებს მის სასაქონლო პოლიტიკას, გაზრდის საქონლის

კონკურენტუნარიანობას და უზრუნველყოფს მოგების მიღებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას;

9. საგადასახადო სისტემის სრულყოფა. საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების ამოსავალი პრინციპი აგრარულ-სასურსათო სფეროში უნდა იყოს ფულადი სახსრების სწორად მობილიზაცია ამ სფეროსა და, საერთოდ, ქვეყნის აღორძინებისათვის და არა დაუსაბუთებელი დეფიციტური ბიუჯეტის შექმნა. მოქნილი საგადასახადო სისტემა ეკონომიკის მართვაზე ზემოქმედების საშუალებაა და მაშასადამე, რამდენადაც სრულყოფილია იგი, იმდენად რეალურია სამეურნეო საქმიანობის მანევრირება. საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის აუცილებელია შევისწავლოთ აგროსასურსათო სფეროში შემოსავლების წყაროთა კლასიფიკაცია, განისაზღვროს ამ წყაროთა მასშტაბები, შეიქმნას ობიექტური ინფორმაციული ბანკი; დადგინდეს ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთები და სხვა.

ამრიგად, აგრარულ-სამრეწველო კომპლექსში საბაზრო ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ურთიერთობათა ფორმირების თვალსაზრისით განხორციელდა მხოლოდ ლიბერალური რეფორმები, ისიც თანმიმდევრულობისა და კომპლექსურობის პრინციპების დარღვევით. ცივილიზებულ საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებისათვის აუცილებელია გაგრძელდეს ყოველსმომცველი რეფორმები, რომელსაც საფუძვლად დაედება რეგიონების, სფეროების, დარგების პროგრამათა კოორდინაცია.

დოც. ო. ჩაღუნელი

**ორმხრივობის პრინციპი როგორც უპიკემდეზღური
კონცეფცია ბუღალტრულ აღრიცხვაში**

ორმხრივობის პრინციპი მიეკუთვნება ბუღალტრული აღრიცხვის ფუნდამენტურ კონცეფციას. მისი ფორმულირება ხდება ტოლობით, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს სამ საბაზო ცნებას: ეკონომიკური რესურსები (ეკონომიკური სუბიექტის აქტივები – მისი რეალური ქონება და ვალდებულება მეორე და შესამე პირების მიმართ ან მისი დებიტორული დავალიანება), მესაკუთრის კაპიტალი და ეკონომიკური სუბიექტის ვალდებულება მეორე და შესამე (ფიზიკური და იურიდიული) პირების მიმართ (ე.ი. კრედიტორული დავალიანება).

ზოგადი სახით ორმხრივობის ტოლობა შემდეგნაირად გამოისახება:

$$\begin{matrix} \text{ეკონომიკური} \\ \text{რესურსები} \end{matrix} = \begin{matrix} \text{სრულ კაპიტალს, რომელიც} \\ \text{ინვესტირებულია მისი მფლობელისა} \\ \text{და გარეშე კრედიტორების მიერ} \end{matrix} \quad (1)$$

ან

$$\begin{matrix} \text{მესაკუთრის} \\ \text{ეკონომიკური} \\ \text{რესურსები} \end{matrix} = \begin{matrix} \text{კაპიტალს} + \\ \text{მოზიდული} \\ \text{კაპიტალი} \end{matrix} \quad (2)$$

განვიხილოთ (2) საბალანსო ტოლობა უფრო დაწვრილებით. საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ მას გააჩნდეს სხვადასხვა სახის საჭირო რესურსები (ფულადი საშუალებები, მასალები, მოწყობილობა და ა.შ.)

პირველ რიგში საჭიროა შეეცხთ, თუ რა სახის რესურსების

შექნაზე სურს საწარმოს გასწიოს ხარჯები. ლოგიკურად თუ მივხედებით, სამეურნეო ერთეული ხარჯავს რა ფულად საშუალებებს, თავის თავზე იღებს ვალდებულებას განაღდოს იგი შემდგომში ან გაცვალოს რესურსები რესურსებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შექნილი რესურსები უახლოეს დროში ან შემდგომ პერიოდში მას მისცემს მოგებას.

მეორე რიგში, საწარმოს განცალკევების (ავტონომიურობის) პრინციპის თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვის მართვის საინფორმაციო მოდელი უზრუნველყოფს მხოლოდ იმ ობიექტებს რომელიც ეკუთვნის ან ექვემდებარება სამეურნეო სუბიექტის კონტროლს. კონტროლირებადი რესურსების ბუღალტრული ცნება უფრო ფართოა, ვიდრე საკუთრების იურიდიული პრინციპი. კონტროლირებადი რესურსები (მაგალითად განვადებით შექნილი ავტომანქანა) მისი მთლიანი ღირებულებისა და განვადების პროცენტის დაფარვამდე შეიძლება არ ეკუთვნოდეს ფირმას, რომელსაც იგი ექსპლოატაციას უწევს, რადგან ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში იგი უკან უნდა დაუბრუნდეს გამყიდველს. იმავდროულად ფირმა პასუხისმგებელია ავტომობილის შენახვაზე. ეკონომიკური სუბიექტის ინტერესი მოცემული რესურსის მიმართ დროებითი კი არ არის, არამედ სტრატეგიული საკუთრების უფლების შემდგომში გადასვლა, რაც ფირმას უფლებას აძლევს ანალოგიური რესურსები აღიაროს მის აქტივებად.

მესამე - ფულადი გამოსახვის პრინციპის თანახმად, ბუღალტრულ საინფორმაციო ერთობლიობაში აისახება მხოლოდ სამეურნეო საქმიანობის ის ფაქტები, რომლებსაც მიეცემათ ობიექტური შეფასება ფულად გამოსახულებაში.

ამრიგად, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება მხოლოდ ის რესურსები, რომელიც ეკუთვნის ან მთლიანად ექვემდებარება საწარმოს კონტროლს და შეფასებულია ფულად გამოსახულებაში.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საწარმოს მუშაკები, რომელიც მიეკუთვნება მის სრულფასოვან რესურსებს არ მიეკუთვნება ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტს (არ გააჩნიათ

ღირებულება და არ ითვლება საწარმოს საკუთრებად).

იბადება კითხვა იმის შესახებ, თუ რა წყაროებიდან იქნა მიღებული საწარმოში ეკონომიკური რესურსები. ბუნებრივია, ამ რესურსების ნაწილის ფორმირება მესაკუთრეს ეკუთვნის. საერთო თანხას, რომელიც დააბანდა საშუალებების მფლობელმა (ფულადი, მატერიალური ან ხელშეუხებელი), იწოდება როგორც მესაკუთრის კაპიტალი და იგი ხშირად მოიხსენიება როგორც საკუთარი კაპიტალი.

თუ მესაკუთრე აღმოჩნდება ერთი, რომელმაც დააბანდა ეკონომიკური რესურსები (აქტივები), მაშინ კანონზომიერი იქნება ტოლობა:

$$\text{აქტივები} = \text{საკუთარ კაპიტალს} \quad (3)$$

ხშირად რესურსების ნაწილს საწარმოში აბანდებს პიროვნება რომელიც არ ითვლება მესაკუთრედ, ან მათი შექმნა ხდება მოზიდული საშუალებების ხარჯზე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ რომლებმაც საწარმოსთან დაამყარეს კავშირები (კრედიტორები, მიმწოდებლები და სხვა.).

საწარმოს დავალიანებას აღნიშნულ საშუალებებზე ეწოდება ნასესხები კაპიტალი ან კრედიტორული დავალიანება. გამომდინარე აღნიშნულიდან, ორმხრიუობის ტოლობა შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:

$$\text{აქტივი} = \text{საკუთარ კაპიტალს} + \text{კრედიტორული დავალიანება} \quad (4)$$

ბრიტანულ-ამერიკულ ლიტერატურაში ორმხრიუობის ტოლობა გამოისახება შემდეგნაირად:

$$\text{აქტივი} = \text{კაპიტალს} + \text{ვალდებულებები} \quad (5)$$

ვალდებულება მოზიდული საშუალებების წყაროა,

რომელიც წარმოიშობა უკვე მომხდარი მოქმედების შედეგად (გარიგება) მეწარმე სუბიექტთან, რომელიც არის იურიდიული საფუძველი მიღებული საქონლის, გაწეული მომსახურების ან შესრულებული ღირებულების შემდგომი განაღდებისათვის.

ამის შემდეგ ორმხრივობის ტოლობა მიიღებს შემდეგ სახეს

$$\text{აქტივი} = \text{საკუთარ კაპიტალს} + \text{ვალდებულება} \quad (6)$$

ტოლობის მარჯვენა და მარცხენა მხარე ყოველთვის ერთმანეთის ტოლი იქნება. აღნიშნული ხდება იმიტომ, რომ ერთი და იგივე ნივთი განიხილება სხვადასხვა თვალსაზრისით. ორმხრივობის პრინციპის დამადასტურებელი საუკეთესო ფაქტობუნების ობიექტური კანონი - ნიუთიერებათა მარადისობა, რომლის მიხედვითაც არაფერი არ წარმოიშობა არაფრისაგან: მატერია გადადის ერთი მდგომარეობიდან მეორეში.

ამრიგად, ეკონომიკური რესურსები (საწარმოს ქონება) გახდა რეალური იმ წყაროების ხარჯზე, საიდანაც იგი წარმოიშეა ყოველი თანხა რომელიც დაბანდებულა ეკონომიკურ რესურსებში, მიღებულა იმ წყაროებიდან, რომლებსაც ეწოდება საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები.

ასეთი მიდგომა ფართოდაა ცნობილი როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენს ქვეყანაში. ორმხრივობის მეთოდის მეორე სახის ინტერპრეტაცია (რესურსები და მოთხოვნები) უფრო გავრცელებულა დასავლეთის აღრიცხვაში და იწოდება როგორც სამართლებრივი.

უნდა აღინიშნოს ის მდგომარეობა, რომ საბაღანსო ტოლობის ინტერპრეტაციის ორივე ხერხი კანონზომიერა და ერთმანეთს აესებენ.

1930 წლიდან საბჭოთა კავშირში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის მიხედვით ბაღანსის პასივის ტოლობა გამოისახებოდა ფორმულით:

$$\text{პასივი} = \text{კაპიტალს} + \text{ვალდებულებები} \quad (8)$$

და როგორც შედეგი:

$$\text{აქტივი} = \text{პასივს} \quad (9)$$

დღეისათვის ბრიტანულ-ამერიკულ აღრიცხვაში გაბატონებულია აზრი იმის შესახებ, რომ მე-5 ტოლობის ვალდებულებებში იგულისხმება მხოლოდ საწარმოს ვალებისა და ვალდებულებების ერთობლიობა (კრედიტორული დავალიანება). სწორედ კრედიტორული დავალიანება გულისხმობს, რომ იგი აღრიცხული უნდა იქნეს პასივების სახით. ასეთ შემთხვევაში, მე-5 ტოლობა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\text{აქტივი} = \text{კაპიტალს} + \text{პასივს} \quad (10)$$

დასაველეთის ქვეყნებში დაფუძნებულია სამი სახის თეორიული მიდგომა ორმხრივობის პრინციპის კვლევის მიმართ:

- მესაკუთრის პრიორიტეტის თეორია;
- საწარმოს პრიორიტეტის თეორია;
- გამოყოფილი ფონდების თეორია.

მესაკუთრის პრიორიტეტის თეორია, როგორც წესი ვრცელდება კერძო ბიზნესზე. ამ შემთხვევაში მესაკუთრე სრული პასუხისმგებელია კრედიტორების წინაშე ვალდებულებებზე თავისი პირადი ქონებითაც კი.

აღნიშნული თეორიის თანახმად, აღრიცხვა-ანგარიშებამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ასახოს მესაკუთრის მდგომარეობა მის ბიზნესთან მიმართებაში შემდეგი ტოლობის საფუძველზე:

$$\text{აქტივს} - \text{ვალდებულება} = \text{საკუთარ კაპიტალს} \quad (11)$$

ეს ტოლობა გვიჩვენებს, თუ ეკონომიკური რესურსების რომელი ნაწილი ეკუთვნის მესაკუთრეს და რომელზე აგებს პასუხს

გამსესხებულთან.

საწარმოს პრიორიტეტის თეორია ძირითადად ორიენტირებულია მსხვილი კომპანიების მიმართ (სამეურნეო ამხანაგობები და სამეურნეო საზოგადოებები), რომელთა ქონება განზოგადებულია მათი მფლობელობისაგან.

ამ თეორიის მიხედვით საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის გეგმაში (ავტონომიურობის პრინციპის თანახმად) მითითებულია, რომ მან უნდა განკარგოს (ფლობდეს) მის ხელთარსებულ მთელ ქონებას და ოგი უნდა აისახოს შესაბამის ანგარიშგებაში. საწარმოს პრიორიტეტის თეორიას საფუძველად უდევს ტოლობა (6)

$$\text{აქტივი} = \text{საკუთარ კაპიტალს} + \text{ვალდებულება}$$

გამოყოფილი ფონდების თეორია მიმართულია იმ დაწესებულებებზე რომელსაც აფინანსებს მესაკუთრე (სახელმწიფო და მუნიციპალური). ამ თეორიის თანახმად ორგანიზაციას გამოყოფა ფონდები საჭირო აქტივების შესაძენად. ორგანიზაციის მთავარი მიზანი მოგების მიღება კი არა არის, არამედ ზარალის გარეშე მუშაობა და გამოყოფილი ფონდების ეფექტიანად გამოყენება. ამ თეორიის საფუძველია ტოლობა

$$\text{აქტივი} = \text{ფონდებს} \quad (12)$$

არსებული საკუთრების ფორმების განსხვავებიდან გამომდინარე, შესაბამისად განსხვავდება საკუთარ საშუალებათა ძირითადი წყაროების დასახელებაც. ასე მაგალითად, სამეურნეო ამხანაგობებში ინვესტირებულ საკუთარ წყაროებს სასაწყობო კაპიტალი ეწოდება, სამეურნეო საზოგადოებებისათვის – საწესდებო კაპიტალი; საწარმოო და სამომხმარებლო კოოპერატივებისათვის – საპაიო (საწესდებო) ფონდი; უნიტარული (სახელმწიფო და მუნიციპალური) საწარმოებისათვის საწესდებო ფონდი და სხვა.

საქართველოს გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო
ორგანიზაციაში

ამ საკითხზე ინფორმაციის დიდი დეფიციტის პირობებში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. დღის წესრიგში მთელი სიმწვევით დგას აღნიშნული პრობლემის გამჭვირეალობა, საზოგადოების ფართო ფენებისათვის მის შესახებ მასალების ხელმისაწვდომობა, მსო-ს წევრობის უპირატესობის ეფექტიანი გამოყენება კი მოითხოვს დინამიკურ მუშაობას, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედითუნარიანობას, მეწარმეთა მიერ მსო-ს წესებში ჩადებულ შესაძლებლობათა ღრმა გათვითცნობიერებას. არგუმენტირებულ პასუხს მოითხოვს ლოგიკური კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ არ წევრიანდება მსო-ში ზოგიერთი ძლიერი სახელმწიფო და რა ძირითადი პრინციპები ედება საფუძვლად ამ გაწევრიანების პროცესს. განვილიღმა პერიოდმა უჩვენა მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი.

- ადგილობრივი წარმოების დაცვა მხოლოდ საიმპორტო ტარიფების მეშვეობით, რაც გულისხმობს ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის გატარებას;

- ტარიფებს უნდა ჰქონდეს შემცირების ტენდენცია;
- ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე;
- კოტების გაუქმების პირობებში მსო-ს ტარიფების გამოყენება ბაზარზე საქონლის მოცულობის პროგნოზირებისათვის;
- სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა;
- განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობა.

ამ პრინციპების მოქმედებამ ბელი შეუწყო მსოფლიო გლობალური სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბებას და სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციას. მსო-ს მონაცემებით 1994 წლის ურუგვაის რაუნდის გავლენით სავაჭრო ბრუნვა 109-510 მლრდ აშშ დოლარის

დიაპაზონშია, მსო-ს წვერი ქვეყნების წილი კი საერთაშორისო ბაზარზე დაახლოებით 90 პროცენტია.

რას წარმოადგენს თავად მსო? იგი არის გლობალური სავაჭრო გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში შედის 134 წვერი ქვეყანა. იგი აყალიბებს მრავალმხრივი სავაჭრო სისტემებისათვის სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ საფუძვლებს, განსაზღვრავს იმ ძირითად სახელშეკრულებო ვალდებულებებს, რომლებიც არეგულირებენ შიდასახელმწიფო ვაჭრობის კანონმდებლობასა და წესებს.

მსო-ში გაერთიანებულია 98 განვითარებადი ქვეყანა. ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მისი წვერია საქართველო, ყირგიზეთი, ლატვია, ესტონეთი, ხოლო თურქმენეთის და ტაჯიკეთის გარდა ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას აქვს დამკვირვებლის სტატუსი. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში შექმნილი საგანგებო სიტუაციების (საგადასახადო ბალანსის დეფიციტის მკვეთრი ზრდა, რესურსების კატასტროფული გადინება, ბუნებრივი გარემოს დაზარალება, საფრთხე მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის, გადაჭარბებული იმპორტი და ა.შ.) შემთხვევაში მსო-ს წესები ითვალისწინებს ქვეყნის ხელისუფლების მიერ საკმაოდ მკაცრი აღმინისტრაციული და ეკონომიკური კონტროლების შემოღებას.

მსო-ს ბიუჯეტი 95 მლნ აშშ დოლარია ინდივიდუალური საწვერო შენატანებით, რომელიც გაიანგარიშება საერთო ვაჭრობაში მსო-ს წვერი ქვეყნების წილის მიხედვით.

მსო-ს საქმიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია თანამშრომლობა სსფ-სთან და მსოფლიო ბანკთან, რათა მიღწეულ იქნეს უფრო მეტი შეთანხმებულობა გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში.

მსო-ში გაწვერიანების მოსამზადებელ ეტაპზე, გამომდინარე მისი სავაჭრო პრინციპებიდან, საქართველოში განხორციელდა რიგი რეფორმა: გატარდა საგარეო ვაჭრობის ღრმა ლიბერალიზაცია, გაუქმდა საგარეო სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნა, გაუქმდა ექსპორტზე საბაჟო გადასახადი, დაწესდა მთელი რიგი შეღავათები საწარმოო დანიშნულების იმპორტზე, ვინაიდან

მსო-ში საქართველოს გაწვევრიანება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ქვეყნის საეკონომიკურ პოლიტიკაზე, აუცილებელია შეფასდეს ის შესაძლო შედეგები, რომლებიც მოსალოდნელია ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით. ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობისა და გადაჭარბებული იმპორტისაგან შიდა ბაზრის დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ე.წ. "ბმული ტარიფები". საქართველომ მსო-ს სამდივნოს წარუდგინა ნაერთი სატარიფო განაკვეთების ტარიფი, რომელიც ჯერ კიდევ მოითხოვს დახვეწას მთელი რიგი ქვეყნის შიდა ფაქტორის გათვალისწინებით. იმ შემთხვევისათვის, თუკი შემოღებული იქნება შეთავაზებული ზღვრული სატარიფო განაკვეთები, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტრომ ჩაატარა საშუალო-შეწონილი ტარიფების დონეთა გაანგარიშება. ადგილობრივი წარმოების დაცვისა და ხელშეწყობისათვის აუცილებელია შეთავაზებული ტარიფები ცნობილი გახდეს ყველა კერძო მეწარმის და შესაბამისი უწყებებისათვის. "ბმული ტარიფების" გაზრდა აკრძალულია გამონაკლისი შემთხვევების გარდა, კერძოდ: ქვეყნის საგადასახდლო ბალანსის მნიშვნელოვანი გაორების შედეგად გამოწვეული დისბალანსის დაძლევისათვის და მზარდი იმპორტის შედეგად ეროვნული წარმოებისათვის მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად მსო-ს წვერ ქვეყნებს მოეთხოვებათ "სექტორულ ინიციატივაზე" მიერთება, რაც ნიშნავს იმპორტული ტარიფის განაკვეთების აღნიშნული სექტორული ინიციატივების პირობებთან შესაბამისობაში მოყვანას გაწვევრიანებისთანავე ან გარკვეული გარდამავალი პერიოდის შემდეგ. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს საქართველოს ადგილობრივ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სექტორებს დაბალი საიმპორტო გადასახადებით შემოიტანონ წარმოებისათვის საჭირო ნედლეული და აღჭურვილობა, რაც ხელს შეუწყობს ამ სექტორების განვითარებას. გარდა ამისა, ქართული საექსპორტო პროდუქცია უფრო იოლად შეაღწევს პარტნიორი ქვეყნების ბაზარზე, ვინაიდან მასზე გადასახადები შემცირებული იქნება ამ ქვეყნების მიერ. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფართო

მოხმარების საქონელზე საიმპორტო ტარიფის შემცირება ან მოხსნა იწვევს ბიუჯეტში შემოსავლების შემცირებასაც. აუცილებელია სტრატეგიული მნიშვნელობის იმ საქონლის განსაზღვრა, რომელზეც საქართველომ არ უნდა გააერცელოს სექტორული მოთხოვნები, რაც სათანადოდ უნდა იყოს არგუმენტირებული, ამით გამოწვეული დეფიციტის შესავსებად გათვალისწინებული უნდა იყოს "ბმული ტარიფის" ფარგლებში იმპორტული ტარიფის აწვეის აუცილებლობა. მსო მნიშვნელოვნად ზღუდავს სახელმწიფოს მიერ სუბსიდიების, მ.შ. ექსპორტის სუბსიდიების გამოყენებას, შესასწავლია ის გამოწვევების შემთხვევები, რომლებსაც მსო აწვეებს განვითარებადი ქვეყნების მიმართ ადგილობრივი წარმოების თავდაპირველი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ამავე მიზნით იგი აწვეებს შიდა ბაზრის დამცავ მთელ რიგ მექანიზმებს:

- ანტიდემპინგური გადასახადების გამოყენება იმ შემთხვევაში, როდესაც 1) საქონელი იყიდება წარმოების ხარჯებზე დაბალ ფასში; 2) საქონელი იმპორტიორ ქვეყნებში იყიდება უურო დაბალ ფასში, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში;

- საკომპენსაციო გადასახადების დაწესება იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდა, რომ წარმოების ღონეს მნიშვნელოვნად გადააჭარბა სუბსიდირებული იმპორტის მოცულობამ და მისმა დაბალმა ფასმა გამოიწვია ფასების საერთო დაწევა ქვეყანაში, რაც აზარალებს ადგილობრივ მეწარმეებს. ამ დამცავი ღონისძიებების გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ადგილობრივ მეწარმეთათვის საზიანო რეალური პირობები. იგი შეიძლება განხორციელდეს ტარიფების აწვეის ან კვოტების შემოღების გზით, ტარიფების ამგვარ აწვეას სჭირდება მსო-ს წვერი ქვეყნების თანხმობა, შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში მათ შეუძლიათ სათანადო კომპენსაციის მოთხოვნა. დამცავი ღონისძიებების გატარება ითხოვს შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობის და გარკვეული ინსტიტუტების არსებობას, რომელიც საქართველოში ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, მნიშვნელოვანი სამუშაოების გასატარებელი მთლიანად ვაჭრობის რეგულირების,

წარმოების სუბსიდირების, სახელმწიფო შესყიდვების, ანტიდემპინგური პროცედურების, ექსპორტ-იმპორტის კონტროლის, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა დაცვის, მომსახურებით ვაჭრობის საკითხებში მსო-ს ნორმების ამოქმედებისათვის.

მსო-ს წევრობა ფართო შესაძლებლობებთან ერთად დიდ პასუხისმგებლობას და აქტიურ ქმედებას მოითხოვს ქვეყნის შესაბამისი სტრუქტურებიდან, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მსო-ს საქმიანობის პრინციპების და საკანონმდებლო ბაზის გათავისუბა, ადგილობრივი საკანონმდებლო ნორმების მათთან შესაბამისობაში მოყვანა, ეროვნულ პოზიციაზე მდგომი საგარეო სავაჭრო სტრატეგიის შემუშავება და მისი რეალიზაციისათვის პირობების მომზადება, მსო-ს წევრობის პრიორიტეტების ქვეყნის სასარგებლოდ ამოქმედება და პრაქტიკული შედეგების მიღწევა.

მოც. 5. ლაცაბიკე

მოსახლეობის დასაქმების რეზულტირების ძირითადი მიმართულებები

90-იანი წლების დასაწყისიდან მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ათეული წლების მანძილზე შრომითი რესურსების მართვის პოლიტიკა მოწყვეტილი იყო ადამიანთა ინტერესებისა და წარმოების მოთხოვნებისაგან. იგი ემსახურებოდა კადრების დეფიციტის დაძლევის ამოცანას, დამატებითი წყაროების ძიებას სამუშაო ადგილების დასაკომპლექტებლად. რაოდენობრივ დაუბალანსებლობას მუდმივად მზარდ სამუშაო ადგილების რაოდენობასა და შრომითი რესურსების რიცხოვნობას შორის თანახლდა სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების ხარისხობრივი სტრუქტურის დისპროპორცია: უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა ნაწილი მუშაობდა მუშებად, მაშინ როცა, სამუშაო

ადგილების ნაწილი, რომელიც მოითხოვდა უმაღლეს განათლებას და მაღალ კვალიფიკაციას - დაკომპლექტებული იყო საშუალო განათლების მქონე პირებით. აღნიშნულ რთულ მდგომარეობას დაერთო ეკონომიკური კრიზისი, ნგრევა, ომი, განუკითხაობა, უსასუხისმგებლობა და იმის ნაცვლად, რომ თანდათანობით, შედარებით უმტკივნეულოდ შეცვლილიყო დასაქმების არარაციონალური სტრუქტურა - ქვეყანა მოიცვა მასობრივმა უმუშევრობამ. დღესდღეობით სახეზე გვაქვს ათიათასობით გაუქმებული სამუშაო ადგილი და სანახევროდ გაჩერებული საწარმოები. 1990-1995 წლების განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა შრომითი რესურსების დასაქმების მაჩვენებელი. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 1990 წელს დასაქმებული იყო შრომითი რესურსების (3 176 ათასი კაცი) - 87%. 1995 წელს კი შრომითი რესურსების (3 034 ათასი კაცი) - 57%. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა. 1996 წლის IV კვარტლის მონაცემებით დასაქმებული იყო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 88,4%, მომუშავეთაგან დაქირავებული იყო 45%, თვითდასაქმებული - 54,9%. 1997 წლის II კვარტლის მდგომარეობით კი დასაქმებული იყო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 92,5%, მათგან დაქირავებული იყო 37,5%, ხოლო თვითდასაქმებული - 62,5%. 1997 წლის საშუალო მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდა 88,9; 42,7; 57,3%.

უმუშევრობის დონემ 1996 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით შეადგინა 11,6%, ხოლო 1997 წლის მანძილზე საშუალოდ 11,0%.

ბაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ უმუშევართა დიდი ნაწილი რეგისტრირებული არ არის შესაბამის სამსახურებში. მაგალითად 1996 წელს 249,9 ათასი უმუშევრიდან (საქართველოს შინამეურნეობებზე დაკვირვების მონაცემებით) რეგისტრირებული

*სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმების და უმუშევრობის შეფასების შესახებ მისადაგებელია საერთაშორისო სტანდარტებისადმი, კერძოდ, შს(რ)-ის (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია) კრიტერიუმებთან.

იყო მხოლოდ 17,4 ათასი ანუ 7,0%. ხოლო 1997 წლის მანძილზე საშუალოდ 239,5 ათასი უმუშევრიდან - 23,4 ათასი ანუ 10% [2, 8].

საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია, რომ ისეთ ქვეყანაში, სადაც სამუშაო ძალის ბაზარი ჩამოყალიბების პროცესშია, უმუშევრობის დონე შეფასდეს შერბილებული კრიტერიუმითაც (უმუშევრებად ითვლებიან ის პირებიც, რომლებსაც დაკვირვების პერიოდში არ ჰქონდათ რაიმე შემოსავლის მომტანი სამუშაო, სამუშაოს შონის შემთხვევაში შეეძლოთ მუშაობის დაწყება, თუმცა სამუშაოს აქტიურად აღარ ეძებდნენ - დაკარგული ჰქონდათ მისი შონის იმედი).

შერბილებული კრიტერიუმით უმუშევრობის საშუალო დონე 1996 წლის ბოლოსათვის 16,6% იყო, ხოლო 1997 წლის მანძილზე საშუალოდ 15,5%.

დასაქმებულთა სტრუქტურაში შეინიშნება თვითდასაქმებულთა წილის ზრდა. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ საწარმოთა დიდი ნაწილი სხვადასხვა მიზეზის გამო სრული დატვირთვით არ მუშაობს და ასევე იმით, რომ მიწის პრივატიზაციის შედეგად მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარ მამულშია დასაქმებული. თვითდასაქმებულთა თითქმის 80% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, 14% - ვაჭრობაში, დანარჩენი სხვა დარგში.

დაქირავებული შრომით დასაქმებულთა 77,9% სახელმწიფო სექტორზე მოდის, მათგან 35,4% სახელმწიფო საკუთრების საწარმოებშია დასაქმებული, ხოლო 42,5% - საბიუჯეტო ორგანიზაციებში და დაწესებულებებში [2, 32].

უმუშევრობა ქალებსა და მამაკაცებს შორის მკვეთრად არ განსხვავდება, თუმცა ქალებს შორის იგი რამდენამდე მაღალია. რაც შეეხება უმუშევრობის დონეს ახალგაზრდებს შორის, იგი მოსახლეობის სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტია.

მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობის მოკლედ მიმოხილვის შემდეგ აუცილებლად მიგვაჩნია შეეხებოთ მათ შემოსავლებსაც. 1996 წლის მეორე ნახევრისა და 1997 წლის პირველი

ნახევრის მიხედვით დაქირავებულთა თვის საშუალო ხელფასი სახელმწიფო საკუთრების საწარმოებში იყო 38 ლარი, საბიუჯეტო ორგანიზაციებში - 27 ლარი, არასახელმწიფო საკუთრების საწარმოებში - 56 ლარი, უცხოეთის ან ერთობლივ საწარმოებში - 102 ლარი. თვითდასაქმებულთა საშუალო შემოსავალი თვეში მერყეობდა 68-დან 119 ლარის ფარგლებში (დასაქმების სახეების მიხედვით). მომუშავე პიროვნებისათვის მინიმალური საარსებო დონის ოფიციალური მაჩვენებელი, რომელსაც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი აქვეყნებს ეფუძნება 2500 კალორიის მოცულობის სასურსათო კალათას და მერყეობს 100-110 ლარის ფარგლებში თვეების მიხედვით [1, 88]. გამოდის, რომ დაქირავებული შრომით დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობის ხელფასი და თვითდასაქმებულთა შემოსავლები ვერ უზრუნველყოფს საარსებო მინიმუმსაც კი. აღარაფერს ვამბობთ უმუშევართა და პენსიონერთა უმწვეო მდგომარეობაზე.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების არცთუ დაბალი მაჩვენებელი (88,0 - 89,0%-ის ფარგლებში უკანასკნელი ორი წლის მონაცემებით), რეალურად ვერ ასახავს დასაქმების სფეროში არსებულ რთულ მდგომარეობას. თვითდასაქმებულთა თითქმის ნახევარი თვეში საშუალოდ ნორმალური სამუშაო დროის ნახევარზე ნაკლებს მუშაობდა, მათი სამუშაო დროის ხანგრძლივობა თვეში საშუალოდ 37 საათი იყო. სოფლის მეურნეობაში სამუშაო დროის ნახევარზე ნაკლებით თვითდასაქმებული იყო 56%, ხოლო სხვა დარგებში - 27%. ძალზე დამაფიქრებელია სიღარიბის ზღვართან მიმართებაში მოსახლეობის მდგომარეობა. 1993-1994 წლებში მოსახლეობის 80,0%-ზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იყო, 1997 წლის მეორე-მესამე კვარტლის მონაცემებით აღნიშნული მაჩვენებელი 50-53%-მდე შემცირდა, მაგრამ კვლავ საგანგაშოდ მაღალი რჩება.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ ბაზრის სტიქიური მექანიზმი სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ვერ დაარეგულირებს დასაქმებას. საესებით შესაძლებელია სოციალური

კატაკლიზმების, მოსახლეობის უფლებაშელახული ფენებში უკმაყოფილების წარმოშობა. ასეთ პირობებში დასაქმების სამსახურის მუშაობა არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ ხასიათსაც იძენს.

მოსახლეობის დასაქმების სფეროში გატარებული ღონისძიებები და მიღებული საკანონმდებლო აქტები რომ ქმედითი და ეფექტიანი იყოს, მათ უნდა ჰქონდეთ მიზანმიმართული ხასიათი. უმთავრესია ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების დასაქმების თავისებურებების, ინტერესების, მოთხოვნილებების შესწავლა და მათი მხარდამჭერი ღონისძიებების გასატარებლად კონკრეტული გზების დასახვა.

დასაქმების აქტიური პოლიტიკა სამუშაო ძალის ბაზარზე წახალისებს თითოეულ უმუშევარს სამუშაო ადგილის მოსაძებნად. უმუშევართა დროული დასაქმება ამცირებს მათ დამოკიდებულებას სოციალურ დახმარებებზე და შესაბამისად სახელმწიფო თუ მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯებს, ასევე ხსნის უმუშევართა მიიმეფსიკიკური მდგომარეობით გამოწვეულ დაძაბულობას საზოგადოებაში.

მეორე მხრივ სტაბილური დასაქმება ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, ხელს უწყობს ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას, ამაღლებს სამუშაო ძალის გამოყენების ეფექტიანობას.

მოსახლეობის დასაქმების რეგულირების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მიგვაჩნია უმუშევართა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში დასაქმების პერსპექტივა მჭიდროდ უკავშირდება ადამიანური კაპიტალის – პროფესიისა და კვალიფიკაციის სრულყოფას. კარგი განათლება და მაღალი კვალიფიკაცია საიმედოდ იცავს პიროვნებას უმუშევრობისაგან. უმუშევართა მომზადებისა და გადამზადების პროგრამა შემუშავებული და მიღებული უნდა იყოს საკანონმდებლო ორგანოების დონეზე და განხორციელდეს სახელმწიფოს, პროფკავშირების და მეწარმეების ერთობლივი ძალისხმევით. ასეთი

პროგრამები ორიენტირებული უნდა იყოს იმ პირებზე, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს პროფესიის მოძველების გამო; ახალგაზრდებზე, რომლებსაც არა აქვთ პროფესიული განათლება; ქალებზე, ვინც გადაწყვიტა კელავ აქტიურ შრომით საქმიანობაში ჩაბმა და სხვა დაბალკონკურენტუნარიან ჯგუფებზე. კანდიდატები სწავლების კურსის გასატარებლად უნდა შეარჩიოს დასაქმების სამსახურმა.

პროფესიული მომზადება შეიძლება განხორციელდეს როგორც სპეციალურ ცენტრებში, ასევე საწარმოებში. სასწავლო კურსის პროგრამები უნდა შეადგინონ სასწავლო დაწესებულებების სპეციალისტებმა საწარმოს (ფირმის) წარმომადგენლების თანამონაწილეობით. ასეთი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს დაუსაქმებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და იმავდროულად გააიოლებს მათ შრომით მოწყობას.

საქართველოს სინამდვილეში რეალური მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი იქნება პროფესიული მომზადება უშუალოდ სამუშაო ადგილებზე. დამკირავებლებთან შეთანხმება სწავლების კურსის გატარების შესახებ საწარმოში (ფირმაში) – იმ პირების შემდგომი დაქირავეების გარანტიით, ვინც წარმატებით გაივლის კურსს. სახელმწიფომ, სახელდობრ დასაქმების ერთიანმა ფონდმა ნაწილობრივ მაინც უნდა დაფაროს ხარჯები ან გარკვეული შეღავათები უნდა დააწესოს ასეთი საწარმოებისათვის. ამ მეთოდის უპირატესობა ეფიქრობთ. შრომითი მოწყობის თითქმის გარანტირებული შესაძლებლობა იქნება.

დასაქმების აქტიური პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება უნდა გახდეს უმუშევართა ცალკეულ ჯგუფებზე ზემოქმედება. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვყავს ქალები, ახალგაზრდები, ინვალიდები, პენსიონერები, ხანგრძლივად უმუშევრები (ერთი წელი და მეტი).

დასაქმების პოლიტიკის განხორციელებისას პრიორიტეტულად უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდობის შრომითი მოწყობა, რამდენადაც ისინი 2-3-ჯერ უფრო ხშირად ხედებიან უმუშევართა რიგებში. ახალგაზრდები უნდა სარგებლობდნენ პროფესიული მომზადებისა

და გადამზადების სახელმწიფო კურსებზე მიღების უპირატესობით.

ფაქტობრივად სახელმწიფოს დახმარებაზე არიან დამოკიდებულნი ხანგრძლივად უპეშევრები. მოსახლეობის ამ ჯგუფს ექნება რიგი სირთულეები. მათ თითქმის დაკარგული აქვთ მუშაობის ჩვევები, ზოგჯერ გაუცხოებულნი არიან შრომითი საქმიანობისადმი, ხშირად არ აქვთ სამუშაოს მოძებნის იმედი და რაც მთავარი სიძნელეა, არ შედიან დამქირაველების ინტერესის სფეროში. როგორც წესი, მათი განათლების და კვალიფიკაციის დონე დაბალია.

სამუშაო ძალის ბაზარზე განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ ინვალიდები. მათთვის მიზანშეწონილია გაიხსნას სპეციალური სახელოსნოები, როგორც მაგალითად შეეციაში, ან მოხდეს სამუშაო ადგილების დაჯავშნა (ასეთი პრაქტიკა მიღებულია საფრანგეთში).

უმუშევრობის შემცირებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თვითდასაქმებისა და სამეწარმეო ინიციატივისადმი მხარდაჭერა. აღნიშნულ საქმიანობაში აქტიურად უნდა ჩაებას დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი, რამდენადაც ის ფუნქციონირებს როგორც დამოუკიდებელი საფინანსო სისტემა და მის ფუნქციებში შედის დასაქმების პროგრამების განხორციელებაში ფინანსური დახმარების გაწევა. დასაყვანის ქვეყნების გამოცდილება ამტკიცებს, რომ სწორედ ამ გზით შეიძლება შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი რაოდენობა. დასაქმების სფეროში გასატარებელი ყოველი ღონისძიება მოითხოვს დიდ ფინანსურ სახსრებს. დღევანდელ ვითარებაში, როცა აღნიშნულ რესურსით ძალზე შეზღუდული ვართ, აქტიური პოლიტიკა სამუშაო ძალის ბაზარზე უნდა იყოს მიზანმიმართული და შერჩევითი. გადაუდებელი ღონისძიებები უნდა გატარდეს ყველაზე მეტად კრიზისული რეგიონებისათვის და მოსახლეობის იმ ჯგუფებისადმი, რომლებსაც სხვებთან შედარებით უჭირთ სამუშაო ადგილების მოძებნა.

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელება დასაქმების დეპარტამენტის მეშვეობით უნდა მოხდეს, რადგან იგი დასაქმების სახელმწიფო სისტემის ძირითადი

რგოლია. დასაქმების დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები უნდა გახდეს:

- დასაქმების სახელმწიფო და რეგიონული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა;

- არაფორმალური დასაქმების გამოაშქარავება და ამით სამუშაო ძალის ბაზარზე წესრიგის დამყარება;

- საკონსულტაციო მომსახურების გაწევა დამქირავეებზე და მუშაობის მსურველებზე – სამუშაო ძალის ბაზარზე არსებული მდგომარეობის, პროფესიული განათლებისა და უმუშევართა გადამზადების შესაძლებლობის შესახებ;

- ახალგაზრდობის დასაქმების პროგრამებში აქტიური მონაწილეობის მიღება, სადაც სხვა ღონისძიებებთან ერთად გათვალისწინებული იქნება: ა) მოსახლეობის ამ ჯგუფისათვის მორგებული (შესაფერისი) დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა; ბ) მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ხელშეწყობა და მასში ახალგაზრდების აქტიური ჩართვა.

- დასაქმების დეპარტამენტის მოთხოვნით და შესაბამისი დასაბუთებით უნდა შეიცვალოს მოქალაქეზე უმუშევრის სტატუსის მინიჭების, შემწეობის გაცემის ვადების და პირობების საკითხი. შემწეობის სახით გაცემული თანხა არ უნდა ატარებდეს სიმბოლურ ხასიათს. ეს მოქალაქეს უკარგავს დასაქმების დეპარტამენტში რეგისტრაციის სურვილს (რაც თავის მხრივ უმუშევართა რაოდენობის შესახებ არასრულყოფილი ინფორმაციის არსებობის მიზეზია), მით უმეტეს, რომ აღნიშნული სამსახური უმუშევარს ჯერ-ჯერობით ნაკლებად ეხმარება სამუშაოს მოძებნაში.

დასაქმების დეპარტამენტმა კოორდინაცია უნდა გაუწიოს ფასიანი მომსახურების ბირჟებისა და სააგენტოების საქმიანობას, რომლებიც მომსახურებას უწევენ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის მსურველებს. აღნიშნული საშუალებას მოგვეცემს გარე შრომითი მიგრაციის შესახებ გეკონდეს რეალური მონაცემები.

ლიტერატურა

1. საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. კვარტალური მიმოხილვა. პირველი კვარტალი, 1997; ტასისის ევროპული საექსპერტო სამსახური.
2. საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა, დასაქმება, შემოსაღები, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 1998.
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1996 წლის იანვარში; საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 1996.

ემკ ბ. ხმალაკე

პროდუქციის წილობრივი ბანაწილების შესახებ შეთანხმებათა რეალიზაციის მდგომარეობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეზობრობაში

ნათობისა და გზის მრეწველობაში პროდუქციის წილობრივი განაწილების პრინციპით ინვესტიციების პირდაპირი მოზიდვა ნათობის საერთაშორისო ინდუსტრიაში მიღებული პრაქტიკაა.

ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში - აზერბაიჯანში, თურქმენეთში, ყაზახეთში, რუსეთსა და საქართველოში მეტ-ნაკლები წარმატებით მომდინარეობს პროდუქციის განაწილების შესახებ შეთანხმებების რეალიზაცია.

ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველო პროდუქციის წილობრივი განაწილების პრინციპით მოზიდული ინვესტიციების ოდენობით ბოლო ადგილზეა. ინვესტიციების მოზიდვას მნიშვნელოვნად აფერხებს საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების არასრულყოფილება ან საერთოდ უქონლობა. მაგალითად, ჯერ კიდევ მიუღებელია

ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტები, როგორცაა: კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ“ და კანონი „პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ“.

ყველა ზემოაღნიშნულ ქვეყანაში პროდუქციის წილობრივი განაწილების შეთანხმებები უპირატესად ნავთობისა და გაზის მრეწველობაში გამოიყენება, რადგან იგი მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის და იმავდროულად მაღალი შემოსავლების მიმღებია ქვეყნისათვის.

საქართველოში ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისათვის პერსპექტიულ რაიონებს მიეკუთვნება 26^ა ათასი კვ კმ ხმელეთზე და 9 ათასი კვ კმ შავი ზღვის აკვატორიის ფარგლებში: აქედან 17 697 კვ კმ ანუ საერთო ფართობის 50%-ი გაცემულია ლიცენზიებით უცხოელ კონტრაქტორებს, რომლებიც ნავთობის ძებნა-ძიებასა და მოპოვებას პროდუქციის წილობრივი პრინციპით ახორციელებენ. ნავთობის ჯამური რესურსი საქართველოში 583 მილიონი ტონით განისაზღვრება, რომლის უდიდესი ნაწილის მოპოვებაც სწორედ პროდუქციის წილობრივი განაწილების კონტრაქტებით არის გათვალისწინებული. დღემდე ასეთი კონტრაქტები გაფორმებულია ოთხ კომპანიასთან:

1. შვეიცარულ კომპანია „ნეშენლ პეტროლიუმ ლიმიტედთან“;
2. დიდი ბრიტანეთის ნავთობის კომპანია „ჯეი-ქეი-ექსთან“;
3. ამერიკის შეერთებული შტატების კომპანია „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენტან“;
4. შოტლანდურ კომპანია „რამკო ენერჯი (კახეთი)“-სთან.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებასა და მოპოვებაზე ოთხივე კონტრაქტორის მიერ ინვესტირებულია 67 067 მილიონი აშშ დოლარი, რაც დარგობრივ ტრილში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია საქართველოს ეკონომიკაში.

პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებები წარმატებით ხორციელდება აზერბაიჯანში. აქ პირველ კონტრაქტს აზერის, ჩირალისა და გიუნშელის (კასპიის ზღვის ღრმა ნაწილში) საბადოების ათვისებაზე 1994 წლის ბოლოს მოაწერეს ხელი. ამის

შემდეგ. აზერბაიჯანმა გააფორმა პროდუქციის წილობრივი განაწილების 14 ხელშეკრულება, მათ შორის ზღვის 12 და ხმელეთის 2 საბადოს ათვისებაზე. ინვესტიციების საერთო მოცულობა ყველა პროექტის მიხედვით 40 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

პროგნოზის მიხედვით ნავთობის მთლიანი რესურსი აზერბაიჯანში 6 მლრდ ტონის ფარგლებშია შეფასებული. მათ შორის პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ უკვე დადებული ხელშეკრულებების მიხედვით გათვალისწინებულია 2,7 მლრდ ტონის ანუ საერთო მარაგის 45%-ს მოპოვება. უახლოეს პერიოდში დაგეგმილია კიდევ ორი ხელშეკრულების გაფორმება (ატაშქიახი) გუგან-დენიზის ზღვის საბადოსა და ყიურსანგა-ყარაბაღლის ხმელეთის საბადოს ათვისებაზე რაც საერთო ჯამში მთელი მარაგის 50%-ს პროდუქციის წილობრივი განაწილების პრინციპით ათვისებას გამოიწვევს.

დღემდე ყაზახეთის მიერ გაფორმებულია პროდუქციის წილობრივი განაწილების ორი ხელშეკრულება. ინვესტიციების მოცულობამ ამ ორი პროექტის მიხედვით შეიძლება გადააჭარბოს აზერბაიჯანის მაჩვენებლებს. მათ შორის მხოლოდ ერთი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ჩრდილოეთ კასპიის ბლოკის ათვისებას და ხორციელდება დასავლეთის ნავთობკომპანიების კონსორციუმის მიერ, მიზნად ისახავს საერთო საპროგნოზო მარაგიდან 2,5 მლრდ ტონა ნავთობის გამომუშავებას. კასპიის შელფის სექტორში ყაზახეთის საერთო საპროგნოზო სანავთობო მარაგი 10 მლრდ ტონით განისაზღვრება.

მეორე - ყარაჩაღანსკის პროექტი ითვალისწინებს 6 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიციებს და 1,6 ტრლნ კუბ. მ ბუნებრივი გაზისა და 400 მლნ ტონა ნავთობის ათვისებას. ყაზახეთის ნავთობის ჯამური მარაგი (დაზვერილი და საპროგნოზო) 22,3 მლრდ ტონას შეადგენს. აქედან პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია მარაგების 50%-ს ათვისება.

თურქმენეთის მიერ მომზადებულია პროდუქციის წილობრივი განაწილების სამი ხელშეკრულება. ზღვის ერთი საბადოს (ბლოკი

ჩელექენი-1) და ხმელეთის ორი საბადოს (ბურუნი, კარატეკეს და ყიზილ-კუის საბადოები და ბლოკი გარაშისიზლი-2) ასათვისებლად. ინვესტიციების საერთო მოცულობა აღნიშნული პროექტების მიხედვით 2 მლრდ აშშ დოლარამდეა, ხოლო ნავთობის ჯამური რესურსი 890 მლნ ტონას შეადგენს.

რუსეთში პროდუქციის წილობრივი განაწილების პრინციპით მუშადება სამი ბლოკი: სახალინი-1, სახალინი-2 და ხარიაგინსკის საბადო. სამივე პროექტის მიხედვით ინვესტირებულია 400 მლნ აშშ დოლარი და გათვალისწინებულია რუსეთის დაზეერილი სანავთობო მარაგის 1,4 %-ს ათვისება.

საქართველოს მოკრძალებული მაჩვენებლები სხვა ქვეყნებთან შედარებით აიხსნება შემდეგი მიზეზებით:

1. სრული საკანონმდებლო ვაკუუმი აფერხებს ნავთობისა და გაზის მრეწველობისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას;
 2. სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოს ნავთობისა და გაზის ჯამური რესურსების სიმცირე ნაკლებმიზიდველს ხდის მას მსხვილი ინვესტიციებისათვის;
 3. უკანასკნელ წლებში ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ფასების არასტაბილურობა აგრეთვე უარყოფითად მოქმედებს ინვესტიციების მოცულობაზე;
 4. სხვა ქვეყნებთან შედარებით ნავთობისა და გაზის პერსპექტიულობის თვალსაზრისით საქართველოს ტერიტორიის შესწავლის დაბალი დონე აგრეთვე შემაფერხებელი პირობაა უცხოური ინვესტიციებისათვის;
 5. მოქმედი საბადოების მარაგების თითქმის მთლიანი ამოწურვა არაპერსპექტიულს ხდის მათ უცხოელი ინვესტიციებისათვის და სხვა.
- ზემოთმოყვანილი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების აღმოსაფხვრელად ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებულმა ქმედებმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს დარგის გამოცოცხლება და განვითარება უცხოური ინვესტიციების ხარჯზე.

ემკ 8. უნიძრიშვილი

მსოფლიო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობა ხარისხობრივ ცვლილებებს განიცდის. ეს, უპირველესად, განპირობებულია მსოფლიო ვაჭრობაში ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ადგილისა და როლის ცვლილებებით.

მსოფლიო წამყვან ექსპორტიორებსა და იმპორტიორებს სათავეში უდგას ამერიკის შეერთებული შტატები. მისი ექსპორტის ღირებულება 1998 წელს შეადგენდა 683,0 მილიარდ დოლარს, რომლის ხვედრითი წონა მსოფლიო ექსპორტის 12,7% იყო, ხოლო იმპორტის ღირებულება შეადგენდა 944,6 მილიარდ დოლარს და მსოფლიო იმპორტის 17,0% იყო.

მეორე ადგილზეა გერმანია, მისი ექსპორტის ღირებულება 539,7 მილიარდი დოლარით მსოფლიო ექსპორტის 10,0%-ი იყო, ხოლო მისი იმპორტი 466,6 მილიარდი დოლარით მსოფლიო იმპორტის 8,4%-ს შეადგენდა.

მსოფლიო ვაჭრობა 1997 წლის უჩვეულოდ ძლიერი ზრდის შემდეგ, შემცირდა 1998 წელს. საქონლის მსოფლიო ექსპორტის მოცულობის ზრდა დაეცა 3,5%-მდე, მაშინ როდესაც 1997 წელს 10% იყო. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად განპირობებულია ძირითადად აზიის მიმდინარე ეკონომიკური დაქვეითებით.

მსოფლიოში პროდუქციის წარმოების ზრდა 1998 წელს დაეცა 2%-მდე, 1997 წლის 3%-თან შედარებით. თუმცა ვაჭრობის მოცულობის ზრდამ გადააჭარბა წარმოების ზრდას 1997 წელს, მხოლოდ მცირე განსხვავებით გაუტოლდა 1990-იანი წლების საშუალო მაჩვენებელს.

ვაჭრობის შემცირება აზიაში ყველაზე დიდი ფაქტორი იყო მსოფლიო ვაჭრობაში; ამავე დროს აღინიშნა სარეკორდო შენელება მსოფლიო ექსპორტის გაფართოებაში მთელი 1998 წლის განმავლობაში, რამაც გაულენა მოახდინა ყველა ძირითადი რეგიონის

ეკონომიკის მდგომარეობაზე

მოცულობის თვალსაზრისით ეაქრობის მოცულობა მკვეთრად განსხვავდებოდა რეგიონებს შორის, კერძოდ, იმპორტი აზიაში დაეცა 8,5%-ით; აფრიკაში და ახლო აღმოსავლეთში იგივე დონეზე დარჩა ან ოდნავ დაიწია; დასავლეთ ევროპაში გაფართოვდა 7,5%-ით და დაახლოებით 10%-ით ჩრდილოეთ ამერიკაში, ლათინურ ამერიკაში და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. ექსპორტის მოცულობის ძლიერი ზრდა აღინიშნა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და ლათინურ ამერიკაში – შესაბამისად 10% და 6,5%. უმნიშვნელო ზრდა იყო აზიაში –1%. დასავლეთ ევროპაში საექსპორტო ზრდა მაღალი იყო მსოფლიო საშუალო მაჩვენებელზე 4,5%-ით. ჩრდილოეთ ამერიკაში დაბალი იყო მსოფლიო საშუალო მაჩვენებელზე 3%-ით.

სასაქონლო ფასები მკვეთრად დაეცა 1998 წელს, რამაც ომის შემდგომ პერიოდში პირველადი მოხმარების პროდუქციის წილი მსოფლიო ექსპორტში 20%-ზე დაბლა დასწია მიმდინარე ფასებზე გადაანგარიშებით, 1998 წელს ფასები ნავთობზე დაეცა 305-ით ანუ 40%-ით საბაზისო წელთან შედარებით. ეს სურათი შერბილდა ნავთობზე ფასების ზრდით 1999 წლის პირველ კვარტალში. ნავთობის გარდა პირველადი მოხმარების სასაქონლო ფასები დაეცა 15%-ით 1998 წლის საშუალო წლიურ მაჩვენებელთან შედარებით და 10%-ით საბაზისო წელთან შედარებით. საერთაშორისო სავაჭრო ფასები სამრეწველო საქონელზე და მომსახურებაზე ასევე შემცირდა 1998 წელს, მაგრამ გაცილებით მცირედ, ვიდრე პირველადი მოხმარების პროდუქციაზე. სასაქონლო ფასების დაცემამ განსაკუთრებით დააზარალა აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის საექსპორტო შემოსავლები. გარდა (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია) 11 ქვეყნისა დაახლოებით 8 სხვა ქვეყნის საექსპორტო შემოსავლის 50% დამოკიდებულია საწვავის ექსპორტზე. 20 ქვეყანაზე მეტი, ძირითადად განვითარებადი ქვეყნები დამოკიდებული არიან სასოფლო-სამეურნეო ექსპორტზე. მათი საექსპორტო შემოსავლების 35%-ზე მეტი მოდის სასოფლო-სამეურნეო ექსპორტზე, მაგრამ ეს ქვეყნები ისე ძლიერ არ დაზარალებულა საქონელზე ფასების

დაცემით, როგორც ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები.

1998 წელს მსოფლიო ერთობლივი შიდა პროდუქტი და სავაჭრო ზრდა შენეულა იმის გამო, რომ აზიური კრიზისი გაღრმავდა და მისი გავლენა იგრძნობოდა უფრო და უფრო აზიის გარეთაც. მსოფლიო საექსპორტო საქონლის მოცულობა 1998 წელს გაიზარდა 3,5%-ით, მას შემდეგ, რაც 1997 წელს აღინიშნა არაჩვეულებრივად მაღალი ზრდის დონე 10,5%-ით. ეს საექსპორტო მოცულობის ზრდის დონე უტოლდება საშუალო ზრდის დონის 6%-ს 1990-1995 წლებში.

მსოფლიო სასაქონლო ვაჭრობის ზრდის შემცირებამ, რომელიც გრძელდებოდა მთელი წლის განმავლობაში 1998 წლის მეოთხე კვარტალში მსოფლიო ვაჭრობის დონე დატოვა 1997 წლის მიღწეულ დონეზე ოდნავ მაღლა. ყველა ძირითად რეგიონში ადგილი ჰქონდა სავაჭრო ზრდის განსაკუთრებულ შემცირებას, სასაქონლო ფასების ციკლურ დაცემას, რომელიც დაიწყო 1997 წლის დასაწყისში და გრძელდებოდა მთელი 1998 წლის განმავლობაში. ფასები ნავთობზე დაეცა 305-ით და ნავთობის გარდა საქონელზე – 20%-ით, რამაც სხვადასხვა გავლენა მოახდინა სხვადასხვა ქვეყანაზე და რეგიონზე.

აზიის კრიზისის სიძლიერე და სასაქონლო ფასების დაცემა შერბილდა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური ზრდის შეუქცევადი პროცესით და დასავლეთ ევროპაში მოთხოვნის გაძლიერებით.

დასავლეთ ევროპა მთელ მსოფლიოში ერთადერთი სავაჭრო რეგიონი იყო სადაც არ აღინიშნა იმპორტში შემცირება 1998 წელს 1997 წელთან შედარებით. დასავლეთ ევროპის იმპორტის ზრდის დონე შეადგენდა 7,5%-ს ეს იყო 10%-ით ნაკლები ჩრდილოეთ ამერიკასთან, ლათინურ ამერიკასთან და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებთან შედარებით. ამის საპირისპიროდ აზიაში იმპორტი დაეცა.

გარდამავალი ეკონომიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებმა აჩვენეს ყველაზე ძლიერი ზრდა საექსპორტო მოცულობაში. აზიის საექსპორტო მოცულობა გაიზარდა უმნიშვნელოდ, რადგანაც აზიის შიდა ვაჭრობის ძლიერი შემცირება დაბალანსდა მხოლოდ რეგიონს გარეთა მიმოქცევის მკვეთრი ზრდით. დასავლეთ ევროპაში

საექსპორტო ზრდა რამდენადმე მაღალი იყო, მსოფლიო საშუალო მაჩვენებელზე, რომელიც შეადგენს 3,5%-ს, ამავე დროს ჩრდილოეთ ამერიკაში ეს მაჩვენებელი საშუალოზე დაბალი იყო.

აშშ ბაზართან სიახლოვე და სამრეწველო საქონლის უფრო მაღალი წილი საქონლის ექსპორტში ის ფაქტორებია, რომლებიც ხსნიან, თუ რატომ მიაღწია მექსიკის ვაჭრობამ უფრო დიდ წარმატებებს უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში, ვიდრე ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებმა.

მთლიანად ლათინური ამერიკისათვის საქონლის იმპორტის მოცულობის ზრდა დიდად აჯარბებს საქონლის ექსპორტს და სავაჭრო გაფართოება უფრო ძლიერია, ვიდრე მსოფლიო საშუალო რიცხვი.

მოთხოვნის ძლიერ ზრდას დასაველეთ ევროპაში თან სდევდა უფრო სუსტი მსოფლიო ეკონომიკა 1998 წელს, რამაც გამოიწვია იმპორტის გაფართოება, რომელმაც პირველად 1992 წლის შემდეგ გადააჯარბა რეგიონის საექსპორტო ზრდის დონეს. დასაველეთ ევროპა იყო ერთადერთი მთავარი რეგიონი, სადაც აღინიშნა ექსპორტის ღირებულების ზრდა დოლარებში. იმპორტის ღირებულება გაიზარდა 5%-ით, რომელიც ძალიან ახლოსაა ჩრდილოეთ ამერიკისა და ლათინური ამერიკის გაფართოებასთან. დასაველეთ ევროპის წილი მსოფლიო სასაქონლო ვაჭრობაში აღდგა 44%-მდე 1990-1997 წლებში განსაკუთრებით ძლიერი კლების შემდეგ. 1998 წელს კომერციული მომსახურების იმპორტი გაფართოვდა 4%-ით და კომერციული მომსახურების ექსპორტი 3%-ით.

აფრიკამ და ახლო აღმოსავლეთმა მიიღო მთავარი დარტყმა პირველადი მოხმარების საქონელზე ფასების დაცემით 1998 წელს.

1998 წელს ექსპორტის ღირებულება რეგიონში დაეცა 16%-ით. ნავთობის ექსპორტიორი აფრიკის ქვეყნების ექსპორტი შემცირდა 1/4%-ით, ხოლო იმპორტის ღირებულება ოდნავ დაეცა 1998 წელს.

რეგიონში საწვავის ექსპორტში მაღალი ხვედრითი წონის მიხედვით ახლო აღმოსავლეთში აღინიშნა საექსპორტო ღირებულების ყველაზე ძლიერი შემცირება ყველა რეგიონს შორის.

რეგიონის ექსპორტი მთლიანად შეიკუმშა 1/5-ით. ამასთან ერთად საექსპორტო ღირებულების შემცირებას დოლარებში ახლდა საექსპორტო მოცულობის ზრდა. რეგიონიდან ნავთობის მიწოდების გაზრდამ სუსტი მოთხოვნის პერიოდში გარკვეულწილად ნავთობზე ფასები მკვეთრად შეამცირა. რეგიონის სასაქონლო იმპორტი მიესადაგა გარკვეულ დონეზე საექსპორტო შემოსავლების შემცირებას, რომელიც 1998 წელს 6%-ით შემცირდა.

აზიაში აღინიშნა იმპორტის მოცულობისა და ღირებულების ყველაზე ძლიერი შემცირება რეგიონებს შორის. იაპონიის იმპორტის 5,5%-ით შემცირებისა და აზიის 5 ქვეყნის (შემდეგში აზია 5) ინდონეზიის, მალაიზიის, ფილიპინების, კორეის და ტაილანდის იმპორტის 20%-ზე მეტი შემცირების შედეგად აზიის იმპორტის მოცულობა შემცირდა დაახლოებით 8,5%-მდე.

აზიის იმპორტის ღირებულებამ დოლარებში განიცადა უპრეცედენტო შემცირება 17,5%-ით. 1998 წელს აზია (5)-ში იმპორტი შემცირდა 1/3-ით, ხოლო იაპონიაში 17%-ით. მხოლოდ სამხრეთ აზიის ქვეყნებში აღინიშნა მცირე ზრდა იმპორტში (მაგალითად, ინდოეთში, შრი-ლანკაში). უმრავლეს აზიურ ქვეყნებში ვაჭრობის მოცულობის ზრდა 1998 წლის მეოთხე კვარტალში ნაწილობრივ განპირობებულია იენის და სხვა აზიური ვალუტების განმტკიცებით აშშ დოლართან მიმართებაში.

ფაქტობრივად 1998 წელს ჩინეთში ექსპორტის აშშ-ში, იაპონიაში და წამყვან ევროპულ ბაზრებში უფრო სწრაფად გაფართოვდა, ვიდრე აზია (5) ქვეყნების ექსპორტში.

კაპიტალის ნაკადების უკუქცევამ 1997-1998 წლებში აიძულა უმრავლესი აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, მკვეთრად შეეკავცა თავიანთი იმპორტი 1998 წელს. იმპორტი შემცირდა 26%-დან 35%-მდე (მაგალითად, კორეაში-35%-მდე, ტაილანდში - 33%-მდე, ინდონეზიაში - 34%-მდე და მალაიზიაში - 26%-მდე). კლების პირობებმა, რომლებიც შეიქმნა იაპონიაში და ნავთობზე ფასების დაცემამ გამოიწვია 17%-იანი კლება იმპორტის ღირებულებაში გამოსახული დოლარებში. საერთოდ კანადამ, მექსიკამ და ბევრმა

ექსპორტი					იმპორტი			
საშუალო 1990-95წ	1996	1997	1998		საშუალო 1990-95წ	1996	1997	1998
60	55	10,5	35	მრეწველი	65	60	9,5	40
70	60	11,0	30	ჩრდლოეთი ამერიკა(ა)	70	55	13,0	10,5
80	11,0	11,0	65	ღმინეთი ამერიკა	120	85	22,0	9,5
55	55	9,5	45	დასავლეთი ევროპა	45	55	7,5	7,5
55	55	9,5	50	ევროკავშირი	45	50	7,0	7,5
50	65	12,5	10,0	გარდამავალი ევროპის ქვეყნები	2,5	16,0	17,0	10,0
75	50	13,0	1,0	აზია	10,5	6,0	6,0	8,5
1,5	1,0	12,0	1,5	ოკეანე	6,5	5,5	1,5	5,5
11,5	7,5	11,5	2,0	აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები (ბ)	12,0	4,5	6,5	16,0

დასავლეთ ევროპულმა ქვეყნებმა გაიუმჯობესა თავიანთი პოზიცია, როგორც წამყვანმა ექსპორტიორებმა და იმპორტიორებმა. ამ ქვეყნებში საერთოდ აღინიშნა საქონლის ექსპორტის ღირებულებაში ყველაზე ძლიერი შემცირება, ხოლო აზიის ქვეყნებმა და რუსეთმა გაიზარდეს ეს პოზიცია ყველა ქვეყანას შორის. საექსპორტო შემოსავლების ღირებულება გამოსახული დოლარებში ერთ კვარტალში შემცირდა 1/3-ზე მეტად 1998 წელს (მაგალითად, საუდის არაბეთში, ლიბიაში, ნიგერიაში და ვენესუელაში). ნათობის ექსპორტიორმა და აღმოსავლეთ აზიის მოვაჭრებმა დაკარგეს. მაშინ როცა მექსიკის და უმრავლესი დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა მიიღეს საბაზრო წილი.

1998 წელს ჩინეთის სასაქონლო ექსპორტმა გადააჭარბა პონგ-კონგისას. ჩინეთმა ეს მოახერხა პირველად. რუსეთის ვაჭრობის შემცირებამ, რაც განპირობებული იყო საწვავზე ფასების დაცემით და ფინანსური კრიზისის აფეთქებით, დასცა რუსეთის ექსპორტი (დსთ-ს ფარგლებს გარეთ) ირლანდიის ექსპორტზე და პოლონეთის

იმპორტზე დაბლა.

მიუხედავად მსოფლიო ვაჭრობის ნომინალური ღირებულების შემცირებისა, რამდენიმე ქვეყანამ გააფართოვა ექსპორტი 15%-ზე მეტად. ამ ჯგუფში შედის ირლანდია, ფილიპინები, უნგრეთი და კოსტა-რიკა. 1990-1998 წლების პერიოდში ამ ქვეყნებმა გააფართოვეს მათი ექსპორტი მსოფლიო საშუალო მაჩვენებლებზე ორჯერ უფრო სწრაფად.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1998 წელს განიმტკიცა მსოფლიო ლიდერის ადგილი ვაჭრობაში, რომელსაც ეკავა საქონლის იმპორტისა და მომსახურების ექსპორტის 1/6 და საქონლის ექსპორტისა და მომსახურების იმპორტის 1/8.

1998 წელს უპირველესი პირველადი მომსახურების საქონლის მიწოდების გაზრდას თან ახლდა მკვეთრი დაცემა. ფასები ნავთობპროდუქტების საქონელზე და ნედლეულ ნავთობზე დაეცა შესაბამისად 15% და 30%-ით. მიუხედავად იმისა, რომ მზა საქონელზე ფასები დაეცა, პირველადი მოხმარების საქონელზე ფასების კლება გაცილებით სწრაფად მოხდა (ზედიზედ ორ წელიწადს). იმის გამო, რომ ნავთობის ფასის დაცემა ჩქარდებოდა მთელი წლის განმავლობაში, ცვლილებამ 1998 წლის დეკემბერში შეადგინა 40%. პირველადი საქონლისათვის (საწვავის გარდა) დაბალი ფასების პერიოდი უფრო ადრე დაიწყო და ზომიერი გახდა 1998 წლის მეორე ნახევარში და წლის ბოლოს დაცემა (10%) უფრო ნაკლები იყო, ვიდრე წლიური საშუალო მაჩვენებელი 1998 წლისათვის.

როგორც უკვე აღინიშნა, საწვავის ფასების დაცემამ იმოქმედა ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის საექსპორტო შემოსავლებზე. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წევრი 11 ქვეყნის გარდა, ნავთობის ექსპორტიორ 8 ქვეყანაზე შოდის საექსპორტო შემოსავლების ნახევარი. აღსანიშნავია, რომ 1999 წლის პირველ კვარტალში ნავთობის ადგილობრივმა ფასმა აიწია 1998 წლის დეკემბრის დონიდან, ნავთობის მწარმოებლების მიერ წარმოების შემცირების გამოცხადების შემდეგ. მაგრამ დრო ჭირდება იმის

გარკვევას, ეს აღმავალი ტენდენცია გაგრძელდება, თუ მომატებული ფასების დონე შენარჩუნდება. მაშინ როდესაც ეს ტენდენციები შეამცირებს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების იმპორტს, 1999 წელს ნავთობის იმპორტიორი ქვეყნების შესაბამისი შემოსავლების ზრდა ალბათ, ნაწილობრივ მაინც დააბალანსებს მსოფლიო ვაჭრობის შემცირების ტენდენციას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტიორების ჯგუფი უფრო დიდია, ვიდრე ნავთობის ექსპორტიორებისა. სასოფლო-სამეურნეო ფასების შემცირებამ შესაბამისად გაელენა იქონია ქვეყნების უფრო დიდ რიცხვზე, მაგრამ ნაკლებ დრამატული იყო, ვიდრე ნავთობის ექსპორტიორებისათვის. ეს განპირობებული იყო რიგი მიზეზებით: 1. სასოფლო-სამეურნეო საქონელზე ფასების შემცირება ნაკლებად მკვეთრი იყო, ვიდრე ნავთობზე; 2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტიორები ნაკლებად არიან დამოკიდებული ცალკეულ საქონელზე, ვიდრე საწვავის ექსპორტიორები.

მსოფლიო ვაჭრობის შენელება და პროდუქციის წარმოების ზრდა მთლიანად უცვლელი დარჩა 1998 წელს. იმ დროს, როცა ერთობლივი შიდა პროდუქტი იაპონიაში შემცირდა 1998 წლის მეოთხე კვარტალში და დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში, ამერიკაში ეკონომიკა, პირიქით გაძლიერდა.

აღსანიშნავია ერთობლივი შიდა პროდუქტის ზრდის შენელება ბრაზილიასა და რუსეთში, რაც უარყოფითად მოქმედებს მეზობელი ქვეყნების ეკონომიკაზე, რადგან მათ გააჩნიათ ფართო სავაჭრო კავშირები. პროდუქციის წარმოების და ვაჭრობის მკვეთრი შემცირება აზიის (5) ქვეყნებში მიაღწევს ქვედა ზღვარს და დაიწყებს ზომიერ აღდგენას 1999 წლისათვის.

1999 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით შეიმჩნევა მსოფლიოში პროდუქციის წარმოების და ვაჭრობის ზრდის ტენდენცია.

ექ. მც. კანდ. ბ. მღებრიშვილი

მარკეტინგის პრინციპები და მათი გამოვლენის საეცნიერო

პრაქტიკულ მარკეტინგში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მარკეტინგის პრინციპების რეალიზაცია. მხოლოდ მარკეტინგის პრინციპების თანამიმდევრული და გონივრული განხორციელების პირობებშია შესაძლებელი საწარმოთა ეფექტიანად ფუნქციონირება და ამ საფუძველზე მათი არსებობის გახანგრძლივება ბაზარზე.

მარკეტინგის პრინციპებში უნდა ვიგულისხმოთ ის საერთო ნიშან-თვისებები, რომლებიც ახასიათებენ მარკეტინგულ საქმიანობას ცალკეულ საწარმოში.

მარკეტინგის ძირითადი პრინციპია, მისი არსებობისა და ფუნქციონირების იდეა, საქმიანობის ორიენტაცია კონკრეტული მომხმარებლის მოთხოვნაზე.

მარკეტინგის პრინციპებიდან არსებითია აგრეთვე:

1. საწარმოს მარკეტინგული საქმიანობისადმი სისტემური მიდგომა;
2. ორიენტაცია ახალი საქონლის შექმნასა და გასაღებაზე;
3. სასაქონლო ბაზრების დიფერენცირებული შესწავლა;
4. მოგების მიღება;
5. საწარმოს იმიჯის ფორმირება და მისი შემდგომი განმტკიცება.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში მარკეტინგის პრინციპების შესახებ არ არის ერთიანი მოსაზრება.

მეცნიერ-მკვლევართა ერთი ნაწილი, მაგალითად პროფ. გ.ა. ვასილიევი, ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ მარკეტინგის ძირითად პრინციპებზე, რომელსაც ის აყალიბებს შემდეგნაირად: „წარმოების საბოლოო შედეგების ორიენტაცია მომხმარებელთა სურვილებსა და რეალურ საჭიროებებზე“.

პროფ. ე. ა. უტიჩინი და ეკონ. მეც. კანდიდატი ა.ი. კოჩეტკოვი მარკეტინგის ძირითად პრინციპად მიიჩნევენ ორიენტაციას მომხმარებლის მოთხოვნაზე. ისინი გამოყოფენ აგრეთვე მარკეტინგის

შემდეგ პრინციპებს: აქტიური ზემოქმედება მომხმარებლის მოთხოვნაზე; სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღებაში კლიენტების მოთხოვნილებების, მოთხოვნისა და ბაზრის კონიუნქტურის მდგომარეობისა და დინამიკის გულმოდგინე აღრიცხვა; წარმოების ბაზრის საჭიროებებთან, მოთხოვნის სტრუქტურასთან მაქსიმალურად შეგუებისათვის პირობების შექმნა არაწუთიერად, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაში მოგების მიღების მიზნით; პოტენციური მომხმარებლის ინფორმირება და ზემოქმედება მათზე მისაღები საშუალებების გამოყენებით, უპირველეს ყოვლისა, რეკლამირებით, მათ დასაყოლიებლად შეიძინო სწორედ მოცემული საქონელი.

როგორც უცხოელი, ისე ქართველი მეცნიერების აბსოლუტური უმეტესობა საერთოდ არ მსჯელობს მარკეტინგის შესახებ.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი მარკეტინგის პრინციპები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, გამომდინარეობენ და ავსებენ ერთიმეორეს.

მარკეტინგში მთავარია მიზნობრივი ორიენტაცია და კომპლექსურობა. მიზნობრივი ორიენტაცია კონკრეტული მომხმარებლის მოთხოვნაზე. საწარმოთა ფუფქტიანად მუშაობის აუცილებელი პირობაა მომხმარებელი ხომ მათი საქმიანობის შედეგების შემფასებელი და მყიდველია. ამიტომ, რომ აშშ-ში ბიზნესმენები მყიდველს მაღალ დონეზე უწევენ ანგარიშს სწორედ ამიტომ საქართველოში თანდათანობით იცვლება დამოკიდებულება მყიდველისადმი, უმჯობესდება მომსახურების კულტურა. კომპლექსურობაში იგულისხმება მთელი საქმიანობისადმი სისტემური მიდგომა, ე.ი. მარკეტინგი განიხილება როგორც სისტემა და არა როგორც სხვადასხვა სახის მარკეტინგული ღონისძიებების მექანიკური ნაკრები. მხოლოდ მარკეტინგული ღონისძიებების კომპლექსური გამოყენების პირობებშია შესაძლებელი საწარმოს მიერ დასახული მიზნის (ან მიზნების) მიღწევა.

ბაზარი აიძულებს საწარმოთა ხელმძღვანელებს მუდმივად იზრუნონ სასაქონლო ასორტიმენტის განახლებაზე. ახალი საქონლის გარეშე საწარმო ვერ დააინტერესებს მომხმარებელს,

ვერ მოიპოვებს უპირატესობას კონკურენტულ ბრძოლაში და გამომდინარე აქედან, ვერ დამკვიდრდება ბაზარზე. ასე, რომ ახალი საქონლის შექმნა ობიექტური რეალობა და საწარმოთა არსებობის გახანგრძლივების აუცილებელი პირობაა.

მომხმარებელზე ორიენტაცია და ახალი საქონლის შექმნა უშუალოდ უკავშირდება ბაზრის შესწავლას, რაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს დიფერენცირებულად, ე.ი. უნდა შესწავლილი იქნეს კონკრეტული საქონლის ბაზარი, მყიდველთა კონკრეტული ჯგუფი.

საწარმოების მიერ დასახული მიზნების მიღწევის საშუალება ეფექტიანად მუშაობა და მოგების მიღებაა. ამიტომაც, რომ ყოველი საწარმო ზრუნავს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისა და მოგების გადიდებისათვის.

ყოველ ადამიანს, საწარმოს ბაზარზე დამკვიდრება მხოლოდ მის შესახებ დადებითი აზრის ჩამოყალიბების შემთხვევაში შეუძლია როგორც მაკრო, ისე მიკრო გარემოში. ამიტომაც საჭირო, რომ ბაზრის სუბიექტებმა მუდმივად უნდა იზრუნონ თავიანთ იმიჯზე და მის შემდგომ განმტკიცებაზე.

ბიზნესის ცალკეულ დარგებში მარკეტინგის პრინციპების რეალიზაცია ატარებს განსხვავებულ ხასიათს, რაც ეფუძნება დარგების სპეციფიკურ თავისებურებებს. ბუნებრივია, სავაჭრო საწარმოებში მრეწველობის საწარმოებთან შედარებით კონკრეტული მომხმარებლის მოთხოვნის გათვალისწინება განსხვავებული ამოცანების განხორციელებას ისახავს მიზნად. ვაჭრობის ამოცანაა შუამავლის როლის შესრულება მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისი საქონლის რეალიზაციაში. ვაჭრობის დარგის საწარმოები ნორმალურ პირობებში არ მოინდომებენ (თუ არ მოტყუედნენ) გაყიდონ ისეთი საქონელი, რომელიც არ აინტერესებს მომხმარებელს. ეს მაშინ, როცა ინტეგრირებული მარკეტინგის პირობებში მრეწველობის საწარმოები ერთნაირად არიან დაინტერესებული როგორც ახალი საქონლის შექმნით, ისე ბაზარზე არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით.

საცალო ვაჭრობას ყველაზე მეტად უადვილდება მომხმარებლის მოთხოვნის არსში გარკვევა. საბითუმო ვაჭრობას და მრეწველობას ძირითადად სწორედ საცალო ვაჭრობამ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მოსახლეობის მოთხოვნის მოცულობასა და სტრუქტურაზე. განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მარკეტინგის გარეშე არ ფუნქციონირებს ბიზნესის არც ერთი ფორმა, დიდ მნიშვნელობას მომხმარებლის მოთხოვნის საქმეში ანიჭებენ მასთან უშუალო კონტაქტის დამყარებას, რაც ძირითადად სწორედ საცალო ვაჭრობის საწარმოებში ხორციელდება. ხშირია შემთხვევები, როცა ფირმები თავიანთ წარმომადგენელს აგზავნიან მისი საქონლის გამსაღებელ საცალო სავაჭრო საწარმოებში მომხმარებლის მოთხოვნაზე უშუალოდ დაკვირვების მიზნით.

როგორც უკვე აღინიშნა, მარკეტინგში მთავარი მიზნობრივი ორიენტაცია და კომპლექსულობაა. მიზნობრივი ორიენტაცია მრეწველობაში, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისი საქონლის წარმოებასა და გასაღებაში, საცალო ვაჭრობაში კი წარმოებიდან და საბითუმო ვაჭრობიდან მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისი საქონლის შესყიდვასა და რეალიზაციაში. საცალო ვაჭრობის საწარმოებს ნაკლებად აინტერესებთ საქონლის წარმოების პროცესი. მარფაღია, მრეწველობასა და ვაჭრობაში სისტემური მიდგომის არსი ერთი და იგივეა, მაგრამ განსხვავებულია მარკეტინგში როგორც სინტეზაში, შემავალი მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელების მეთოდები და ხერხები.

განსხვავებულად უდგებიან საქონლის ინოვაციის პროცესს მრეწველობისა და საცალო ვაჭრობის საწარმოებში. მრეწველობის საწარმოები ყოველმხრივ ცდილობენ წაახალისონ ახალი საქონლის შეზაბებ იდეათა ჩამოყალიბების პროცესი, სავაჭრო საწარმოების ძირითადი მიზანი კი კონტაქტის დამყარებაა მრეწველობის ამ საწარმოებთან, რომელთაც აქვთ განახლებული სასაქონლო ასორტიმენტი. სავაჭრო საწარმოები ეხმარებიან მრეწველობის საწარმოებს ახალი საქონლის სერიული წარმოების, ახალი

საქონლის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში, რადგან სწორედ ისინი ყიდიან ახალი საქონლის საცდელ პარტიას.

საცალო ვაჭრობა ეხმარება მრეწველობას მომხმარებელთა და სასაქონლო ბაზრების დიფერენცირებულად შესწავლაშიც. მართალია, მრეწველობის საწარმოებს ბაზრის შესწავლა დამოუკიდებლადაც შეუძლიათ, მაინც ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საცალო ვაჭრობიდან მიღებულ ინფორმაციას.

მარკეტინგის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი – მოგების მიღება საცალო ვაჭრობის საწარმოებისათვის ისეთივე მნიშვნელოვანი და აუცილებელია, როგორც მრეწველობისა და სხვა დარგების საწარმოებისათვის. თუმცა მოგების მიღების გზა საცალო ვაჭრობაში განსხვავებულია. საცალო ვაჭრობის მთლიანი მოგება ის სხვაობაა, რომელიც მას რჩება წარმოებიდან და საბითუმო ვაჭრობიდან შესყიდული საქონლის ფასსა და საცალო ფასს შორის. რაც შეეხება მრეწველობის საწარმოებს, ისინი თვითონ განსაზღვრავენ საბოლოო მთლიანი მოგების სიდიდეს ფასწარმოქმნის სხვადასხვა მეთოდზე დაყრდნობით.

საწარმოს იმიჯისათვის ბრძოლა ერთნაირად არსებითია ყველა სახის საწარმოსათვის, მაგრამ რამდენადმე განსხვავებულია ის სფეროები, რომელთა პოზიტიური დამოკიდებულებაც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია მათთვის. საცალო ვაჭრობა, პირველ რიგში, დაინტერესებულია მომხმარებელთა დადებითი აზრით მისი საქმიანობის შესახებ, თუმცა არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მიმწოდებლის აზრსაც. წარმოებისათვის მთავარია მთელი საზოგადოების ნდობის მოპოვება, რასაც ისინი აღწევენ მოსახლეობის შესაბამისი საქონლის წარმოებითა და პრესტიჟული რეკლამის მეშვეობით. ამასთან, ისინი დიდ ადგილს უთმობენ საიმედო პარტნიორობის სახელის მოპოვებას მიმწოდებელ და მისი პროდუქციის გამსაღებელ საწარმოებში.

ბ. ძოძოშვილი

წიგნით მახრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტი

90-იანი წლების დასაწყისიდან წიგნით ვაჭრობა განიცდის რადიკალურ ტრანსფორმაციას სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად, რის შედეგადაც საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ძირფესვიანად შეიცვალა მისი ფუნქციონირების სისტემა. წიგნით ვაჭრობა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ვაჭრობა მონოპოლიზებული და პოლიტიზებული იყო, ექვემდებარებოდა სახელმწიფო დარგობრივი სტრუქტურების მართვას და ასრულებდა იდეოლოგიურ ფუნქციას.

საბაზრო ურთიერთობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წიგნით ვაჭრობის საქმიანობაში. წიგნით ვაჭრობის სამეურნეო სუბიექტები იძენენ ეკონომიკურ და სამართლებრივ დამოუკიდებლობას.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წიგნით ვაჭრობის მაკროეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრას ორ ასპექტში – ეკონომიკურსა და სოციალურში იმის გამო, რომ წიგნით ვაჭრობა წიგნის პროდუქციის კელაეწარმოების ნაწილია. წიგნით ვაჭრობის პროდუქციის კელაეწარმოების პროცესის ეფექტიანობის კელევიდან წიგნის პროდუქციის კელაეწარმოების პროცესის საზოგადოებრივი ეფექტიანობა ლოგიკურად შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი ფორმულით:

საზოგადოებრივი ურთიერთობათა სისტემაზე
წიგნის ზემოქმედების შედეგი.

ეფ =

დანახარჯები წიგნის პროდუქციის კელაეწარმოებაზე

საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაზე წიგნის ზემოქმედების შედეგების რაოდენობრივი შეფასება შედარებით რთული საკითხია, თეორიასა და პრაქტიკაში წიგნის პროდუქციის კელაეწარმოების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის

განსაზღვრისას ისინი (საზოგადოებრივი ურთიერთობები) მოიცავენ საწარმოო, სოციალურ, ზნეობრივ, ეთიკურ და სხვა ურთიერთობებს. წიგნს შეუძლია გავლენა მოახდინოს საზოგადოების საწარმოო ძალებზე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ამ ზემოქმედების პირდაპირი რაოდენობრივი გაანგარიშება შეუძლებელია. აქედან წარმოიშობა წიგნით ვაჭრობის ეფექტიანობის შეფასების პრობლემა.

ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში ადგილი ჰქონდა წიგნით ვაჭრობის მოქმედ სისტემათა მუშაობის ეკონომიკურ ეფექტიანობას წიგნით მოვაჭრე რენტაბელურ და მუშაობის არარენტაბელურ საწარმოთა შეთავსების პირობებში. ყველა წიგნით მოვაჭრე საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის რეალიზაცია მიიღწეოდა შემოსაქვლების განაწილებითა და წიგნით ვაჭრობის მართვის ცენტრალიზებული ორგანოების საშუალებით.

ასეთი გადანაწილებით სისტემა თეორიულად შეუძლებელია შენარჩუნებული იყოს ეკონომიკის მხოლოდ სახელმწიფო და მუნიციპალურ სექტორებში. მაგრამ წიგნით ვაჭრობაში ცენტრალიზებული ინვესტიციების მკვეთრად შემცირების პირობებში მისი არსებობა პრაქტიკაში რთულად განსახორციელებელია.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ეფექტიანობის რეალიზაცია უნდა მოხდეს წიგნით მოვაჭრე უშუალოდ ყოველი სტრუქტურის მიერ, როგორც მისი არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობა.

წიგნით ვაჭრობის ტრანსფორმაციის, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გამო არ არის შესწავლილი საკითხი წიგნით ვაჭრობის ბიზნესის თაობაზე, წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო და მუნიციპალურ სფეროში. ჩვენ ვთვლით, რომ წიგნით ვაჭრობაში სახელმწიფო მწარმოებას აქვს არსებობის უფლება და პრაქტიკულად აქვს თავისი ადგილი წიგნის ბაზარზე. წიგნით მოვაჭრე სახელმწიფო და მუნიციპალური სტრუქტურების შემოსაქვლების და მოგების ზრდა არის შედეგი სწორედ მათი ბიზნესისა, რომელიც, საბოლოოდ მიმართულია წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო და მუნიციპალური

სტრუქტურების განვითარებისაკენ.

ყველაზე რთულია და პრობლემატური ჩენი თვალსაზრისით, მაკროდონეზე წიგნით ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხი მისი სირთულე აიხსნება რიგი მიზეზებით. წიგნით ვაჭრობის სტატისტიკა ტრადიციულად ითვლიდა ეკონომიკურ ეფექტიანობას დარგობრივ და რეგიონ ლუჯ ტრილში. ცენტრალიზებული დაგეგმვის და შესწავლული რაოდენობის წიგნით მოვაჭრე სუბიექტთა საქმიანობის დირექტიული რეგლამენტაციის პირობებში სითულეს არ წარმოადგენდა მისი გაანგარიშება ქვეყნის წიგნით მოვაჭრე სისტემის მიხედვით. წიგნით ვაჭრობაში ცენტრალიზებული აღწერა აგრეთვე უზრუნველყოფდა პირობების შექმნას ასეთი მუშაობისათვის.

საქართველოში აქამდე არ არის წიგნით ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდისა მაკროდონეზე ეფექტიანობის ასეთი განსაზღვრა წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი პირობაა. ჩვენ გვესახება, რომ მოცემულ მიმართულებაში კვლევა უნდა წარიმართოს საქართველოს წიგნით ვაჭრობის სტატისტიკის ჩამოყალიბების მიმართ – თულეებით. პრობლემის მოცემული წრე – ცალკეული სამეცნიერო კვლევის მასალაა. საქართველოს მასშტაბით არც არა-პერიოდული გამოკვებების გავრცელების სტატისტიკა არსებობს მას არ გაანჩია წიგნის პროდუქციის წარმოებისა და განაწილების სტატისტიკურ მაჩვენებელთა ურთიერთკავშირის სისტემა.

წიგნით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობა ელინდება წიგნის პროდუქციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების დონით, წიგნით ვაჭრობის მომსახურების ხარისხით. მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება მჭიდრო კავშირშია ასორტიმენტის სიფართოვესა და სტაბილურობასთან. ვაჭრობის მომსახურების ხარისხი – წიგნით მოვაჭრე საწარმოს გამტარუნარიანობასთან, წიგნის პროდუქციის მომხმარებელთა უზრუნველყოფასთან შესაბამისი წიგნის სავაჭრო ქსელის მიერ შესაბამის რეგიონში, ვაჭრობის კულტურასთან,

რეალიზებული ლიტერატურის საერთო მოცულობაში მომსახურების პროგრესული ფორმების ხვედრით წონასთან იმ დამატებითი ფასიანი მომსახურების რაოდენობასთან, რომელსაც სთავაზობენ მყიდველს.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამდე წიგნით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობის რეალიზაცია ხდებოდა, ძირითადად, წიგნის პროდუქციის დეფიციტის გადალახვით გამომცემლობის გამოცემათა თემატური გეგმების საფუძველზე წინასწარი შეკვეთების სისტემის დახმარებით. დიდი მუშაობა ტარდებოდა იმისათვის, რომ რაოდენობრივად განესაზღვრათ მომსახურების კულტურის დონე, ძირითადად საცალო მაღაზიებში. მაღაზიებში მომსახურების კულტურის დონის განმსაზღვრელად შემოღებული იყო ექვსი მაჩვენებელი, მათი გამოთვლის შესაბამისი მეთოდიკით – ყოველი მაჩვენებელი, ანუ კოეფიციენტი, ასახავდა განსაზღვრულ ხვედრით წონას წიგნით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობის რეალიზაციაში. ამის შედეგად კეთდებოდა დასკვნა, რომ მაღაზიაში მყიდველთა მომსახურების კულტურის დონე მთლიანობაში ექვემდებარებოდა გაანგარიშებას და, შესაბამისად, შეიძლება განხილული ეკონომიკურ მაჩვენებელთან ერთად ყოფილიყო სამეცნიერო საქმიანობის შედეგების განსაზღვრისას და სოციალისტური შეჯიბრის შედეგების შეჯამებისას განსაზღვრულ პერიოდში წიგნით ვაჭრობის ფუნქციონირებისადმი ასეთი მიდგომა წინა ეკონომიკური მოდელის დროს გამართებული იყო. იგი უსრუნველყოფდა ათობით წიგნით მოვაჭრე საწარმოთა მუშაობის შედეგებს, მაგრამ, ნათელია, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკურად დამოუკიდებელ საწარმოს არა აქვს რეალური სტიმულები იმისათვის, რომ მიაყვეს მსგავს სამეცნიერო საქმიანობას. ჩვენ გვესახება, რომ წიგნით ვაჭრობის მომსახურების ხარისხის ყველა კურომ მაჩვენებელმა, საბოლოო ჯამში, უნდა „იმუშაოს“ ზოგად მაჩვენებელზე, რომელიც ობიექტურად ასახავს წიგნით ვაჭრობის ეფექტიანობის სოციალურ ასპექტებს.

ჩვენ გთავაზობთ წიგნით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობის ოპტიმალური კრიტერიუმის ჩვენეულ გაგებას. ეს კრიტერიუმი მდგომარეობს შემდეგში: წიგნის პროდუქციის მომხმარებლის იმ

დროის მინიმიზაცია, რომელიც უკავშირდება შექმნას, მოთხოვნის მაქსიმალურად დაკმაყოფილებას. წიგნით ვაჭრობის საქმიანობის სოციალური ეფექტიანობის ოპტიმალური კრიტერიუმის აღრიცხვა იძლევა იმის საშუალებას, რომ საწარმოს მუშაობა აევაგოთ ისე, რომ ჩვენთვის ცნობილი მაჩვენებლების დახმარებით მოხდეს წიგნით ვაჭრობის უდიდესი სოციალური ეფექტიანობის რეალიზაცია. კერძო მაჩვენებელთა სისტემა, მათი კონკრეტიზაცია, მოქმედების ძალა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარია და განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, რომლებიც ასახავენ წიგნით მოვაჭრე საწარმოთა თავისებურებებს.

ამჟამად, წიგნით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობის შემცირება გამოწვეულია იმ ფაქტორების მოქმედებით რომლებიც ზემოქმედებენ წიგნის ბაზრის მოცულობის შემცირებაზე, წიგნით ვაჭრობის, ეკონომიკური პოტენციალის შემცირებაზე, წიგნის გაერცვლელების არაოგანიზებული სფეროების გაფართოებაზე.

წიგნით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობის ოპტიმალური კრიტერიუმის შეფასებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმ დროის დანახარჯთა მაჩვენებელს, რომელიც საჭიროა მიყიდველის რეალიზებული მოთხოვნის სარეალიზაციოდ. მოცემული მაჩვენებელი ზოგადად ცნობილია ვაჭრობისათვის, წიგნით ვაჭრობაში კი ვერ გამოვა სათანადო აღიარება, ეს უკანასკნელი გარემოება უკავშირდება იმას, რომ წიგნების ასორტიმენტის გამო მიყიდველს სჭირდება უფრო მეტი დრო მისთვის საჭირო წიგნის ან ბროშურის მოძებნისათვის, ვიდრე სახალხო მოხმარების სხვა რომელიმე საქონლის შესაძენად დასჭირდებოდა. აგრეთვე ცნობილია ის ფაქტიც, რომ 90-იანი წლების დასაწყისისათვის საჭირო წიგნის მოძიებაზე დროის დანახარჯები პროპორციულად გაიზარდა წიგნით ვაჭრობის მომსახურების ე.წ. პროგრესული ფორმების დანერგვასთან ერთად. წიგნით ვაჭრობაში მარკეტინგული სამსახურების არარსებობა იწვევდა საჭირო წიგნის მოძიებაზე დროის დიდ დანახარჯებს. ჩვენი აზრით, წიგნით ვაჭრობაში საქონლის შექმნაზე დროის დანახარჯთა მინიმიზაცია უნდა იყოს აღიარებული ისევე, როგორც სახალხო მოხმარება: სხვა საქონლით

ვაჭრობაში.

წიგნით ვაჭრობის სოციალური ეფექტიანობის ამაღლების საკუთრივ საკითხია რეალიზებული მოთხოვნის ზრდა. წიგნით ვაჭრობაში მოთხოვნის შესწავლის პრობლემებს რამდენიმე სამეცნიერო კვლევა მიუძღვნა. ამ საერთო დარგობრივ ეკონომიკურ მეცნიერებას საკმაოდ სილიდური სამეცნიერო პოტენციალი აქვს. ნაკლებადაა შესწავლილი მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე საბაზრო ფაქტორების ზემოქმედების საკითხები. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მრავალი წლის განმავლობაში წიგნის პროდუქციაზე იყო შედარებით დაბალი ფასები და ამის შედეგად უმეტეს შემთხვევაში მოთხოვნა წიგნის პროდუქციაზე განიხილებოდა როგორც რეალიზაციის უფრო ძლიერი ფაქტორი მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ფაქტორთან შედარებით. გარდა ამისა, წიგნის პროდუქციის სისტემატური დეფიციტი ახდენდა მომხმარებლის სტიმულირებას, რომ დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა.

წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობის აღმრიცხველია გაყიდული წიგნებისა და ბროშურების სახელობითი აღრიცხვის უბრალო და ეფექტიანი ხერხი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: წიგნის ან ბროშურის ყოველ იმ ეგზემპლარს, რომელიც სავაჭრო დარბაზშია, უნდა აქონდეს მიმაგრებული საინვენტარო ბარათი, რომელიც იქნება მინიმალური, მაგრამ საკმარისი ცნობები წიგნის მისამართის ზუსტი განსაზღვრისათვის. როცა წიგნი ან ბროშურა გადაეცემა მყიდველს, საინვენტარო ბარათი მოიხევა და დარჩება საწარმოში მინიშნებით "გაიყიდა". იგი წარმოადგენს პირობას, რომელიც ამარტივებს მუდმივი თვალყურის დევნის პროცესს ლიტერატურის გასაღებაზე სახელობითი აღრიცხვის მოკუმული ხერხი მისაღებია ლიტერატურის საბითუმო და მცირებითუმად გაყიდვისათვის. უკანასკნელ შემთხვევაში საინვენტარო ბარათი შეიძლება მიემაგროს წიგნის პროდუქციის შეკერას და მოიცავდეს მონაცემებს იმ წიგნის და ბროშურების რაოდენობაზე, რომელიც შეკერაშია. ჩვენ ვთვლით, რომ გაყიდული საქონლის სახელობითი აღწერის მოკუმული ხერხის გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა

წიგნის ვაჭრობაში, სადაც საქმე გვაქვს ფართო და რთულ სასაქონლო ასორტიმენტთან.

წიგნის ბაზრის ერთობლივი მოთხოვნის შესწავლის ტრადიციულ და, ჩვენი აზრით, ყველაზე ეფექტიან მეთოდად რჩება ინდივიდუალურ მყიდველთა წერილობითი ანკეტირება. მოთხოვნის სოციოლოგიურმა გამოკვლევამ გეჩვენა, რომ ანკეტაში მიზანმიმართულია შეტანილი იქნეს შემდეგი რეკვიზიტები: სქესი, ასაკი, ეროვნება, განათლება, პროფესია, თანამდებობა, ყოველთვიური შემოსავალი, ლიტერატურა, რომელიც ინტერესს იწვევს, წლის განმავლობაში წიგნებისა და ბროშურების კითხვის პერიოდულობა, კითხვის ფორმა-ბიბლიოთეკის ან საცალო საეჭრო ქსელის მეშვეობით, ოჯახური მდგომარეობა, ბავშვების რიცხვი ოჯახში, ინვალიდების რიცხვი ოჯახში, სურვილები წიგნის ბაზრისათვის. წიგნით ვაჭრობის მათხოვნით სოციალურ გამოკვლევათა ჩატარების პრაქტიკა მოწმობს, რომ ყველა ამ რეკვიზიტის ერთობლიობა იძლევა იმის საშუალებას, რომ მაქსიმალურად შევისწავლოთ წიგნის ერთობლივი მოთხოვნა ზოგადად, მომხმარებელთა სტრუქტურისა და ასორტიმენტის მიხედვით. თვით ტექნიკა ასეთი ანკეტირებისა - რთული და შრომატევადია. ამჟამად ასეთი სამუშაოს შედეგები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ. წიგნით ვაჭრობაში სოციოლოგთა მუშაობა თანდათანობით უნდა შეიცვალოს წიგნის მარკეტოლოგთა მუშაობით.

წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა შეიძლება განისაზღვროს ერთიანი მაჩვენებლით /ე-ს-ე/

$$ე-ს-ე = K_1 X_1 + K_2 X_2 + \dots + K_{n-1} X_{n-1} + K_n X_n, \text{ სადაც}$$

K_1, K_2, \dots, K_n ხედრითი მნიშვნელობაა ეფექტიანობის კერძო მაჩვენებელთა კოეფიციენტის სახით;

X_1, X_2, \dots, X_n - რაოდენობრივი მნიშვნელობა ეფექტიანობის კერძო მაჩვენებლების ისეთ ფორმაში, რომელიც იძლევა მათი დაჯამების საშუალებას.

K და X - მნიშვნელობათა არგუმენტირებული აგება, ჩვენი აზრით,

წარმოადგენს წიგნით ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიის და პრაქტიკის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს.

ახალ პირობებში „მუშაობენ“ რა ეკონომიკურ ეფექტიანობაზე წიგნით მოვაჭრე სტრუქტურებს აღიწყდებათ სოციალური ეფექტიანობა წიგნით მოვაჭრე საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემის მიკროდონეზე გადაჭრა რჩება წიგნის მარკეტინგის გადასაწყვეტი. ამ უკანასკნელს მოჰყავს შესაბამისობაში წიგნის ბაზრის გამყიდველისა და მყიდველის ინტერესები. ჩვენ ვინაიერებთ იმ აზრს, რომ წიგნის მარკეტინგს შეუძლია უზრუნველყოს წონასწორობა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის წიგნის ბაზარზე როგორც მოცულობის, ისე სტრუქტურის მიხედვით.

დოც. ბ. ბომელაური

**უმაღლესი ბანათილუგის ინსტიტუტუბის
ხარისხის თვითშეფასება**

„უმაღლესი სკოლის მართვა საჭიროა ეყრდნობოდეს ზუსტ და მუდმივ ინფორმაციას, რაც ხარისხის თვითშეფასების გრძელვადიანი სტრუქტურების საშუალებით შეიძლება იქნეს მიღწეული“
როუჯენსტინი, 1995

ხარისხის თვითშეფასების გრძელვადიანი სტრუქტურები.

დემოკრატიული მართვის პირობებში უნივერსიტეტის ხარისხის შეფასების რთული პროცედურის საწყისი ეტაპი არის თვითშეფასება, რომელიც ხორციელდება დეპარტამენტის, ფაკულტეტის და სხვ. ქვედანაყოფების მიერ შექმნილი ადგილობრივი სტრუქტურების

საშუალებით. ხარისხის თვითშეფასების პრაქტიკაში ცნობილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრუქტურები. თვითშეფასების მოკლევადიანი სტრუქტურები უმეტეს შემთხვევებში იქმნება ხარისხის შეფასების ერთჯერადი პროექტებისთვის, ამგვარი პროექტების მიზანია ინსტიტუტების, დეპარტამენტების, საგანმანათლებლო პროგრამების ერთჯერადი შედარება, რეიტინგის დადგენა, დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება. აქედან გამომდინარე, თვითშეფასების მოკლევადიანი სტრუქტურების მნიშვნელობა ხარისხის განვითარებაში მინიმალურია.

თვითშეფასების გრძელვადიანი სტრუქტურა წარმოადგენს უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ქვედანაყოფებში (დეპარტამენტი, ფაკულტეტი, კათედრა, სამეცნიერო ლაბორატორია და სხვ.) ჩამოყალიბებულ სპეციალისტთა ჯგუფს, რომელიც საკუთარი შეხედულებებისა და აკრედიტაციის საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევებში მათემატიკური დაანგარიშებებით, დოკუმენტურად აფასებს თითოეული დეპარტამენტის, ფაკულტეტის, კათედრის, სამეცნიერო ლაბორატორიისა და სხვ. მოღვაწეობასა და მდგომარეობის ხარისხს. ამ სტრუქტურების მნიშვნელობის გადაფასება შეუძლებელია, ისინი წარმოადგენენ თანამედროვე უმაღლესი სკოლის განვითარების ყველაზე მძლავრ საშუალებას.

თვითშეფასების ადგილობრივი სტრუქტურების ხელმძღვანელებისა და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის წარმომადგენელთაგან იქმნება თვითშეფასების ცენტრალური, ინსტიტუციური სტრუქტურა, რომელიც ცალკეული ქვედანაყოფების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშებზე დაყრდნობით, ყოველი სემესტრისა და სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ამზადებს ინსტიტუტის თვითშეფასების ანგარიშს.

იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტს, ინსტიტუტს სურს გაიაროს აკრედიტაცია, ინსტიტუციური თვითშეფასების ანგარიში იგზავნება აკრედიტაციის ეროვნულ საბჭოში სასწავლებლის სტატუსის დადგენისათვის, ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცედურის

გავლისთვის. ისეთ შემთხვევებში, როდესაც უმაღლესი სკოლა მზად არ არის ამისთვის, მაგრამ მის რომელიმე ფაკულტეტს სურს საკუთარი ინსტიტუტისგან დამოუკიდებლად გაიაროს აკრედიტაცია, ფაკულტეტის დეკანი, საფაკულტეტო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე და ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით თვითშეფასების ანგარიშს წარადგენს აკრედიტაციის საბჭოში - აკრედიტაციის ცენტრალურ სტრუქტურაში სათანადო სტატუსის მოპოვებისთვის.

თვითშეფასების ინსტიტუციური თუ საფაკულტეტო სტრუქტურები ზოგჯერ მოიხსენიება თვითშესწავლისა და თვითკონტროლის სტრუქტურების სახელწოდებითაც. ამ შემთხვევაში იგულისხმება თვითშეფასების სტრუქტურების სხვა ფუნქციებიც, როგორცაა თვითშესწავლა და თვითკონტროლი. თვითშესწავლა და თვითშეფასება ამ სტრუქტურების ძირითადი ფუნქციებია, რაც თავისი ზოგადი შინაარსით თვითკონტროლსაც გულისხმობს. თვითშეფასების სტრუქტურებისთვის სახელწოდების განსაზღვრა ინსტიტუტის პრეროგატივაა. აკრედიტაციის საბჭო არც სახელწოდების, და არც წევრების შერჩევის საკითხში არ ერევა.

განათლების მართვის ორგანოები და აკრედიტაციის ეროვნული საბჭო მოწოდებულნი არიან წაახალისონ თვითშეფასების გრძელვადიანი სტრუქტურების შექმნა და ფუნქციონირება უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში, რადგან ეს სტრუქტურები თანამედროვე უმაღლესი სკოლის მართვის (უფრო სწორად თვითმართვის) აუცილებელი ატრიბუტებია.

უმაღლესი განათლების ინსტიტუტის ან საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ინსტიტუციური სტრუქტურის შექმნისას, პირველი რიგის ამოცანაა თვითშეფასების მიზნის განსაზღვრა. მიზანი ერთ შემთხვევაში, შესაძლებელია იყოს თვითშეფასება - ხარისხის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, სუსტი მხარეების დადგენისა და მათ გამოსასწორებლად გადაწყვეტილებების მიღებისათვის, როგორებიცაა დონისძიებები მატერიალური ბაზის განვითარებისათვის, კვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის და ა.შ. მეორე შემთხვევაში თვითშეფასების მიზანი შესაძლებელია იყოს ინსტიტუტის ან

პროგრამის მომზადება ექსტერნული შეფასებისათვის. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ინსტიტუტს ან ფაკულტეტს სურს გაიაროს აკრედიტაცია და ამზადებს თვითშეფასების დოკუმენტაციას აკრედიტაციის ცენტრალურ სტრუქტურაში წარსადგენად.

ორივე მიზნის შემთხვევაში თვითშეფასების ორგანიზაცია, სტრუქტურები და მექანიზმები ერთგვაროვანია და მსოფლიო გამოცდილებას ეყრდნობა. აქედან გამომდინარე, ორივე მიზანდასახულების შემთხვევაში, თვითშეფასების შედეგად დადგენილი ხარისხის დონე თითქოს თანაბარი უნდა იყოს, მაგრამ როგორც აკრედიტაციის დიზაინის ცნობილი ექსპერტები მიუთითებენ, რეალურ ცხოვრებაში ეს ყოველთვის ასე არ არის. ისინი აღნიშნავენ, რომ ექსტერნული შეფასებისთვის გამიზნული თვითშეფასება ზოგჯერ შეუღებულ ხასიათს ატარებს და რამდენადმე დაშორებულია სინამდვილისგან. ამ მოყვენას ექსპერტები ხარისხის შეფასების ერთ-ერთ დილემას უწოდებენ, მათი სამართლიანი მოსაზრებით, იგი განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიფრთხილეს შიითხოვს.

მეორე დილემა თვითშეფასებისა და ექსტერნული ხარისხის შეფასების მნიშვნელობის უპირატესობის დადგენის საკითხს უკავშირდება. ერთი მხრით, საკამათო არ უნდა იყოს მოწვეულ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ექსტერნული შეფასების მნიშვნელობა, მათ მიერ უმაღლესი სკოლის კონტროლი და პასუხისმგებლობის ხარისხის დადგენა. ამასთან, ექსპერტთა აზრით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია თვითშეფასების ხარისხი, ვიდრე გარედან მოსულ ექსპერტთა შეფასებები. საკითხის ასე დასმა იქნებ არც არის მართებული, ვინაიდან აკრედიტაციის პროცედურაში ყველა ეტაპი საეაღდებულო და მნიშვნელოვანია, იქნება ეს ინსტიტუტის მიერ თვითშეფასების გრძელვადიანი სტრუქტურისთვის მნიშვნელობა არა აქვს ინსტიტუტი ან პროგრამა როდის აპირებს აკრედიტაციის გავლას. ეს ანგარიში, ე.ი. ინსტიტუტის ყოველი ქვედანაყოფის მოდერნიზების სრული სურათი, როგორც უკვე ითქვა, საჭიროა არა მხოლოდ აკრედიტაციის პროცედურის გავლისა და სტატუსის მოპოვებისთვის, არამედ სხვადასხვა ქვედანაყოფების მუშაობის

ხარისხის შედარებისთვის, არსებული ხარვეზების გამოსწორებისთვის, საბოლოო ჯამში კი, ხარისხის შიდა ინსტიტუციური მართვისა და თვითმართვისთვის.

ადგილობრივი, ინსტიტუციური თვითშემოწმებისა და თვითშეფასების მნიშვნელობა ძალზე დიდია იმ თვალსაზრისითაც, რომ თვითშეფასების ანგარიშში ინსტიტუტის მოცემული ქვედანაყოფისა თუ პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა ხელს უწყობს მატერიალური ბაზისა და საგანმანათლებლო პროგრამის სხვა კომპონენტების ოპტიმალურ დაგეგმვას. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ, თვითშეფასება წარმოადგენს ფაკულტეტისა და ინსტიტუტის ძირფესვიან შესწავლას, უზენებს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას კურსდამთავრებულის, ე.ი. საბოლოო პროდუქტის ხარისხთან მიმართებაში.

ხარისხის შეფასების საერთო პროცედურაში თვითშეფასების ძირითადი მიზნებია:

- ინსტიტუტისა თუ პროგრამის სწავლებისა და სწავლის ხარისხის დადგენა, სწავლებისა და სწავლის პროცესში სამეცნიერო მუშაობის ჩართვის მოცულობისა და ხარისხის ჩვენება, მითითება იმაზე, თუ რამდენად უწყობს ხელს ეს ყოველივე სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

- კათედრის, ფაკულტეტის, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების მიერ ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება ექსტერნული აკრედიტაციისათვის.

თვითშეფასების მუდმივმოქმედი სტრუქტურები თითქმის საუკუნეა ფუნქციონირებს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში. უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში ეს სტრუქტურები შეიქმნა ევროგაერთიანების ქვეყნების უმაღლეს სკოლებში. თვითშეფასება ევროპული ხარისხის შეფასების პროექტების მთავარი თავისებურებაა. საქართველოს უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში თვითშეფასების გრძელვადიანი სტრუქტურების მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ სტრუქტურების შექმნის გარეშე უმაღლესი განათლების სისტემური

რეფორმირება ვერ განხორციელდება.

ხარისხის თვითშეფასების ჯგუფის წევრები.

კათედრასთან, ლაბორატორიასთან, და ა.შ. იქმნება სამ-ხუთ კაციანი თვითშეფასების სტრუქტურა. აქედან ერთი - ორი წევრი შეიძლება მოწვეული იქნეს სხვა კათედრიდან ან ფაკულტეტიდან. ფაკულტეტთან არსებული თვითშეფასების სტრუქტურა შედგება ფაკულტეტთან არსებული კათედრებისა და ლაბორატორიების შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელების, ფაკულტეტის საბჭოს წევრებისა და სხვა ფაკულტეტის წარმომადგენლისაგან.

უნივერსიტეტის ხარისხის თვითშეფასების ინსტიტუციური სტრუქტურა შედგება ფაკულტეტების თვითშეფასების სტრუქტურების ხელმძღვანელების, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებისა და შესაძლებელია, სხვა უმაღლესი სკოლებიდან მოწვეული სპეციალისტებისაგან. თვითშეფასების გრძელვადიანი ჯგუფები, როგორც აღინიშნა, იქმნება თავისავე ქვედანაყოფებთან, ხოლო თვითშეფასების ინსტიტუციური ჯგუფი - მართვის ცენტრალურ სტრუქტურასთან.

უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ხელმძღვანელობას და მართვის ცალკეული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს უფლება აქვთ თვითშეფასების ჯგუფებში ჩართონ პირები, რომლებიც კარგად იცნობენ ინსტიტუტის შიდა ორგანიზაციას. თვითშეფასების ჯგუფი უნდა იყოს ოპერატიული, მოქნილი, შედარებით მცირერიცხოვანი. აღნიშნული სტრუქტურები შედგება პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და მართვის სტრუქტურის წარმომადგენლებისაგან. თვითშეფასების ჯგუფის ხელმძღვანელის დანიშნის წესით ფორმდება დოკუმენტურად. თვითშეფასების ანგარიშის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება თვითშეფასების ჯგუფის ხელმძღვანელს [1:121].

ხარისხის თვითშეფასების ანგარიში.

თვით შეფასების პროცედურაში განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ეტაპია თვითშეფასების ანგარიშის შედგენა [249]. კათედრების ანგარიშების საფუძველზე დგება ფაკულტეტების ანგარიში, ამ უკანასკნელთა ანგარიშის საფუძველზე ინსტიტუციური ანგარიში. დოკუმენტის ფორმალურ მხარეს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანგარიშის ცორმატი (ნიმუში) უნივერსიტეტის ყველა ქვედანაყოფისთვის და ინსტიტუციური სტრუქტურისთვისაც საერთოა ანგარიშების ანალიზის გამარტივების მიზნით აკრედიტაციის ცენტრალური სტრუქტურა ქმნის ერთ საერთო ფორმატს, რომელსაც ეყრდნობა აკრედიტაციის პროცედურის ყველა ეტაპის ანგარიში. აკრედიტაციის საბჭოს მიერ წინასწარ არის განსაზღვრული ანგარიშის სავარაუდო მოცულობა, (აკრედიტაციის მოკლევადიანი პროექტის შემთხვევაში) სავარაუდო ვადებიც.

საკითხისადმი ამგვარი გადაჭრის აუცილებლობაზე მიუთითებს 1994 - 1995 წლებში ევროგაერთიანების რამდენიმე ქვეყნის უმაღლესი სკოლის ხარისხის შეფასების მიზნით რეალიზებული პაილტ პროექტის მითითებები. მასში ვკითხულობთ: თვითშეფასების ანგარიშის მაქსიმალური მოცულობა ყოველგვარი დანართების გარეშე არის 50 გვერდი. მოხსენება საჭიროა გაიგზავნოს პია რევიუს (ექსპერტული) ჯგუფისა, და ეროვნული კომიტეტის (აკრედიტაციის საბჭოს) თავმჯდომარესთან. კომიტეტში იგზავნება ერთი ეგზემპლარი, ხოლო პია რევიუს ჯგუფში -წევრების რაოდენობის შესაბამისად. საანგარიშო მოხსენება იწერება ინსტიტუტის მშობლიურ ენაზე და ა.შ.

იმ შემთხვევაში, როდესაც აკრედიტაციის საბჭო დადგინილი საგანმანათლებლო პროგრამის (ბაკალავრი, მაგისტრი) აკრედიტაციას ატარებს გარკვეული პროექტის შესაბამისად, როგორც უკვე ითქვა, თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა გარკვეულ ვადებში უნდა მოხდეს აღნიშნულ პროექტში ვკითხულობთ: „თვითშეფასების ეტაპი,

რომელიც წარმოადგენს პროექტის პირველ ეტაპს, დაიწყო 1994 წლის დეკემბერში. ვინაიდან მომდევნო ეტაპის დაწყება დაბოკიდებულია თვითშეფასების ეტაპის დასრულებაზე, ეროვნულ კომიტეტში ანგარიშები წარდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1995 წლის 15 მარტისა. ეს ძალზე მნიშვნელოვანია პროექტის შეუფერხებელი რეალიზაციისათვის, ვინაიდან, ძირითადად, სწორედ თვითშეფასების ანგარიშს ეყრდნობა პროექტში მონაწილე ყველა მხარე [1:130].

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ საქართველოში ანალოგიური პროექტის განხორციელების შემთხვევაში თვითშეფასების პროცედურის ზუსტი ასლი გადმოვიღოთ, მაგრამ ანგარიშის მოდელი (ფორმატი), მოცულობა, თვითშეფასების კითხვარი, შესრულების ვადები ქვეყნის ყველა ინსტიტუტისა და მათი ქვედანაყოფებისთვის, ფიქრობთ, საერთო უნდა იყოს.

ადგილობრივი შემოწმების დადებითი მხარე არის პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი. დღეძღე იგი ითვლება ყოველგვარი ზეწოლის გარეშე განხორციელებად, უშუალო შემოწმების ერთადერთ საშუალებად. ამ პროცესში, ცხადია, არ შეიძლება გამოირიცხოს სუბიექტურობის გარკვეული პროცენტი, მაგრამ, თუ გაეითვალისწინებთ, რომ თვითშეფასების სტრუქტურების მიერ ჩატარებული სამუშაო მოწმდება არაერთხელ, საჯაროდ და სრულიად განსხვავებული სტრუქტურების მიერ, უნდა ვივარაუდოთ, რომ სუბიექტურობის გამოვლინება მინიმალურია. ყოველშემთხვევაში, უმაღლესი სკოლის ხარისხის შეფასების უკეთესი საშუალება ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი. დაეაკვირდეთ ხარისხის შეფასების პროცედურების იერარქიას, რაც გაზრდის რწმენას ხარისხის ადგილობრივი შეფასების ე. ი. თვითშეფასების მიმართ.

თვითშეფასების ინსტიტუციური პროცედურა შემდგომ აუცილებელ ეტაპებს გაივლის. კათედრის თვითშეფასების სტრუქტურის მიერ შესრულებულ სამუშაოს, ფაკულტეტის თვითშეფასების სტრუქტურა ამოწმებს, ხოლო ფაკულტეტის თვითშეფასების ანგარიშს - უნივერსიტეტის თვითშეფასების ცენტრალური სტრუქტურა. ცხადია, ეს პროცესი სახელმწიფო აკრედიტაციის საბჭოში ანგარიშის წარდგენის შემდეგაც გრძელდება. ინსტიტუციური თვითშეფასების რეალობასთან ადეკვატურობას ამოწმებს საბჭოს მიერ დამტკიცებული ექპერტთა მუშა ჯგუფი. მაღალი კლასის უნივერსიტეტებისთვის თვითშეფასების ანგარიშის ანალიზი აქ არ მთავრდება, თუ უმაღლეს სასწავლებელს, ან საგანმანათლებლო პროგრამას სურს მოიპოვოს საერთაშორისო აღიარება, აღნიშნული მასალები იგზავნება ხარისხის შეფასების საერთაშორისო სტრუქტურაში.

ქვეყანაში მოქმედი აკრედიტაციის გრძელვადიანი სისტემის საშუალებით ხარისხის შეფასების სემოთ აღწერილ საფეხურებს გაივლის შემოწმებას დაქვემდებარებული ყველა ინსტიტუტი და პროგრამა. ამასთან, რაც შემთხვევებში საერთაშორისო დონეზე იჭმება აკრედიტაციის ეროვნული გრძელვადიანი სტრუქტურისაგან დამოუკიდებელი მოკლევადიანი პროექტები, რომლებიც ამოწმებს და აფასებს ინსტიტუტის ქვედანაყოფებში მოქმედ თვითშეფასების გრძელვადიანი სტრუქტურების მუშაობას.

ხარისხის შეფასების დღეს მოქმედ სისტემებს დადებითთან ერთად, ცხადია, ნაკლოვანი მხარეებიც გააჩნია. მთავარი ნაკლი, ჩვენი აზრით, პროცედურის სირთულეში მდგომარეობს. თვითშეფასებათა და შეფასებათა დაუმთავრებელი სერიალები, კვალიფიციურ შრომას, დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს, მაგრამ უმაღლესი სკოლის ხარისხის რეგულირების უკეთესი საშუალება კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია.

მსოფლიო მნიშვნელობის უმაღლეს სკოლებში პროფესორის სამუშაო დღის მეხუთედი თვითშეფასების სტრუქტურებში მუშაობაზე იხარჯება, მაგრამ ითვლება, რომ ამ მიმართულებით დახარჯული დროსა და ენერგიის ანაზღაურება ხდება უმაღლესი სკოლის მიერ

მომზადებული მაღალი ხარისხის სპეციალისტებითა და სამეცნიერო გამოკვლევებით.

თვითშეფასება წარმოებს აკრედიტაციის ცენტრალური სტრუქტურის მიერ დამტკიცებული კითხვარის მიხედვით. თავისი მიზანდასახულობის მიხედვით ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კითხვარის შედგენა-დიზაინი უმაღლესი სკოლის ტრაიციების, ევროპული გამოცდილებისა და აკრედიტაციის საკითხების ღრმა ცოდნას მოითხოვს.

თვითშეფასების კითხვარის დიზაინი.

ყველა სახის თვითშეფასების კითხვარში ასახულია უმაღლესი სკოლისა თუ პროგრამის ხარისხის შეფასების ძირითადი მახასიათებლები. ამის გამო, ერთი შეხედვით, შესაძლოა შეუმჩნეველიც კი იყოს განსხვავებანი, რომელიც არსებობს ხარისხის შეფასების ინსტიტუციურსა და პროგრამულ, საკონტროლო და ექსტერნულ თვითშეფასების კითხვარებს შორის. ამ განსხვავებას განაპირობებს ხარისხის შეფასების კონკრეტული მიზნები.

უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია, რომ ხარისხის შეფასების ურთულესი პროცესის გამარტივების მიზნით თვითშეფასების ყოველი კითხვარის მოცულობა, თემატიკა და სტრუქტურა - ერთი პროექტის ფარგლებში, ძირითადად ერთნაირი უნდა იყოს. სტანდარტული კითხვარის მიხედვით შედგენილი თვითშეფასების ანგარიშები საშუალებას მოგვცემს სათანადო სიზუსტით და ადეკვატურად ჩაეატაროთ დოკუმენტების ანალიზი.

ძალზე მნიშვნელოვანია თვითშეფასების კითხვარის განყოფილებების ნუმერაციის დაცვა, რათა გაიოლდეს ექსტერნული ჯგუფის მუშაობა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თემასთან ან კითხვასთან დაკავშირებით ფაქულტეტს სურს დამატებითი ინფორმაციის მიწოდება ან მიაჩნია, რომ ეს კითხვა შეუსაბამოა, უმჯობესია, ეს ყოველივე კითხვასთან ერთად აღნიშნოს. ვიმეორებთ, პასუხი ან კომენტარი, იწერება შესაბამის კითხვასთან ერთად, რადგან

თვითშეფასებაც და მისი თანმდევი ექსტერნული შეფასებაც ყურდნობა ერთიდაიგივე სქემას, ე.ი. თვითშეფასების კითხვარის კრიტერიუმებს არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი. ზოგი მიიჩნევს, რომ დამატებითი ინფორმაცია, ან მოსაზრება თავსდება კითხვარის ბოლოს [3]. ჩვენი აზრით, ორივე თვალსაზრისი მისაღებია. აქ მთავარია არა ის, თუ დამატებითი ინფორმაცია კითხვარის რომელ განყოფილებაში მოთავსდება, არამედ კითხვარის გაფორმების საკითხში თვითშეფასების ადგილობრივი ჯგუფისა და ექსტერნული ჯგუფის მიერ ერთიანი წესის დაცვა. უმეტეს შემთხვევებში, აკრედიტაციის საბჭო თვითშეფასების კითხვარის დამტკიცებისას, ამ წესის დაცვას საეაღდებულოდ აყენებს.

თვითშეფასების კითხვარის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია უმაღლესი სკოლის ან პროგრამის განვითარების, დინამიკის, ცვლილებების ჩვენება, რასაც კქონდა ადგილი უკანასკნელ წლებში მართვის სფეროში, სწავლების შინაარსში, წარმოებასთან კავშირში და ა. შ. ამასთან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ეს საკითხი დეტალურად აისახოს კითხვარში.

თვითშეფასების კითხვარის დიზაინისადმი წაყენებული უპირველესი მოთხოვნაა, დადგენილი ხარისხის თვითშეფასება განიხილებოდეს ინსტიტუტის მიზნებისა და ამოცანების შუქზე. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ასახული უნდა იყოს დეპარტამენტისა და ფაკულტეტის მიზნებში. უფრო კონკრეტულად კი, - საგანმანათლებლო პროგრამებში და სასწავლო კურსებში. ამ მიზნების გადაჭრას უნდა ემსახურებოდეს მთელი საგანმანათლებლო პროგრამა და ყოველი სასწავლო კურსი. ამრიგად, თვითშეფასების კითხვარის ერთ-ერთი მახასიათებელია უმაღლესი სკოლის ან პროგრამის მიერ დასახული მიზნის განხორციელების ხარისხის დონის განსაზღვრის უნარი. ეს, ცხადია, ხარისხის ის დონეა, რასაც სთავაზობენ მომხმარებელს. როდესაც კრიტერიუმები გვიჩვენებს, რომ სწავლა-აღზრდის პროცესები, კურსდამთავრებულთა ცოდნის დონე, ე.ი. შედეგები და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ე.ი. მოხმარების დონე შესაბამისობაშია ერთმანეთთან, შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ

მიზანი მიღწეულია.

გარკვეული წესების დაცვას მოითხოვს თვითშეფასების კითხვარზე პასუხების გაცემაც. ვიდრე კითხვებს ვუპასუხებდეთ, საჭიროა კარგად გაეიცნობიეროთ ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის, ინსტიტუტის, ფაკულტეტის და ა.შ. თავისებურებანი, სხვადასხვა ქვეყნების უმაღლეს სკოლებსა და პროგრამებს შორის მოსალოდნელი განსხვავებები. გასათვალისწინებელია, რომ ზოგს ხარისხის დადგენა სურს არასრული უმაღლესი განათლების საფეხურზე ზოგს მაგისტრის საფეხურზე კითხვარის დანიშნულებაა, საერთო ინტერესების მქონე ადამიანთა ჯგუფებს შორის გამოიმუშაოს საერთო მიდგომა ხარისხის შეფასებისადმი და გარკვეული სქემით ჩართოს ისინი ხარისხის შეფასებაში. არ არის გამორიცხული რომ შემდგომში, კითხვარის ძირითადი სტრუქტურა გამოყენებულ იქნეს ხარისხის გლობალური შეფასებისთვის.

თვითშეფასების ინსტიტუციურ სისტემაში ფაკულტეტის თვითშეფასების ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. კითხვარში საჭიროა გაკეთებულ იქნეს კომენტარები სწავლების არსებული ხარისხის დადგენილ ნორმებთან შესაბამისობისა და რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემებს შორის არსებული ბალანსის შესახებ. ამგვარი კონკრეტული მითითებების შემდეგ აღარ არის საჭირო ვრცელი განზოგადებები. სტატისტიკური ინფორმაციისა (სტუდენტთა რაოდენობა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა და ა. შ.) და რესპოდენტებისაგან (სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები) მიღებული ინფორმაციის ასახვა კითხვარში აუცილებელია. პასუხები კითხვარში ძირითადად სწორედ ამ მონაცემებს ეყრდნობა.

იმ შემთხვევაში, თუ ინსტიტუტებს სურვილი აქვთ თვითშეფასების დოკუმენტებში ასახონ დამატებითი ინფორმაცია თავიანთი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ეს შეუძლიათ გააკეთონ, მაგრამ არ არის აუცილებელი, თვითშეფასებაში მოცემული ინფორმაციის დოკუმენტური დამტკიცება. საჭიროა მხოლოდ დეტალურად იქნეს განმარტებული ეს მასალები.

ანალიზი აუცილებლად უნდა გაკეთდეს თვითშეფასების კითხვარის ყოველ თემაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის ჩვენებას, თუ რა გზით ფიქრობს ფაკულტეტი არსებული პრობლემების გადაჭრას.

ლიტერატურა

1. J. DONALDSON, A. STAROPOLI, C. THUNE and T. VROEIJENSTIJN, EUROPEAN PILOT PROJECTS FOR EVALUATING QUALITY IN HIGHER EDUCATION: GUIDELINES FOR PARTICIPATING INSTITUTIONS, *HIGHER EDUCATION IN EUROPE*, Vol. XX, Nos. 1-2, 1995.

2. A. I. VROEIJENSTIJN _ SOME QUESTIONS AND ANSWERS WITH REGARD TO EXTERNAL QUALITY ASSESSMENT. *HIGHER EDUCATION IN EUROPE*, Vol. XVIII, No. 3, 1993.

3. А. КУШЕЛЬ, В. МЕШАЛКИН Управление аттестации и аккредитации Комитета по высшей школе, в Экспресс—оценка высших учебных заведений, *ALMA MATER, ВЕСТНИК ВЫСШЕЙ ШКОЛЫ*, 1992, 4—6, стр. 42—43.

ბ. ზოლაკე

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა

თანამედროვე პირობებში, სადაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციასა და ინტეგრაციას, მრავალი ქვეყნისათვის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ეკონომიკური უსაფრთხოების კლასიფიკაცია სამ ჯგუფად იყოფა: საერთაშორისო, ეროვნული და ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოება. თითოეული მათგანის განხილვა განსხვავებული მაჩვენებლებით ხორციელდება. ფუნქციური

თეალსაზრისით ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის უნარს, უზრუნველყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა, პიროვნების ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა შიდა და გარე საფრთხეების პირობებში, ხოლო სტ. უქტურული თეალსაზრისით ეკონომიკური უსაფრთხოება არის იმ ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობას, ზრდას და მუდმივი განახლების უნარს.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი სახელმწიფოა, ამიტომ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება არა რომელიმე კონკრეტულ სამინისტროს, ან უწყებას, არამედ სახელმწიფოებრივი ორგანოების მთელ სისტემას. ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ჩანასახოვან მდგომარეობაში არსებული საშიშროების თავიდან აცილება. აღნიშნული პრობლემის რეალიზაციისათვის არსებობს ეკონომიკური უსაფრთხოების (ინდიკატორების) სისტემა. ინდიკატორები სხვადასხვა ავტორთა მიერ სხვადასხვა პრინციპით არის აგებული. მათი დანიშნულებაა წინასწარ განსაზღვროს მოახლოებული ეკონომიკური საშიშროება. აღნიშნული ინდიკატორების საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაცია არ არსებობს. შეიძლება ჩამოყალიბდეს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების ნაკრები, რომელიც დასახული მიზნების მიხედვით კონკურენტუნარიანობისათვის გამოიყენება.

ინდიკატორთა სისტემის შერჩევა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების შერჩევა გარკვეულ სიმკვლეებთან არის დაკავშირებული. ეკონომიკური სისტემის ერთი ან რამდენიმე პარამეტრის ნორმიდან კრიტიკული გადახრა საერთო სიტუაციის ზუსტი ამსახველი არ არის. ამისათვის საჭიროა შეირჩეს კომპლექსური ინდიკატორები, რომლებშიც გაერთიანებული იქნება ინფორმაცია მრავალი მაჩვენებლის სიდიდეების შესახებ. მათი ანალიზი არსებული სიტუაციის შეფასების შესაძლებლობას უნდა

იძლეოდეს ინდიკატორების გამოყენებისას არსებობს პროგნოზირების სირთულე.

ეკონომიკური სისტემის მდგრადობა მაჩვენებლების განსაზღვრულ დონეზე შენარჩუნებით ხასიათდება. ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელი მისი ზრდის ტემპია. ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას განამტკიცებს, რის გამოც მსოფლიოში ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარ კრიტერიუმად ეკონომიკური განვითარების დონე აღიარებულია. ეს უკანასკნელი ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდით განისაზღვრება. სწორედ ამ მაჩვენებელზე დამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების დონე, ხარისხი და ხანგრძლივობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, კვების ხარისხი, განათლების დონე, სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობა – სოციალურად დაიცვას შრომის უნარონი, მიაღწიოს ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის საჭირო დონეს, განავითაროს მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა.

ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობაზე ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ეკონომიკური პოლიტიკა ახდენს. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია: სახელმწიფო მეწარმეობა, საბიუჯეტო პოლიტიკა, ფულადი პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა, ხოლო ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშემშლელ ფაქტორებს მიეკუთვნება:

ინფლაცია, რომელიც აუფასურებს მოქალაქეთა დანაზოგებს, ბლოკირებას უკეთებს ინვესტიციებს, სტიმულს ართმევს მეწარმეს, აფერხებს ეკონომიკის წინსვლას;

მაღალი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც საწარმოებისათვის კრედიტს მიუწვდომელს ხდის და ეკონომიკის შეეკუმშვის მიზეზია;

ბიუჯეტის დეფიციტი ინფლაციის და მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამომწვევი მიზეზია. მთავრობის კრედიტებზე მოთხოვნა ზედმეტი ფულის ბეჭედის, ან საპროცენტო განაკვეთის გადიდების გამომწვევი ფაქტორია. ბიუჯეტის დეფიციტი ნებისმიერ შემთხვევაში უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე.

გადასახადების მაღალი დონე. საგადასახადო ტვირთის სიდიდე კერძო ბიზნესის განვითარებას უშლის ხელს. ყველაზე უსამართლო არაპირდაპირი გადასახადების მაღალი დონეა, რადგან უფრო მეტად ღარიბები ზარალდებიან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 30 იანვრის ბრძანებულებით შექმნილმა სახელმწიფო კომისიამ შეიმუშავა ეროვნული უშიშროების კონვენცია (სამუშაო ვერსია), რომელშიც ცალკე დანართის სახით წარმოდგენილია „ეკონომიკური უსაფრთხოება“. ამ დოკუმენტში ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები ანუ ინდიკატორები ხელისუფლების მიერ არჩეული ეკონომიკური სტრატეგიისათვის შემცველი შიდა და გარე ფაქტორებისა და პროცესების მიხედვითაა დაჯგუფებული.

რუსეთის ეკონომიკური ანალიზის ინსტიტუტის დირექტორის ა. ილარიონოვის განმარტებით ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი პირობების ისეთი შეხამებაა, რომელიც ხანგრძლივ პერსპექტივაში მოსახლეობის ერთ სულზე ეკონომიკური რესურსების მაქსიმალური რაოდენობის მყარ წარმოებას ყველაზე ეფექტური ხერხით უზრუნველყოფს. აღნიშნული განმარტების საფუძველზე იგი გეთაყვინებს მაჩვენებელთა საკუთარ სისტემას: 1. სახელმწიფო საწარმოების პროდუქცია; 2. სახელმწიფო მოხმარება; 3. სახელმწიფო ხარჯები; 4. ბიუჯეტის დეფიციტი; 5. სახელმწიფოს ვალის ნაზრდი; 6. ფულადი მასის ზრდის ტემპი მშპ-ს ზრდის ტემპის გამოკლებით; 7. ინფლაციის ტემპი; 8. სავალუტო კურსის შემცირების ტემპი; 9. საგარეო ვაჭრობაზე გადასახადები საგარეო სავაჭრო ბრუნვასთან; 10. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდის ტემპი.

ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ნეგატიურად მოქმედი გრძელვადიანი ანუ დესტაბილიზაციის ფაქტორები გამოიხატება არა რაოდენობრივ მაჩვენებლებში, არამედ ხანგრძლივად ჩამოყალიბებულ ნეგატიურ ტენდენციებში. ამასთან, ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის გადამწყვეტია არა ნეგატიური ტენდენციების სიღრმე, არამედ მათი ხასიათი და ხანგრძლივობა. დესტაბილიზაციის გამომწვევი

ფაქტორებით მოყენებული ან რეალური ზარალის ასანაზღაურებლად აუცილებელი დანახარჯების გასაანგარიშებლად შესაძლებელია ახალი, პირდაპირი კომპენსაციების პოტენციალის მაჩვენებლის გამოყენება, რომელიც მოიცავს საცვიალოურ მარაგებსა და რეზერვებს; კრიტიკული სიტუაციების ადგილებში მატერიალური რესურსების მისაწოდებლად დამატებითი სატრანსპორტო შესაძლებლობებს; სარეზერვო სიმძლავრებს, განსაკუთრებით ენერგეტიკის დარგებში; ფინანსურ რეზერვებს; საერთაშორისო მხარდაჭერის შესაძლებლობებს; საქველმოქმედო ფონდების შესაძლებლობებს და სხვა.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოზიციიდან გამომდინარე მათემატიკური ცვლილების ხასიათის თვისებრივი ანალიზი, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა ინდიკატორის ცვლილების შემდეგი სახეები:

მდორე ცვლილების სფერო;

კრიტიკული სფერო – კრიზისის ზონა, რომელშიც შეიძლება დაირღვეს მაჩვენებლის მდორე ცვლილება და ეკონომიკური სისტემის თვისებრივი შეცვლა გამოიწვიოს;

კრიზისის შემდგომი სფერო, რომელშიც შეიძლება მოხდეს მაჩვენებლის უკონტროლო ცვლილება.

მაჩვენებლის არასასურველი ცვლილების ფაქტი მოახლოებული საფრთხის ნიშანია, განმსაზღვრელია კრიტიკული ზღურბლის გადალახვის მომენტი. კრიტიკული ზღურბლი მაჩვენებლის მინიმალურად დასაშვები ფიქსირებული დონეა, რომელიც ერთეულის ტოლად მიიჩნევა. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სახელმწიფოსათვის კრიტიკული სიტუაცია იქმნება როცა მთლიანი შიდა პროდუქტის და სამრეწველო წარმოების დაცემის დონე 30%-ს აღემატება; საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 40%-ს აღემატება; უმუშევრობის დონე 12%-ზე მეტს აღწევს; ინფლაციის ყოველთვიური ტემპი 8%-ს აღემატება; შრომის ანაზღაურების წილი მოსახლეობის პირად შემოსავლებზე 60%-ზე ნაკლებია; თანაფარდობა მოსახლეობის ყველაზე მაღალ და დაბალ შემოსავლიანი ნაწილის 10%-ის შემოსავლებს შორის ზღვრულ სიდიდეს (1:10) აღემატება; კეების

იმპორტული პროდუქტების წილი 30%-ზე მეტია; ექსპორტში გადაამუშავებული მრეწველობის წილი 45%-ზე მაღალტექნოლოგიური, მეცნიერებატექვადი პროდუქციის წილი კი 15%-ზე ნაკლებია; სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 10%-ზე მეტია; მთლიან შიდა პროდუქტში მეცნიერებაზე სახელმწიფო ასიგნებათა წილი 2%-ზე ნაკლებია და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების ზღვრული მნიშვნელობების დადგენის შემდეგ შესაძლებელი ხდება ანალიზის სისტემის ჩამოყალიბება.

ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზის მიზანია ეროვნული ეკონომიკის მდგრადობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით არსებული ან მოსალოდნელი საფრთხეების შეფასება, სახიფათო რისკის ფაქტორების გამოვლენა და მათი გაუვნებლების ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება.

ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზის ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბებით გადაწყდება შემდეგი საკითხები:

ეკონომიკურ სისტემაზე დროში და სივრცეში განსაზღვრულ დაკვირვებათა სისტემის ფუნქციონირება, რაც სპეციალური, პროფესიულ დონეზე ფუნქციონირებადი სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს;

მიღებული ოპერატიული და სისტემატური ინფორმაციის საფუძველზე ეკონომიკური სიტუაციის კომპლექსური და მიზნობრივი შეფასება, რაც მთლიანად ქვეყნის და რეგიონების მიხედვით განხორციელდება;

ეკონომიკური სისტემის მდგომარეობის შეფასების გათვალისწინებით, განვითარების ეკონომიკური სცენარის და პროგნოზების შემუშავება. ამ საკითხის გადაწყვეტა უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების საფუძველი გახდება.

აღნიშნული ანალიზის სისტემამ უნდა იმუშაოს მუდმივი მზადყოფნის რეჟიმში და ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში მოვლენების შესაძლო

განვითარების მრავალფარიანტული პროგნოზებითა და საპასუხო მოქმედებათა შესახებ სათანადო რეკომენდაციებით უზრუნველყოს.

მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფა ამ სფეროში სახელმწიფო ჩარევის მაშტაბების შემცირებითაა შესაძლებელი. კრიზისული სიტუაციიდან გამოსასვლელად საქართველოს ხელისუფლებამ ეკონომიკაზე სახელმწიფო დატვირთვა ყოველწლიურად უნდა შეამციროს. მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფი დონისძიებებია:

სახელმწიფო ხარჯების რადიკალური შემცირება (მშპ-ს მაქსიმუმ 17%-მდე, მინიმუმ 25%-მდე);

უღვეფიციტო ბიუჯეტის უზრუნველყოფა, მისი დეფიციტის აღმოფხვრა (ბიუჯეტის დეფიცეტი მაქსიმუმ მშპ-ს 0% და მინიმუმ 3% უნდა იყოს);

ახალი სესხების აღებაზე უარის თქმა (სახელმწიფო ვალის ყოველწლიური ზრდის ტემპმა მშპ-ს მაქსიმუმ 10%, მინიმუმ 0-დან 5%-მდე უნდა შეადგინოს);

სახელმწიფო ვალის მომრავლების შეწყვეტა, მისი ძირითადი ნაწილის დაფარვაზე თანდათანობით გადასვლა;

დარჩენილი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის დასრულება (სახელმწიფო საკუთრებაში დარჩეს იმდენი საწარმო, რომ მათი პროდუქციის ხედრითი წონა მშპ-ში მაქსიმუმ 3%-ზე ნაკლები და მინიმუმ 10-დან 15%-მდე იყოს);

სახელმწიფო ვალდებულებების პრივატიზაცია;

